# ლელო

№001 (12 071)
4 იანვარი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ხელბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

# მინუს თვრამეტი

## ლატვია-საქართველო

## 38:20




**ახალი წელი სასტიკი მარცხით დავიწყეთ. დარჩა მხოლოდ თეორიული შანსი. 7 იანვარს თბილისში საპასუხო მატჩია**

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ევროპულ ასპარეზს დაუბრუნდა და გუშინ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჩაერთო. სამწუხაროდ, ქართული ხელბურთის უპირველესმა გუნდმა დაბრუნება სრული ფიასკოთი აღნიშნა და ლატვიის ქალაქ ულბროკაში უიმედოდ წააგო - 20:38. 7 იანვარს თბილისში საპასუხო მატჩია. დღეს, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები - ბულგარეთი და რუმინეთი შეხვდებიან ერთმანეთს. ჯგუფიდან ფლეი ოფში ორი გუნდი გადის...

13

## დილას გაუთენდა

ახალი სპონსორი, პრეზიდენტი და მწვრთნელები

## ჯაკობია მეტალისტში ბრუნდება

## ხიზანიშვილის გოლი ჰესკის მიაწერეს

ქართული ფეხბურთი 2-4



## ბაიერნმა გერმანული ფეხბურთის მომავალი იყიდა

ცინცხალი ტრანსფერი 6



## არანაირი კვალიფიკაცია, წინ მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადაა

ინტერვიუ წლის სპორტსმენ ზაზა კედელაშვილთან 12



## ბრძოლა ასათიანისთვის

მოსკოვის ლოკომოტივი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებს. სიომინმა და ბიშოვეცმა იციან, რომ სხვაგვარად, ასათიანის შენარჩუნება გაუჭირდებათ...

3

## გიორგი ლომაია ვლადივოსტოკიდან წამოვიდა

4

## 2007 წლის სპორტული კალენდარი

7-10



სიახლეები გორიდან

# დილას იმედიანი დღე გაუთენდა

## გორელებს ახალი პრეზიდენტი და მწვრთნელები ჰყავთ

ალბათ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ ვწერდით, რომ "დილაში" ხელმძღვანელობის შეცვლა იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა – გორულ კლუბს მიხეილ ლურსმანაშვილი უხელმძღვანელებს. პრეზიდენტის შეცვლას სამწვრთნელო გადაადგილებაც მოჰყვა. ამიერიდან "დილას" საფეხბურთო სკოლა "ორბის" მწვრთნელი მამუკა ვარდოსანიძე გაწვრთნის, მის მხარდამხარ კი ასევე ადგილობრივი სპეციალისტი ლადო ელიაური იღვაწებს, რომელიც წლების განმავლობაში ტირასპოლის "შერიფის" ბავშვთა სკოლაში მუშაობდა.

**გუშინ "დილის" ახალ მმართველს დავუკავშირდით.**

- დოკუმენტები ჯერ არ გაფორმებულა, ამიტომაც იურიდიულად პრეზიდენტი ჯერ არ ვარ. თუმცა ყველაფერი სულ რამდენიმე დღეში მოგვარდება.

**- თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით საკუთარ თავზე გვითხარით...**

- გორელი ბიზნესმენი გახლავართ. სხვათა შორის, ფეხბურთი ჩემთვის უცხო სფერო არაა, საფეხბურთო წრეებთან აქამდეც ხშირი კონტაქტები მქონდა, კლუბზე გული ყოველთვის შემტკიოდა და როდესაც შესაძლებლობა მომეცა, "დილას" პატრონობაზე უარი არ მითქვამს. რახანია, გორს ღირსეული გუნდი არ ჰყოლია და მე და ჩემს მეგობრებს გვსურს, მდგომარეობა კარდინალურად შევცვალოთ. ამ ჩიხიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვიდეთ. მუშაობას აქტიურად შევუდგებით, საქმისთვის არც ენერგიას დავიშურებთ და არც ფინანსებს.

**- თქვენი გეგმების შესახებ უფრო კონკრეტულად რისი თქმა შეგიძლიათ?**

- უპრიანი იქნება, თუკი ამ თემაზე ვრცლად რამდენიმე დღეში ვისაუბრებ, მაგრამ მოკლედ მაინც გეტყვით.

უპირველეს ყოვლისა, ლოკალური ამოცანაა გადასაჭრელი – არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უმაღლეს ლიგაში დარჩენა უნდა შევძლოთ. ბუნებრივია, საამისოდ სერიოზული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მამუკა ვარდოსანიძე და ლადო ელიაური მაღალი დონის მწვრთნელები არიან, მჯერა, მათ ხელში "დილა" უკეთეს შედეგს აჩვენებს. ბუნებრივია, მწვრთნელებთან ერთად, ძლიერი ფეხბურთელების დამატებაც გვჭირდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ცნობილ მოთამაშესთან, რომელთა გვარების დასახელებისგანაც ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

ზოგად საკლუბო პოლიტიკას რაც შეეხება, შემუშავებული გვაქვს ოთხწლიანი სამოქმედო პროგრამა, რომელიც მრავალი მნიშვნელოვანი პუნქტისგან შედგება. აქცენტს ბავშვთა ფეხბურთზე გავაკეთებთ. ადგილობრივი საფეხბურთო მეურნეობა იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ უახლოეს მომავალში "დილის" ღირსება მთლიანად ადგილობრივმა ძლიერმა კადრებმა დაიცვან.

დაგეგმილია ფარმკლუბისა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება. ერთი სიტყვით, საქმე მკვდარი წერტილიდან რაც შეიძლება მალე უნდა დაიძრას.

**- პროფესიული ფეხბურთის ლიგა გორის ცენტრალური სტადიონის სასწრაფოდ მოწესრიგებას ითხოვს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თუ იგეგმება?**

- ამ საკითხს აუცილებლად მივხედავთ. ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე მოედნის ხარისხსაც გავაუმჯობესებთ და სტადიონის ფასადსაც მოვაწყობთ. პროფლიგის მოთხოვნებს მოცემულ ვადებში აუცილებლად შევასრულებთ.

**- პირველ ლიგაში დაქვეითების შემთხვევაში, გეგმებზე ხელს ხომ არ აიღებთ?**

- არავითარ შემთხვევაში. ყველაფრისთვის მზად ვართ, უმაღლესიდან გავარდნა, უბრალოდ, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას გადადებს და მეტი არაფერი. მშვენივრად გვესმის, რომ უმაღლესში დარჩენა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ დასაკარგი არაფერი გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

გუშინვე მამუკა ვარდოსანიძესაც შევეხმიანეთ: *"მიშა ლურსმანაშვილის პრეზიდენტობამ ძალიან გაგვახარა და დაგვაიმედა. მან სტადიონიც იყიდა და გუნდიც. დამეთანხმებით, ამ პიროვნებას სერიოზული ჩანაფიქრი რომ არ ამოძრავებდეს, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. ვერ ვიტყვით, რომ ფინანსურად ამის შემდეგ თბილისის "დინამოს" შევეჯიბრებით, მაგრამ "დილას" უფულობა აღარ შეაწუხებს. გუნდი ხომ პირველ წრეში, ფაქტობრივად, უპატრონოდ იყო მიტოვებული. გუნდი მალე დაკომპლექტდება. რამდენიმე ძლიერი მოთამაშის დამატება აუცილებლად გვჭირდება და იმედია, ამ საკითხს დაღებითად გადავწყვეტთ."*

**ლევან ჯანეზაშვილი**

თბილისის დინამო

# უგრინი ბაკურიანში, 24 დინამოელით

საახალწლო შვებულებიდან დაბრუნებულმა თბილისის "დინამომ" 2 იანვარს ბაკურიანს მიაშურა. მწვრთნელების განკარგულებაში 24 ფეხბურთელია. უგრინის კრებულთან ერთად ბაკურიანშია ახალწვეული **დავით დილმელაშვილი** და ავსტრალიის ნაკრების ყოფილი წევრი **ნედ ზელიჩიც**. ბაკურიანში **გია ჯიშკარიანს** დავუკავშირდით:

*"სასტუმროში დავბინავდით, გუნდი ინტენსიურად ემზადება. კარგ პირობებში ვართ. ახლა არ თოვს, მზიანი დარია. გუშინ სიცხეების გამო ლევან აკობიასა და მიხეილ კაკალაძეს არ უვარჯიშიათ, მაგრამ უკვე გამოჯანმრთელდნენ და ხვალიდან წვრთნას განაახლებენ...*

*რაც შეეხება წვრთნებს, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. დილით სირბილი და ტრენაჟორები, საღამოს კი ფეხბურთელებს გამძლეობაზე ვავარჯიშებთ. საწვრთნელი პროცესებითა და, საერთოდ, სამზადისით მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია. როგორც უგრინი აცხადებს, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის".*

ამის შემდეგ ბაკურიანში მყოფ რამდენიმე დინამოელსაც გავესაუბრეთ:

სანდრო კობახიძე: მზადება თბილისში დავიწყეთ და 2 იანვარს ბაკურიანში გავაგრძელეთ სამზადისი. ამის გარდა, კიდევ ორი თურქული შეკრება გვაქვს დაგეგმილი და ეს პერიოდი მაქსიმალურად ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი მიზეზი უცვლელია, ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძვით...

2006 წელი პირადად ჩემთვის განსაკუთრებული იყო. ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს. ახალ, 2007 წელს მთელ საფეხბურთო სამყაროს ვულოცავ. მჯერა, ეს წელი „დინამოსთვის", ნაკრებისა და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის წარმატებული იქნება.

დავით დილმელაშვილი: სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ წელს და ვისურვებდი, რომ ეს წელი „დინამოსთვის" და მთლინად ჩვენი ფეხბურთისთვის წარმატებული ყოფილიყოს. ამ წელს ოქროს მედალსა და საერთოდ ყველაფერს ოქროსას ველი. ქართულ ფეხბურთს ოქროს წელი ჰქონოდეს.

შოთა კაშია: ჩვენ კვლავაც ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლებთ. ახალ წელს ყველას ვულოცავ ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და წინსვლას ვუსურვებ. ერთსაც ვიტყოდი, "დინამოსი" გჯეროდეთ და არაერთხელ გაგახარებთ.

გიორგი მერებაშვილი: დათო დილმელაშვილის სახით კარგი შევსება მივიღეთ. კარგი იქნება, თუკი ნედ ზელიჩიც ჩვენს გუნდში ითამაშებს. ზელიჩი უკვე რამდენიმე დღეა, რაც "დინამოში" ვარჯიშობს და კლასი აშკარად ეტყობა. მისგან ბევრ ვსწავლობთ და ისიც აშკარაა, რომ ამ ფეხბურთელს კარგი აურა აქვს.

ახალ წელს ყველას ვულოცავ და მჯერა, ეს წელიწადი "დინამოსთვის" წარმატებული იქნება. მინდა, 21 წლამდელებიდან ეროვნულ ნაკრებში გადამსვლელთა მორიგ ნაკადში მეც ვიყო.

სანდრო იაშვილი: სეზონის მეორე ნახევრისთვის ინტენსიურად ვემზადებით. ყველა სერიოზულად ეკიდება საქმეს, მონდომებულია, რათა ოპტიმალური ფორმა მალე დაიბრუნოს. ერთი სიტყვით სამზადისი კარგად მიდის...

ქართული ფეხბურთის ყველა მესვეურსა და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს ახალ წელს ვულოცავ. ქომაგებს კი მივმართავდი - სიხარულისას და გაჭირვების დროსაც მხარში დაგვიდგნენ. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ.

დავით ოდიკაძე: - მზადებას უკვე შევუდექით და მჯერა, სასურველ ფორმაში მალე ვიქნებით. ახალწვეულიც გვყავს დათო დილმელაშვილის სახით, რომელიც დიდად დაგვეხმარება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ზელიჩზეც იმავეს თქმა შემიძლია. მას შეუძლია ჩვენი გუნდი არა მხოლოდ დაცვაში, არამედ მთლიანობაში გააძლიეროს...

ყველას ვულოცავ ახალ წელს და მჯერა ეს წელიწადი დინამოსა და საერთოდ ქართული ფეხბურთისთვის წარმატებული იქნება.

**დავით ცაბაძე**

ტორპედო

# შეკრება დღეს იწყება



ზაზა ზამთარაძე

მას შემდეგ, რაც ქუთაისის "ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად **გიორგი კიკნაძე**, ხოლო მის თანაშემწედ **ზაზა ზამთარაძე** დაინიშნა, გუნდმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა. ახალმა მწვრთნელებმა შეგირდები დეკემბრის ბოლო რიცხვებში სამედიცინო შემოწმების გასატარებლად თბილისში ჩამოიყვანეს, მერე კი საახალწლო შვებულებაში გაუშვეს. როგორც გავიგეთ, "ტორპედო" დღეს შეიკრიბება და წვრთნას განაახლებს.

*"ახლა მე და ზაზა ზამთარაძე ქუთაისს მივემგზავრებით. ხვალიდან უკვე ვარჯიშებს განვაახლებთ. 15 იანვრამდე ქუთაისში ვივარჯიშებთ. მერე კი მოსამზადებელი შეკრება გვექნება. თუმცა, ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ სად მოვემზადებით. შესაძლოა, უცხოური შეკრებაც კი მოვაწყოთ, ან სულაც თბილისში მოვემზადოთ. ამ საკითხს კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად მოკლე ხანში გადავწყვეტთ...*

*რაც შეეხება ფეხბურთელებს: გუნდში ჩვეულებრივ განაგრძობს მზადებას ფორვარდი ირაკლი სირბილაძე. ჩვენთან ივარჯიშებს გამოცდილი ნახევარმცველი კახა კვეტენაძეც. ჯერჯერობით, სხვას ვერაფერს გეტყვით",* - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა გუშინ გიორგი კიკნაძემ.

რაც შეეხება "ვისოლისა" და ქუთაისის "ტორპედოს" მომავალი პარტნიორობის საკითხს, ჯერჯერობით, ამ ეტაპისთვის არაფერი გადაწყვეტილა.

**დავით ცაბაძე**



მათე ლვინიანიძე

ლეგიონერი

# ლვინიანიძის პროგრესი აშკარაა

მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "მიუნხენ 1860-მა", რომელშიც ქართველი მცველი **მათე ლვინიანიძე** თამაშობს, სეზონის პირველი ნახევარი მე-6 ადგილზე ჩაამთავრა. **ვალტერ შახნერის** გუნდი მესამე საფეხურზე მყოფ "დუისბურგს" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება და პირველ ბუნდესლიგაში ალზევებისთვის ბრძოლას განაგრძობს. მიუნხენური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გასული წლის შეფასება გამოქვეყნდა, რომელშიც ლვინიანიძეზეცაა მოთხრობილი.

*"მიუხენ 1860-ის" 19 წლის მცველმა მათე ლვინიანიძემ მოკლე ხანში დიდი პროგრესი განიცადა. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი, ასაკის მიუხედავად, იოლად დამკვიდრდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ერთ-ერთ წამყვან ფიგურად იქცა. მათე ლვინიანიძემ ეროვნულ ნაკრებშიც იასპარეზა 7 ოქტომბრის ამხანაგურ მატჩში გერმანიასთან, რომელიც როსტოკში გაიმართა და როგორც თავად აცხადებს, ეს მატჩი მას დიდხანს ემახსოვრება.*

*"ეროვნულ გუნდში ასპარეზობა ჩემი ოცნება იყო. მით უმეტეს, ისეთი დიდი გუნდის წინააღმდეგ თამაში, როგორიც გერმანიის ნაკრებია. მინდა 2007 წელს უკვე დავმკვიდრდე ეროვნულში და "მიუნხენ 1860-თან" ერთად დიდი წარმატებები მოვიპოვო", - ამბობს მათე ლვინიანიძე.*

*საგულისხმოა ისიც, რომ ეს ახალგაზრდა მცველზე, რომელმაც ეროვნულში მარჯვენა მცველად ითამაშა, საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი დიდ იმედებს ამყარებს. ლვინიანიძე 12 ოქტომბერს დაშავდა. მან ფეხზე გარე მყესი გაიწყვიტა, მაგრამ ოპერაციას გადაურჩა და უკვე მწყობრშია. მისი პროგრესი სახეზეა და ჩვენს გუნდსაც დიდად წაადგება მეორე წრეში".*

**დავით ცაბაძე**



# გაბედნიერებული ჯაკობია ხარკოვში ბრუნდება

## ალტერნატივა არსენალია

საქართველოს ნაკრებისა და კიევის "არსენალის" თავდამსხმელი **ლაშა ჯაკობია** და ცნობილი მომღერალი **ქრისტინე იმედაძე** ახალ წლამდე დაოჯახდნენ. ეს თავად ფეხბურთელმა საახალწლო მილოცვის შემდეგ გაგვიმხილა.

*"ახალ წელს ასეთი ბედნიერი არასდროს შევხვედრივარ. ოჯახი დიდი ბედნიერებაცაა და პასუხისმგებლობაც. ტრავმა ნებისმიერი მოთამაშის ცხოვრებაში მძიმე გადასატანია. თანადგომის დეფიციტს არასდროს განვიცდიდი, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც გვერდში საყვარელი ადამიანი გყავს"* - ამბობს ლაშა.

ჯაკობიამ უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყო, ექვსი ტურის შემდეგ, ოთხი გოლით პირველობის ბომბარდირების სიას სათავეში მოექცა და რაც მთავარია, ახალი გუნდის, კიევის "არსენალის" ლიდერად იქცა. თუმცა ტრავმა მიიღო და პირველი წრის დასრულებამდე გუნდს ველარ დაეხმარა. ამას ვინ ვიჩის, შესაძლოა, მეორე ნახევრის დიდი ნაწილიც გაუცდეს.

*"მარტის ბოლოს თუ შევძლებ ნორმალურად ვარჯიშს. ჯვარედინი იოგები მქონდა გაწყვეტილი და მკურნალობას დიდი დრო სჭირდება. სადღაც თვე, ან თვენახევარი კიდევ მჭირდება და მოედანს დავუბრუნდები. არც ვჩქარობ, მძიმე ტრავმის შემდეგ სიფრთხილეა საჭირო, თორემ ვარჯიშის ნაადრევად დაწყებამ შესაძლოა, მდგომარეობა გამირთულოს"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფორვარდმა.

ახლა მთავარი ვთქვათ: უკრაინული გაზეთი "კომანდა" ზამთრის სატრანსფერო სიახლეებს იუწყება. ლაშა ჯაკობიას თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს იგი ხარკოვის "მეტალისტს" უბრუნდება.

*"ეს გამორიცხული არაა, რადგან "არსენალში" ხარკოველებმა გამანათხოვრეს. "მეტალისტთან" კონტრაქტი ზაფხულში მიმთავრდება და ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება აქედანვე შემომთავაზეს. ჯერ ვფიქრობ და პასუხს არ ვეუბნები. მინდა, მეორე წრეში თამაშების ნაწილი მაინც ჩავატარო, ფორმა აღვიდგინო და მერე თავისუფალი აგენტი ვხდები. იმედი მაქვს, რომ ძველებურად ავთამაშდები და "მეტალისტთან" კონტრაქტი რა საჩქაროა. იქნებ, გაცილებით ძლიერ გუნდში გადავიდე. "მეტალისტში" თამაში ნაღდად არაა ჩემი ოცნება"* - ამბობს ჯაკობია.

26 წლის თავდამსხმელის თქმით, მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ეტაპზე გეგმავს ვარჯიშის განახლებას: *"იანვრის ბოლოს, ან თებერვლის შუა რიცხვებში, შესაძლოა, ვარჯიში დაიწყო. ხარკოვის "მეტალისტთან" ურთიერთობა ჯერ არ გამირკვევია, მაგრამ მას მესამე მოსამზადებელ ეტაპზე გავყვები. ამის შემდეგ გაირკვევა, "მეტალისტში" დავრჩები თუ სხვაგან გავაგრძელებ თამაშს. ტრავმებს რომ არ გავენვალებინე, ახლაც ევროპაში ვითამაშებდი, ისე, კვირა არ გავა, ზავაროვმა რომ არ დამირეკოს. შვილივით ვუყვარვარ. თუკი "არსენალს" სერიოზული სპონსორი გამოუჩნდა, მაშინ ამ გუნდთან წინასწარ გავაფორმებ ხანგრძლივ კონტრაქტს. ამის უფლება მაქვს, ძველ კლუბთან კონტრაქტის დასრულებამდე ექვსი თვით ადრე. სადაც ზავაროვი იქნება, მე იმ გუნდში სიამოვნებით ვითამაშებ. ის, რომ "მეტალისტს" შეკრებაზე გავყვები, არაფერს ნიშნავს."*

უკრაინის გარდა, ჯაკობიას ძველი მენეჯერიც დაუკავშირდა და ბელგიისა და საფრანგეთის ვარიანტებზე ჩამოუგდო სიტყვა.

*"ეს კაცი მეუბნება, თავისუფალი აგენტი რომ გახდები ევროპაში ძლიერი კლუბის მოძებნა იოლი იქნებაო. ის ადრეც ცდილობდა, რომ ბელგიაში დავბრუნებულიყავი. ზაფხულში "გენტი" და "მონსი" მიწვევდნენ, მაგრამ "მეტალისტს" თანხაზე ვერ შეუთანხმდნენ. მეც არ გამომიდევს თავი, რადგან უკრაინაში უკეთესი ჩემპიონატიცაა და ფინანსური უზრუნველყოფაც."*

**მერაბ მამულაშვილი**

# სიომინი ასათიანს კონტრაქტს სთავაზობს

მოსკოვის "ლოკომოტივის" ახლადდანიშნულმა პრეზიდენტმა **იური სიომინმა** ლიდერების შენარჩუნება და სუპერგუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. მისი თქმით, **დმიტრი სიჩოვსა** და **დინიარ ბელიალეტდინოვთან** ერთად, "ლოკომოტივის" მომავლის გუნდის აშენების იმედს **მალხაზ ასათიანსაც** უკავშირებს.

*"მათთან ძველ ხელშეკრულებებს უნდა გადავხედოთ და ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტები შევთავაზოთ"* – აღნიშნა მოსკოველთა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ეს უახლოეს ხანებში იგეგმება.

სიომინის საჯარო განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც "შალკეში" ასათიანის მიწვევა სავსებით რეალურია და ფეხბურთელის გასაჩერებლად, "ლოკომოტივი" ქართველ მცველს პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ფეხბურთელს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა, რუსი გულშემატკივრების სიყვარულის დეფიციტს არ განიცდის. დასტურად, საახალწლოდ გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებიც იკმარებს. მოსკოვის "ლოკომოტივის" გულშემატკივართა გამოკითხვით, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი გამოვლინდა. საკლუბო კონკურსი სატელევიზო პროგრამა "ლოკოს ვარსკვლავის" რედაქციამ ჩაატარა. საუკეთესოდ დინიარ ბილიალეტდინოვი გახდა, რომელმაც მალხაზ ასათიანს მცირედით გაუსწრო.

## მალხაზი, დათო, გოგიტა

"სპორტ ექსპრესის" ტრადიციული გამოკითხვით დასახელდა რუსეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ამ გამოკითხვის თავისებურება ისაა, რომ გამარჯვებულს თავად ფეხბურთელები ავლენენ. გამოკითხვის შედეგად გაიმარჯვა ზენიტელმა **ანდრეი არშავინმა** 322 ქულით, მეორეზე რუბინელი **ალეხანდრო დომინგესი** გავიდა 108 ქულით, მესამე ცსკა-ს გოლკიპერი **იგორ აკინფეევი** გახდა 98 ქულით. **მალხაზ ასათიანი** 5 ქულით (ერთი პირველი ადგილი, ერთიც მეორე) 26-ე ადგილზე გავიდა, **დავით მუჯირი** ამდენივე ქულით - 29-ეზე (ერთი პირველი, 2 მესამე), 2 ქულა **გოგიტა გოგუასაც** აქვს.

მეორე ნომრად მალხაზ ასათიანი **მარატ იზმაილოვმა** დაასახელა მოსკოვის "ლოკომოტივიდან". ნალჩიკის "სპარტაკელმა" **ბიტოკოვმა** გოგიტა გოგუა დაასახელა მეორე ნომრად. თავად გოგიტას სამეული კი ასე გამოიყურება: ასათიანი, დომინგესი, პავლიუჩენკო. "კრილია სოვეტოვის" სამხრეთაფრიკელმა მცველმა **ბუტმა** რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელად დავით მუჯირი დაასახელა, თანაგუნდელმა **კანჩელსკისმა** დათოსთვის მესამე ადგილი გაიმეტა, ისევე როგორც "კრილიელმა" **ლონგევკამ**. თავად მუჯირის სამეული ასე გამოიყურება: არშავინი, აკინფეევი, დომინგესი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**მერაბ მამულაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთი

# დასაკარგი არაფერია



ვასილ არუდაშვილი

საშინლად ჩატარებული პირველი წრის მიუხედავად, თელაველები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ სეზონის მეორე ნახევარში "კახეთს" კვლავ **ვასილ არუდაშვილი** უხელმძღვანელებს. ახალბედა მწვრთნელი შეგირდებს 9 იანვარს შეკრებს და მზადებას თელავში დააწყებინებს.

არსებობს ბაკურიანული შეკრების ვარიანტიც, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ "კახეთი" კურორტზე არ გაემგზავრება. არუდაშვილი თელავური პირობებითა და სტადიონის მდგომარეობით სავსებით კმაყოფილია. სპარინგმატჩების ჩასატარებლად გუნდი დროდადრო თბილისში ჩამოვა.

რაც შეეხება საკადრო გადაადგილებებს: **იმერლიშვილითა და ბიძინაშვილით** "ვიტ ჯორჯიაა" დაინტერესებული და მოსალოდნელია, რომ ეს ტრანსფერები განხორციელდება კიდეც. სავარაუდოდ, დედაქალაქურ "მერანში" გააგრძელებს კარიერას **კევლიშვილი**.

არუდაშვილი იმედოვნებს, რომ გუნდის დანარჩენ ლიდერებს მაინც შეინარჩუნებს. შესაბამისად "ლოკომოტივისა" და "გაგრის" წინადადებების მიუხედავად, ალბათ, სეზონს "კახეთში" ჩაამთავრებენ **ძამუკაშვილი** და **მურველაშვილი**. ასევე მოსალოდნელია მეკარე **ცინაძის** დარჩენაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდი საიმედო კიპერის გარეშე დარჩება. მეორე გოლკიპერ **იაშვილს** რაც შეეხება, "კახეთის" მწვრთნელს მისი დატოვება ძალიან სურს, მაგრამ იგი ალბათ გუნდს შეიცვლის.

"კახეთის" ახალწვეულთაგან ვერავის გამოვარჩევთ. გურჯაანიდან თელაველებს **კუპრაშვილი** შეუერთდება. მის გარდა, "კახეთი" ლაგოდეხიდან და ყვარლიდან დაიმატებს ფეხბურთელებს. ყველა მათგანი ახალგაზრდაა და "კახეთს" განათხოვრების შემდეგ უბრუნდება. როგორც ხედავთ, წამსვლელთა რაოდენობა და, რაც მთავარია, დონე, მომსვლელებისას აღემატება. არაა გამორიცხული, თელაველები უფრო გამოცდილი მოთამაშეებითაც გაძლიერდნენ, თუმცა, ჯერჯერობით, ამის თაობაზე კონკრეტული არაფერი ისმის.

*"სამწუხაროდ, ჯერჯერობით, გასავარდნ ზონაში მყარად ვართ მოქცეულნი. არადა, პირველ წრეში იყო რამდენიმე მატჩი, სადაც მარცხს არ ვიმსახურებდით. ბოლო ადგილზე ყოფნის მიუხედავად, იმედი არ გადაგვიწურავს. დასაკარგი არაფერია და უმაღლესში დასარჩენად ბოლომდე ვიბრძოლებთ"*, - ამბობს ვასილ არუდაშვილი.

მისივე თქმით, კლუბის სადღეისო ფინანსური მდგომარეობა დასახული მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ხიზანიშვილის გოლი ჰესკის ავტოგოლად გაფორმდა

# ზურას გოლი არ დაანებეს

**ზურაბ ხიზანიშვილი** "ბლექბერნ როვერსს" "ვიგანთან" გასვლით მატჩში დაუბრუნდა. მან და შვეიცარიელმა **სტეფან ანშომ** სტუმართა დაცვის ცენტრში **ენდი ტოდისა** და **ანდრე ოიერის** დუეტი შეცვალეს და წარმატებითაც, "ბლექბერნმა" 3:0 იმარჯვა. ის კი არა, ახალ წელს ზურა გატანილი გოლით დაიწყებდა, რომ არა მეტოქის ფორვარდი. 37-ე წუთზე **პედერსენის** საჯარიმოს თავით ხიზანიშვილი გამოეხმაურა, თუმცა ბურთს გზა "ვიგანის" ფორვარდმა **ემილ ჰესკიმ** გადაუღობა და თავურით საკუთარი კარი დალაშქრა. ხიზანიშვილმა მატჩში 7-ბალიანი შეფასება მიიღო და 90 წუთი ითამაშა. ამასთან ქართველი მცველი ზედმეტი აქტიურობისთვის გააფრთხილეს კიდეც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბათუმი

# თოთლაძე თავისუფალია!



ირაკლი თოთლაძე

წინასაახალწლო დღეებში ბათუმელებმა და მთლიანად, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებმა სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს – პატიმრობიდან გაათავისუფლეს "ბათუმის" ახალგაზრდა გოლკიპერი **ირაკლი თოთლაძე**.

როგორც გახსოვთ, იგი სამწუხარო გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. ირაკლიმ ბათუმის იზოლატორში რამდენიმე კვირა გაატარა, შინ იგი 28 დეკემბერს დაბრუნდა. ცუდი ისაა, რომ იგი, ჯერჯერობით, მხოლოდ თავდებშია გაშვებული, მაგრამ იმედია, სამართლიანობა მალე იზეიმებს და კარგი ფეხბურთელი და პატიოსანი პიროვნება საყვარელ საქმეზე სრულად გადართვას შეძლებს.

*"საბედნიეროდ, ყველაზე უარესი უკან დარჩა. მჯერა, უახლოეს მომავალში სიმართლე საბოლოოდ გაირკვევა. დიდი მადლობა იმ ხალხს, რომლებმაც ამ რთულ პერიოდში ირაკლის სატკივარი გულთან ახლოს მიიტანა. განსაკუთრებულად სპორტული პრესის თანადგომას აღვნიშნავდი.*

*რა გასაკვირია, რომ თოთლაძის არყოფნაში ბიჭები დათრგუნულნი იყვნენ და "ბათუმის" წარუმატებლობაში ამ ფაქტორმაც ითამაშა უდიდესი როლი. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ძალიან მალე დაივიწყებს უსიამოვნებებს, ჩვეულ ფორმასაც დაიბრუნებს და სეზონის მეორე ნახევარში კვლავინდებურად ჩვენი გუნდის ლიდერი იქნება"*, - გვითხრა "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კობიაშვილმა ფანები შემოგვირიგა

გერმანიის ბუნდესლიგის პირველი წრე **ლევან კობიაშვილის** "შალკემ" ბრემენის "ვერდერთან" ერთად პირველ ადგილზე ჩაამთავრა. ეს ორი გუნდი მესამე საფეხურზე მყოფ მიუნხენის "ბაიერნს" 3 ქულით უსწრებს. გერმანულმა გამოცემა "შპორტ რევიერმა" სეზონის განვლილ პირველ ნახევარში "შალკეს" ფეხბურთელები შეაფასა და რამდენიმე სიტყვით დაახასიათა. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს კობიაშვილის შეფასება. გერმანელი მიმომხილველები კობის შეფასებისას საქართველოს ნაკრების წევრის შემრიგებლურ მისიას არ ივიწყებენ და მას გამორჩეულად მიიჩნევენ.

*"ლევან კობიაშვილი "ბაიერნთან" მატჩში ერთ-ერთ საუკეთესო იყო. სწორედ მისმა შესანიშნავმა გოლმა დაარღვია ფანების პროტესტი და ქომაგები და გუნდი ისევ გააერთიანა. კობის გოლისას "შალკეს" ფანებმა გამაყრუებელი ოვაციები მოაწყვეს. ქართველმა ეს შემრიგებლური მისია საჭირო გოლით იკისრა.*

*ლევან კობიაშვილმა პირველ წრეში საუკეთესო მატჩები "ვერდერთან" და "კოტბუსთან" ჩაატარა. სხვა შეხვედრებშიც არ უთამაშია ურიგოდ, მან "შალკეს" უდიდესი სარგებელი მოუტანა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე წრეშიც მაღალ დონეზე იასპარეზებს"*, - წერს "შპორტ რევიერი" საქართველოს ნაკრების წევრზე.

**დავით ცაბაძე**

## კალაძე მალტაზე

სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს „მილანი" მალტაზე გადის. **კახა კალაძე** და მისი თანაგუნდელები კუნძულზე 2 იანვარს გაემგზავრნენ და იქ 9 რიცხვამდე დარჩებიან. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მიკროტრავმა უკვე მოირჩინა და მომავალ ბატალიებს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს მისი „რომაში" გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ეს უფრო ჭორია, ვიდრე რეალობა. ყოველ შემთხვევაში კონკრეტული ამ საქმესთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, იტალიური წყაროები მხოლოდ ზოგადი საუბრით შემოიფარგლებიან. თავად კალაძემაც აღნიშნა „ლელოსთან" საუბარში, რომ ეს ჭორია და კონკრეტული არაფერი ხდება.

## ორნი რუბინულ შეკრებაზე

გუშინ ყაზანის „რუბინი" მოსკოვის გავლით თურქულ კურორტ ბელექზე გაფრინდა, სადაც 18 იანვრამდე მომავალი სეზონისათვის მოსამზადებელ პირველ შეკრებას გაივლის. 14-ში „რუბინი" საკონტროლო მატჩში ბრემენის „ვერდერს" შეხვდება. შეგახსენებთ, ამ გუნდში ორი ქართველიღა დარჩა – **ლაშა სალუქვაძე** და **ნუკრი რევიშვილი**. **მიხეილ აშვეთიამ** და **გიორგი ქინქლაძემ** ყაზანი გასული სეზონის დასრულებისთანავე დატოვეს. თუკი ქინქლაძის ამბავი გადაწყვეტილია, აშვეთია ჯერ კიდევ აქვს შანსი მომავალ სეზონშიც ყაზანელთა ღირსება დაიცვას. მოლაპარაკება აშვეთიას აგენტსა და ფეხბურთელის მსურველ კლუბებს შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ვინ იცის, რომელი მათგანი შესთავაზებს უკეთეს პირობებს ქართველ ფორვარდს. ერთი კია, აშვეთია კარიერას უკრაინაში ან რუსეთში გააგრძელებს. თავად ფეხბურთელს რუსეთის ვარიანტი უჯობს, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ლომაია წავიდა, ჩიხრაძე ლუჩელია!

სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია**? ამის თაობაზე ჯერ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. ვერც ფეხბურთელი ამბობს გარკვეულ პასუხს და არც მისი მსურველი კლუბების წინადადებებია ცნობილი. ფაქტია მხოლოდ ისაა, რომ გიორგი ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიაში" ვერ ითამაშებს. სპორტულმა დირექტორმა **ოლეგ ფლეგონტოვმა** გუშინ ჩვენთან საუბარში საინტერესო სიახლეები გაგვიმხილა:

*"შემიძლია უკვე გითხრათ, რომ ახალი წლიდან ლომაია ჩვენთან ნაღდად არ ითამაშებს. მას არენდის ვადა დაუსრულდა და ახალ გუნდს ეძებს. თუმცა ლომაიას ქართველი მეკარე საშა ჩიხრაძე შეცვლის, რომელმაც ნალჩიკის "სპარტაკში" სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ჩვენ უკვე შევუთანხმდით ერთმანეთს პირობებზე და ჩიხრაძე სეზონისთვის მზადებას "ლუჩ-ენერგიაში" დაიწყებს".*

აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით. "ლუჩ-ენერგიამ" უკვე გააფორმა კონტრაქტი ჩეხეთის ნაკრების კანდიდატ **მარეკ ჩეხთან**. სავარაუდოა, რომ პირველ ნომრად ვლადივოსტოკელებს სწორედ ჩეხი უნდათ, ყოველ შემთხვევაში, ჩეხეთის ნაკრების კანდიდატი დაბალი კლასის მეკარე ნამდვილად არ იქნება და გაურკვეველია უღირს კი ჩიხრაძეს გადასვლა გუნდში, სადაც მისი ძირითადში თამაში სათუოა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლიდერთა საახალწლო მატჩი

ქართველები ირანში

საახალწლოდ ირანულ პრემიერლიგაში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა, რომლის მშვენებაც ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი იყო "საიფასა" და "ესტეღლალს" შორის. ლიდერისა და თეირანული კლუბის შეხვედრის სანახავად 40 ათასი მაყურებელი მივიდა. სტუმართა რიგებში თავიდან ბოლომდე ითამაშა ქართველმა **აქვსენტი გილაურმა**. ტაიმი სტუმრებმა 1:0 მოიგეს, თუმცა მეორე ტაიმში **ალი დაეიმ** და კომპანიამ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა - 3:1. "საიფა" 33 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, "ესტეღლალი" 27 ქულით მეორეა. იმარჯვა **ჯაბა მუჯირის** "სეფაჰანმა". კლუბმა ისპაჰანში 3 ათასი მაყურებლის თვალწინ 2:1 მოუგო "ფოლადს". ჯაბამ 90 წუთი ითამაშა, "სეფაჰანი" 21 ქულით პრემიერლიგაში მეექვსეა. მე-15 ტურის მატჩები ირანში დღეს-ხვალ გაიმართება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XX-XXI ტურები

# ტერი, ჩელსის ბოლო იმედი?

## ტიერი დაბრუნდა და გაიტანა...



ტიერი ანრიმ დაბრუნება გოლით აღნიშნა

ახალი წლის დღეებში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ოთხი ქულა მოიხვეჭა - შაბათს „რედინგი" დაამარცხა, ხოლო ორშაბათს „ნიუკასლთან"ქულები გაიყო. „რედინგთან" მატჩში ისევ დუბლი შეასრულა **კრისტიანო რონალდომ** - მესამედ ბოლო ათ დღეში. პორტუგალიელმა გარემარბმა მიმდინარე სეზონში 11 გოლს მოუყარა თავი. იმავე მატჩში მესამე გოლი **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** გაიტანა. ნორვეგიელი ვეტერანი ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება. „ნიუკასლთან" მატჩის წინ **სერ ალექს ფერგიუსონმა** თამამად გამოაცხადა, სოლსკიაერი სეზონს მინიმუმ 15 გოლით დაასრულებსო. მას ამ ნიშნულამდე ბევრი აღარ უკლია. „რედინგთან" თამაშის შემდეგ ოლე გუნარის მონაგარმა 8 გოლს მიაღწია.

დუბლი ნიუკასლშიც შესრულდა. ამჯერად მისი ავტორი **პოლ სქოულზი** იყო. არც სქოულზის ორი გოლი და არც „მენიუს" ლიდერების შთამბეჭდავი ასპარეზობა საკმარისი არ აღმოჩნდა „სენტ ჯეიმსზე" გასამარჯვებლად. ტრავმებით დასუსტებულმა მასპინძლებმა ერთი ქულის გადასარჩენად უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს. **გლენ როუდერმა** მინდორზე უხმო 19 წლის მცველ **დევიდ ედგარს**, რომლისთვისაც ეს პირველი საშინაო მატჩი გახლდათ პრემიერლიგაში. და აი, ედგარმა დებიუტი გოლით აღნიშნა. მისი წყალობით „ნიუკასლი" წაგებას გადაურჩა, ხოლო „მენიუმ" ზედიზედ მეოთხე თამაშის მოგება ვერ შეძლო. ამის მიუხედავად, ორი მატჩის შემდეგ „იუნაიტედმა" „ჩელსისთან" სხვაობა 6 ქულამდე გაზარდა და ცხრილის სათავეში პოზიციები განიმტკიცა. ედგარის გარდა, სტუმართა განბილებაში **შეი გივენმაც** შეიტანა წვლილი. ირლანდიელმა მეკარემ „ნიუკასლის" მაისურით პრემიერლიგის მე-400 მატჩი ჩაატარა...

ორი ქულა ორ საახალწლო მატჩში - ასეთია „ჩელსის" მონაგარი. ჩემპიონებმა ვერც „ფულჰემთან" გაანწყვეს რამე (2:2) და ვერც „ასტონ ვილასთან" (0:0). შაბათს ანგარიში სტუმრებმა გახსნეს - ფულჰემელი **მორიც ვოლცი** ისტორიაში შევიდა, როგორც პრემიერლიგის მე-15 000 გოლის ავტორი. „არისტოკრატები" **პოლ როსენორის** ავტოგოლისა და **დიდიე დროგბას** (6 გოლი ბოლო 6 მატჩში) წყალობით, მეორე ნახევრის დასაწყისში დაწინაურდნენ. ეს უკანასკნელი „ჩელსის" პირველი ფეხბურთელი გახდა ბოლო ათწლეულში, რომელმაც სეზონში (ყველა ტურნირზე) 20 გოლი შეაგდო. დროგბას გასაოცარმა შედეგიანობამ ისევ არ იკმარა. 84-ე წუთზე **კარლოს ბოკანეგრამ** თამაშს წერტილი დაუსვა.

„ფულჰემის" განსაკუთრებულობას ის უსვამს ხაზს, რომ **კრის კოულმენის** შეგირდებს ლიდერებისთვის ქულების წართმევა ტრადიციად აქვთ, მაგრამ ასევე ტრადიციაა უიმედო აუტსაიდერებთან გულუხვობის გამოჩენა. ამის მაგალითად, „ჩელსისთან" მატჩის შემდეგ ორ დღეში ბოლოადგილოსან „უოტფორდთან" საშინაო ფრეც კმარა.

დავუბრუნდეთ „არისტოკრატებს". ყოზე მოურინიოს ხსნა **ჯონ ტერის** სწრაფ გამოჯანმრთელებაში უნდა ვეძებოთ. მის გარეშე გამართულ 5 შეხვედრაში ლონდონელებმა 8 გოლი გაუშვეს და 6 ქულა გაანიავეს. სწორედ ეს 6 ქულა ჰყოფთ „არისტოკრატებს" „მანჩესტერ იუნაიტედისგან". „ვილასთან" მატჩში „ჩელსის" **ხალიდ ბულარუზიც** გამოაკლდა - ტერის შემცვლელმა საზარდული იტკინა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს.

სხვათა შორის, „ჩელსიმ" „ასტონ ვილას" სეზონის დასაწყისში, საკუთარ მოედანზეც ვერ მოუგო. ორშაბათის უგოლო ფრის შემდეგ ბირმინგემელებმა მოუგებელი სერია 10 თამაშამდე აიყვანეს, ახლა კი ასოციაციის თასსა და პრემიერლიგის მომდევნო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედთან" ზედიზედ ორი მატჩი ელით...

„ლივერპულმა" საახალწლოდ 6 ქულა ჩაიჯიბა და მყარად მოკალათდა მესამე საფეხურზე. მას კონკურენტების - „არსენალის", „პორტსმუთისა" და „ბოლტონის" მიერ განიავებული ქულები დაეხმარა. ამათგან „ბოლტონი" მერსისაიდელებმა პირადად დაამწუხრეს, თუმცა ორი დღით ადრე უფრო ღირშესანიშნავ გამარჯვებას გაუსინჯეს გემო - სტუმრად „ტოტენჰემთან", რომელსაც „უაით ჰართ ლეინზე" ზედიზედ 12-ჯერ მოეგო. მიმდინარე სეზონში „ლივერპულმა" მეტოქის მოედანზე მესამედ გაიმარჯვა. „მამლებს" ერთადერთი გოლი **ლუის გარსიამ** შეუგდო.

ორშაბათს **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა სამჯერ უფრო შედეგიანად ითამაშეს, მაგრამ „ბოლტონთან" მოგებაც დიდი შრომის ფასად დაუჯდათ. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ 61-ე წუთზე ანგარიში **პიტერ კრაუჩმა** გახსნა. კრაუჩს, შეიძლება, „ენფილდის" დატოვება მოუხდესო. ამ ცნობას არცერთი ოფიციალური პირი არ ადასტურებს. პიტერმა ძირითადში დაშავებული **კრეგ ბელამი** შეცვალა და დამსახურებული

გაგრძელება მე-6 გვერდზე

### XX ტური

**მანჩესტერ იუნ.-რედინგი 3:2**

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, რონალდო (78. ფლეტჩერი), ოში, ქერიკი, პარკი (46. გიგზი), რუნი (79. რიჩარდსონი), სოლსკიაერი.

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი (59. სოდიე), სონკო, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (66. კი ჰიეონი), სიდველი, გუნარსონი, ჰარპერი, დოილი (73. ჰანტი), ლიტა.

**გოლები:** 1:0 სოლსკიაერი (33), 1:1 სონკო (38), 2:1 რონალდო (59), 3:1 რონალდო (77), 3:2 ლიტა (90).

**გაძევება:** სოდიე (69. რედინგი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 28(12)-7(3); **ჯარიმა:** 9-11; **კუთხური:** 13-4.

**მაყურებელი:** 75 910

**ჩელსი-ფულჰემი 2:2**

**ჩელსი:** ილარიო, ჯერემი (57. შევჩენკო), ფერეირა, კარვალიო, ეშლი კოული, ესიენი, ბალაკი, მაკელელე (86. რაიტ-ფილიპსი), ლემპარდი, დროგბა, კალუ (80. ბრიჯი).

**ფულჰემი:** ნიემი, როსენორი, კრისტანვალი, ბოკანეგრა, კუოდრო, რუთლიჯი, ვოლცი, ბრაუნი, რაძინსკი, მაკბრაიდი, ჯონი (68. ბოა მორტე).

**გოლები:** 0:1 ვოლცი (16), 1:1 როსენორი (35-საკ.კარში), 2:1 დროგბა (62), 2:2 ბოკანეგრა (84).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 15(4)-11(6); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 5-5.

**მაყურებელი:** 41 926

**შეფილდ იუნ.-არსენალი 1:0**

**შეფილდი:** კენი (61. ტონგე), კოზლუკი, მორგანი, ჟაგიელკა, არმსტრონგი, გილესპი, მონტგომერი, ლიგერტვუდი (27. დევისი), ქუინი, ნეიდი (70. ჰალსი), კაზიმ რიჩარდსი.

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი (64. ფაბრეგასი), კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, ჟულიო ბაპტიშტა, ჟილბერტო, როსიცკი (83. დენილსონი), ფლამინი, ვან პერსი, ალიადიერი.

**გოლი:** 1:0 ნეიდი (41).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(5)-9(4); **ჯარიმა:** 11-5; **კუთხური:** 5-9.

**მაყურებელი:** 32 086

**ტოტენჰემი-ლივერპული 0:1**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, დევენპორტი, ლი, გალი, ჰადელსტონი, ზოკორა (56. მერფი), მალბრანკი, დეფო, მიდო (59. ბერბატოვი).

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, ლუის გარსია, ალონსო, ჯერარდი, აურელიო (79. გონსალესი), ბელამი (49. პენანტი), კუიტი (66. კრაუჩი).

**გოლი:** 0:1 ლუის გარსია (45).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 9(3)-10(5); **ჯარიმა:** 5-21; **კუთხური:** 2-3.

**მაყურებელი:** 36 170

**ბოლტონი-პორტსმუთი 3:2**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფაიე, ბენ ჰაიმი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დიუფი (82. პედერსენი), ანელკა, დევისი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი (75. ობრაიენი), კემპბელი, პამარო (78. მვარუვარი), ონილი (68. ტომპსონი), ფერნანდესი, ტეილორი, დევისი, კრანჩარი, ენდი კოული.

**გოლები:** 0:1 ტეილორი (2), 1:1 ფაიე (30), 2:1 კამპო (40), 3:1 ანელკა (62), 3:2 ენდი კოული (89).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 12(7)-14(7); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 8-7.

**მაყურებელი:** 22 447

**ბლექბერნი-მიდლსბრო 2:1**

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ტოდი, ოოიერი, ნილი, ბენტლი, სევიჯი, ქერიმოღლუ (68. მოკოენა), პედერსენი, ნონდა (85. დერბიშირი), მაკარტი.

**მიდლსბრო:** შვარცერი, დევისი (84. კრისტი), ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, მორისონი (84. ჯონსონი), ბოატენგი (78. იუელი), კატერმოული, დაუნინგი, იაკუბუ, ვიდუკა.

**გოლები:** 1:0 ნონდა (9), 1:1 იაკუბუ (61-პენ), 2:1 მაკარტი (74).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(7)-8(5); **ჯარიმა:** 16-21; **კუთხური:** 6-3.

**მაყურებელი:** 22 653

**უოტფორდი-ვიგანი 1:1**

*(მინდვრის დატბორვის გამო 55-ე წუთზე შეწყდა)*

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ბანგურა, მაკნემი, იანგი, პრისკინი.

**ვიგანი:** კერკლანდი, რაიტი, დე ზეეუვი, ბოისი, ბაინესი, კოტერილი, სკოკო, ლანდზაატი, კილბეინი, ჰესკი, ტოდოროვი.

**გოლები:** 0:1 ჰესკი (23), 1:1 პრისკინი (44).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 4(2)-5(3); **ჯარიმა:** 9-6; **კუთხური:** 4-2.

**მაყურებელი:** 19 560

**ევერტონი-ნიუკასლი 3:0**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე, ოსმანი, კარსლი, არტეტა, ვან დერ მეიდე (78. დევისი), ჯონსონი (71. ბიტი), ანიჩებე (71. მაკფადენი).

**ნიუკასლი:** გივენი, სოლანო, რემიჯი (37. სიბირსკი), ტეილორი, ჰანთინგტონი, მილნერი, ბატი, პარკერი, ემრე, დაიერი (78. პეტისონი), მარტინსი.

**გოლები:** 1:0 ანიჩებე (9), 2:0 ანიჩებე (58), 3:0 ნევილი (62).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 16(9)-7(3); **ჯარიმა:** 7-11; **კუთხური:** 7-12.

**მაყურებელი:** 38 682

**ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი 0:1**

**ვესტ ჰემი:** გრინი, დეილი, ფერდინანდი, გებიდონი (86. მიერსი), სპექტორი, ბენაიუნი, ბოუიერი, მულინზი, ეთერინგტონი (56. ტევესი), შერინგემი (68. კარლტონ კოული), ჰერვუდი.

**სიტი:** ვივერი, ონუოა, დანი, დესტენი, ჯორდანი, ტრაბელსი, ირლანდი (65. ბისლი), დაბო, რიჩარდსი, ვასელი (88. მილერი), კორადი (70. სამარასი).

**გოლი:** 0:1 ბისლი (83).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(6)-7(5); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 6-2.

**მაყურებელი:** 34 574

**ჩარლტონი-ასტონ ვილა 2:1**

**ჩარლტონი:** კარსონი, სანკოფა, ჰრეიდარსონი, ელ ქარქური, ტრაორე, ემბროუზი, კიშიშევი (46. ჰიუზი), ჰოლანდი, რომედალი (83. ტომასი), მარკუს ბენტი (80. ჰასელბენკი), დარენ ბენტი.

**ვილა:** კირალი, მელბერგი, ჰიუზი, კაჰილი, ბერი, დევისი, მაკენი, გარდნერი, პეტროვი (70. ოსბორნი), ანხელი (63. ბუმა), აგბონლაორი.

**გოლები:** 0:1 ბერი (40-პენ), 1:1 დარენ ბენტი (57), 2:1 ჰიუზი (90).

**გაძევება:** ბერი (61. ასტონ ვილა).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(8)-6(2); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 7-4.

**მაყურებელი:** 26 699

### XXI ტური

**ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ. 2:2**

**ნიუკასლი:** გივენი, სოლანო, ტეილორი, ჰანთინგტონი, ედგარი, დაიერი, პარკერი, ემრე (87. პეტისონი), მილნერი, მარტინსი, სიბირსკი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, ფლეტჩერი (77. ქერიკი), სქოულზი, გიგზი, რუნი, საა (36. პარკი).

**გოლები:** 1:0 მილნერი (33), 1:1 სქოულზი (40), 2:1 სქოულზი (46), 2:2 ედგარი (74).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(8)-20(8); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 1-10.

**მაყურებელი:** 52 302

**ლივერპული-ბოლტონი 3:0**

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, პენანტი, ალონსო, ჯერარდი (85. აურელიო), გონსალესი (69. ლუის გარსია), კრაუჩი, კუიტი (85. ფაულერი).

**ბოლტონი:** იააკელაინენი, ჰანტი, ფაიე, ბენ ჰაიმი, გარდნერი, კამპო, ნოლანი (81. თეიმურიანი), სპიდი (66. ტალი), დიუფი (66. ვას ტე), ანელკა, დევისი.

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (61), 2:0 ჯერარდი (63), 3:0 კუიტი (83).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(8)-20(8); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 1-10.

**მაყურებელი:** 41 370

**პორტსმუთი-ტოტენჰემი 1:1**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, პამარო (13. კრანჩარი), ონილი (73. კოული), პედრო მენდესი, დევისი, ტეილორი, კანუ, მვარუვარი.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, დევენპორტი, ლი, გალი (46. მერფი), ჰადელსტონი, ტაინიო, მალბრანკი (79. გარდნერი), ბერბატოვი, დეფო.

**გოლები:** 1:0 მვარუვარი (29), 1:1 მალბრანკი (50).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 15(9)-9(7); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 10-6.

**მაყურებელი:** 20 194

**მანჩესტერ სიტი-ევერტონი 2:1**

**სიტი:** ვივერი, ონუოა, დანი, დესტენი, ტრაბელსი (85. მილერი), რიჩარდსი, დაბო, ბისლი, ჯორდანი, კორადი (46. სამარასი), ვასელი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე (46. ნეისმითი), დევისი (65. მაკფადენი), კარსლი, არტეტა, ოსმანი, ჯონსონი, ბიტი (65. ანიჩებე).

**გოლები:** 1:0 სამარასი (50), 2:0 სამარასი (72-პენ), 2:1 ოსმანი (84).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(7)-15(5); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 4-6.

**მაყურებელი:** 39 836

**ვიგანი-ბლექბერნი 0:3**

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ჰოლი, დე ზეეუვი, ბაინესი, კოტერილი, სკოკო (46. რაიტი), ლანდზაატი, კილბეინი, ჰესკი, იოჰანსონი.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ანშო (73. ტოდი), ხიზანიშვილი, ნილი, ბენტლი, სევიჯი, მოკოენა, პედერსენი, ნონდა (46. დერბიშირი), მაკარტი (77. გალაგერი).

**გოლები:** 0:1 ჰესკი (37-საკ.კარში), 0:2 დერბიშირი (58), 0:3 მაკარტი (76-პენ).

**გაფრთხილება:** 0-5; **დარტყმა:** 14(5)-8(5); **ჯარიმა:** 10-16; **კუთხური:** 5-5.

**მაყურებელი:** 14 864

**რედინგი-ვესტ ჰემი 6:0**

**რედინგი:** ჰანემანი, გუნარსონი, ინგიმარსონი, სონკო (54. ბიკეი), შორი, ლიტლი (54. ოსტერი), სიდველი, ჰარპერი (71. კი ჰიეონი), ჰანტი, დოილი, ლიტა.

**ვესტ ჰემი:** გრინი, დეილი, ფერდინანდი, გებიდონი, კონჩესკი, ბოუიერი (19. ნიუტონი), რეო-კოკერი, მულინზი, ბენაიუნი (78. კოული), ჰერვუდი (46. სპექტორი), ზამორა.

**გოლები:** 1:0 გურანსონი (12), 2:0 ჰანტი (15), 3:0 ფერდინანდი (30-საკ.კარში), 4:0 დოილი (36), 5:0 ლიტა (53), 6:0 დოილი (78).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 18(9)-9(3); **ჯარიმა:** 6-13; **კუთხური:** 3-3.

**მაყურებელი:** 24 073

**მიდლსბრო-შეფილდ იუნ. 3:1**

**მიდლსბრო:** შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი (33. პერნაბი), პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული, ბოატენგი, არკა (86. მორისონი), დაუნინგი, იაკუბუ, ვიდუკა.

**შეფილდი:** ჯერარდი, კოზლუკი, მორგანი, დევისი, არმსტრონგი, გილესპი (78. კაზიმ რიჩარდსი), ჟაგიელკა, ტონგე, სტივ ქუინი (78. ალან ქუინი), ჰალსი, ვებერი (59. ნეიდი).

**გოლები:** 1:0 ვიდუკა (36), 1:1 ჟაგიელკა (45-პენ), 2:1 იაკუბუ (69), 3:1 იაკუბუ (76-პენ).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13(7)-6(3); **ჯარიმა:** 10-11; **კუთხური:** 7-3.

**მაყურებელი:** 27 963

**ფულჰემი-უოტფორდი 0:0**

**ფულჰემი:** ნიემი (61. ლაშტუვკა), როსენორი, ბოკანეგრა, კრისტანვალი, კუოდრო, რუთლიჯი (66. ბოა მორტე), ბრაუნი, ვოლცი, რაძინსკი, ჰელგუსონი, მაკბრაიდი (78. ჯონი).

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, შიტუ (34. მაკეი), დემერიტი, სტიუარტი, სმიტი (46. ჰენდერსონი), მაჰონი, ბანგურა, მაკნემი (90. ფრენსისი), იანგი, პრისკინი.

**გაძევება:** პრისკინი (90. უოტფორდი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16(4)-13(5); **ჯარიმა:** 6-17; **კუთხური:** 6-7.

**მაყურებელი:** 19 698

**არსენალი-ჩარლტონი 4:0**

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი, ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი (82. დენილსონი), ჟილბერტო (70. ფლამინი), როსიცკი (77. ალიადიერი), ანრი, ვან პერსი.

**ჩარლტონი:** კარსონი, სანკოფა, ელ-ქარქური, დიავარა, ტრაორე, რომედალი, ჰიუზი (32. ფორჩუნი), ფაიე (77. კიშიშევი), ჰოლანდი, ემბროუზი (63. ტომასი), მარკუს ბენტი.

**გოლები:** 1:0 ანრი (30-პენ), 2:0 ჰოიტი (45), 3:0 ვან პერსი (76-პენ), 4:0 ვან პერსი (90).

**გაძევება:** სანკოფა (29. ჩარლტონი)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(10)-4(2); **ჯარიმა:** 13-9; **კუთხური:** 8-2.

**მაყურებელი:** 60 057

**ასტონ ვილა-ჩელსი 0:0**

**ვილა:** კირალი, მელბერგი, კაჰილი, რიჯველი, ბუმა, გარდნერი (27. ოსბორნი), მაკენი, პეტროვი, დევისი (75. ბაროში), აგბონლაორი, ანხელი.

**ჩელსი:** ილარიო, ფერეირა, ბულარუზი (33. ჯერემი), კარვალიო, ეშლი კოული, ესიენი, მაკელელე, ლემპარდი, რაიტ-ფილიპსი (66. შევჩენკო), დროგბა, კალუ (75. მიკელი).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 4(2)-22(12); **ჯარიმა:** 7-13; **კუთხური:** 5-8.

**მაყურებელი:** 41 006

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ. | 22 | 17 | 3 | 2 | 49-15 | 54 |
| 2. ჩელსი | 22 | 14 | 6 | 2 | 37-17 | 48 |
| 3. ლივერპული | 22 | 12 | 4 | 6 | 32-16 | 40 |
| 4. არსენალი | 22 | 11 | 6 | 5 | 41-19 | 39 |
| 5. ბოლტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 27-21 | 39 |
| 6. პორტსმუთი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-22 | 36 |
| 7. ტოტენჰემი | 22 | 9 | 5 | 8 | 26-28 | 32 |
| 8. ევერტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 28-22 | 31 |
| 9. რიდინგი | 22 | 9 | 3 | 10 | 30-30 | 30 |
| 10. მანჩ. სიტი | 22 | 8 | 5 | 9 | 19-25 | 29 |
| 11. ბლექბერნი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-29 | 28 |
| 12. ფულჰემი | 22 | 6 | 9 | 7 | 22-32 | 27 |
| 13. ასტონ ვილა | 22 | 5 | 11 | 6 | 23-25 | 26 |
| 14. ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-28 | 26 |
| 15. მიდლსბრო | 22 | 6 | 6 | 10 | 21-27 | 24 |
| 16. შეფილდი | 22 | 6 | 5 | 11 | 17-29 | 23 |
| 17. ვიგანი | 21 | 6 | 4 | 11 | 23-32 | 22 |
| 18. ვესტ ჰემი | 22 | 5 | 3 | 14 | 12-33 | 18 |
| 19. ჩარლტონი | 22 | 4 | 4 | 14 | 17-40 | 16 |
| 20. უოტფორდი | 20 | 1 | 9 | 10 | 12-26 | 12 |

**ბომბარდირები:** 13 - დროგბა (ჩელსი); 12 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 10 - ვან პერსი (არსენალი), დოილი (რიდინგი); 9 - კანუ (პორტსმუტი), მაკარტი (ბლექბერნი), აიეგბენი (მიდლსბრო).

### ჩემპიონატი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბარნსლი-უენსდი | 0:3 |
| კარდიფი-კრ.პალასი | 0:0 |
| კოლჩესტერი-ვულვზი | 2:1 |
| კოვენთრი-საუთენდი | 1:1 |
| დერბი-პლიმუტი | 1:0 |
| ჰალი-ბარნსლი | 2:0 |
| ნორვიჩი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| საუთჰემპტონი-ლესტერი | 2:0 |
| სტოკი-ლიდსი | 3:1 |
| სანდერლენდი-პრესტონი | 0:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-იფსვიჩი | 2:0 |

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კრ.პალასი-ნორვიჩი | 3:1 |
| იფსვიჩი-ბირმინგემი | 1:0 |
| ლიდსი-კოვენთრი | 2:1 |
| ლესტერი-სანდერლენდი | 0:2 |
| ლუტონი-კარდიფი | 0:0 |
| პლიმუტი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| პრესტონი-დერბი | 1:2 |
| ქუინზ პარკი-კოლჩესტერი | 1:0 |
| უენსდი-ჰალი | 1:2 |
| საუთენდი-ვესტ ბრომვიჩი | 3:1 |
| ვულვზი-ბარნსლი | 2:0 |
| ბარნსლი-სტოკი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46-26 | 53 |
| 2. დერბი | 27 | 15 | 5 | 7 | 36-28 | 50 |
| 3. პრესტონი | 27 | 13 | 8 | 6 | 40-28 | 47 |
| 4. საუთჰემპტონი | 27 | 12 | 9 | 6 | 44-32 | 45 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 7 | 8 | 48-31 | 43 |
| 6. კოლჩესტერი | 27 | 13 | 4 | 10 | 45-30 | 43 |
| 7. სტოკი | 26 | 12 | 7 | 7 | 35-21 | 43 |
| 8. კარდიფი | 27 | 11 | 10 | 6 | 36-28 | 43 |
| 9. ვულვზი | 27 | 12 | 6 | 9 | 28-29 | 42 |
| 10. სანდერლენდი | 27 | 12 | 4 | 11 | 36-32 | 40 |
| 11. უენსდი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-37 | 40 |
| 12. ბარნლი | 26 | 10 | 7 | 9 | 32-28 | 37 |
| 13. პლიმუტი | 27 | 8 | 12 | 7 | 33-34 | 36 |
| 14. იფსვიჩი | 27 | 10 | 5 | 12 | 37-37 | 35 |
| 15. კრ. პალასი | 27 | 9 | 7 | 11 | 31-32 | 34 |
| 16. კოვენთრი | 27 | 10 | 4 | 13 | 25-31 | 34 |
| 17. ნორვიჩი | 27 | 9 | 7 | 11 | 34-42 | 34 |
| 18. ლესტერი | 27 | 8 | 8 | 11 | 26-34 | 32 |
| 19. ლუტონი | 27 | 8 | 7 | 12 | 35-45 | 31 |
| 20. ქუინზ პარკი | 27 | 8 | 6 | 13 | 34-41 | 30 |
| 21. ჰალი | 27 | 7 | 6 | 14 | 27-38 | 27 |
| 22. ბარნსლი | 27 | 7 | 5 | 15 | 29-47 | 26 |
| 23. ლიდსი | 27 | 7 | 3 | 17 | 27-49 | 24 |
| 24. საუთენდი | 27 | 4 | 9 | 14 | 22-45 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 - ირნშოუ (ნორვიჩი); 16 - რასიაკი (საუთჰემპტონი).

### I დივიზიონი

XXV ტური

ბლეკპული-დონკასტერი 3:1; ბრედფორდი-ჩელტენემი 2:2; ბრენტფორდი-ჩესტერფილდი 2:1; ბრაიტონი-კარლაილი 1:2; ბრისტოლი-პორტ ვეილი 2:1; ქრიუ-იეოვილი 2:3; ჯილინგემი-ოლდჰემი 0:3; ჰადერსფილდი-სუონსი 3:2; ნორთჰემპტონი-მილუოლი შეწყდა; ნოტინგემი-ტრანმერი 1:1; როტერჰემი-ლეიტონი 2:2; სკანთორფი-ბორნმუთი 3:2.

XXVI ტური

ბორნმუთი-ბრაიტონი 1:0; კარლაილი-ბრედფორდი 1:0; ჩელტენემი-ქრიუ 1:1; ჩესტერფილდი-ბლეკპული 2:0; დონკასტერი-ჰადერსფილდი 3:0; ლეიტონი-ბრისტოლი 1:1; მილუოლი-ჯილინგემი 4:1; ოლდჰემი-ნოტინგემი 5:0; პორტ ვეილი-სკანთორფი 0:0; სუონსი-ბრენტფორდი 2:0; ტრანმერი-როტერჰემი 2:1; იეოვილი-ნორთჰემპტონი 0:0.

### II დივიზიონი

XXV ტური

აკრინგტონი-მენსფილდი შეწყდა; ბარნეტი-ბერი 2:1; ჩესტერი-მილტონი 0:3; დარლინგტონი-შრიუსბერი 1:2; ჰარტლპული-პიტერბრო 1:0; ჰერეფორდი-რექსჰემი 2:0; ლინკოლნი-უიკომბი 1:0; როჩდეილი-ბოსტონი 4:0; სტოკპორტი-გრიმსბი 3:0; სუინდონი-ნოტსი 1:1; ტორკი-მაკლსფილდი 0:1; უოლსოლი-როვერსი 2:2.

XXVI ტური

ბოსტონი-ბარნეტი 2:1; როვერსი-ტორკი 1:0; ბერი-დარლინგტონი გადაიდო; გრიმსბი-როჩდეილი 0:4; მილტონი-სუინდონი 0:1; მაკლსფილდი-ლინკოლნი 2:1; მენსფილდი-ჰარტლპული 0:1; ნოტსი-ჩესტერი 1:2; პიტერბრო-უოლსოლი 0:2; შრიუსბერი-სტოკპორტი 4:2; რექსჰემი-აკრინგტონი 1:3; უიკომბი-ჰერეფორდი 0:0.

### კონფერენსი

XXIV ტური

ალდერშოტი-გრეისი შეწყდა; ალტრინჩემი-ფორეს გრინი 2:2; კემბრიჯი-ბარტონი 1:2; დაგენჰემი-ჰალიფაქსი 1:0; გრავესენდი-რაშდენი 1:0; ოქსფორდი-ქროული 1:1; საუთპორტი-კიდერმინსტერი 0:1; სტ. ალბანსი-ექსეტერი 1:2; სტეფორდი-ნორთვიჩი შეწყდა; ტამუორტი-მორეკამბი 0:1; უეიმაუთი-სტევენეიჯი 0:1.

XXV ტური

ექსეტერი-ოქსფორდი 2:1; ბარტონი-სტეფორდი 0:0; ქროული-დაგენჰემი 0:0; ფორეტს გრინი-უეიმაუთი 3:2; ჰალიფაქსი-ალტრინჩემი 1:1; კიდერმინსტერი-კემბრიჯი 1:0; მორეკამბი-იორკი 1:3; ნორთვიჩი-საუთპორტი 3:1; რაშდენი-ტამუორტი 1:1; სტევენეიჯი-ალდერშოტი 3:2; უოკინგი-სტ. ალბანსი 1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროგბა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია

ინგლისი. პრემიერლიგა. XX-XXI ტურები

# ტერი, ჩელსის ბოლო იმედი?

მე-5 გვერდიდან

გოლი გამოაცხო. სანამ სტუმრები გონს მოეგებოდნენ, **სტივ ჯერარდმა** სხვაობა ორამდე გაზარდა. მესამე გოლი **დირკ კუიტის** ანგარიშზეა...

ორშაბათს „არსენალმა" „ჩარლტონი" გაანადგურა. ეს გახლდათ **ალან პერდიუს** პირველი მარცხი ჩარლტონელთა მთავარი მწვრთნელის რანგში. პერდიუს შეგირდებმა მისი ხელმძღვანელობით პირველი გამარჯვება ორი დღით ადრე „ასტონ ვილასთან" შეხვედრაში მოიპოვეს, ორშაბათამდე ჩატარებულ ბოლო ორ მატჩში კი 4 ქულა ჰქონდათ მოპოვებული.

„არსენალის" შემადგენლობაში თვენახევრიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა **ტიერი ანრიმ** და უმალ გოლი შეაგდო. უნდა აღინიშნოს, რომ ტიერის არყოფნას გუნდისთვის სავალალო შედეგი არ მოუტანია. „მეთოფეებმა" შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგეს (ამ წაგებას ორიოდ სტრიქონის ქვემოთ შევეხებით) და 15 გოლი მოაქუჩეს.

ანრის გამოჯანმრთელებამდე ორი დღით ადრე ლონდონელებმა „შეფილდ იუნაიტედთან"სენსაციური მარცხი იწვნიეს. პრემიერლიგის დებიუტანტებმა „მეთოფეებს" 33-წლიანი ლოდინის შემდეგ მოუგეს. „იუნაიტედის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯა, მაგრამ შაბათის მატჩს მაინც ორი გმირი ჰყავდა - **კრისტიან ნეიდი**, რომელმაც ერთადერთი გოლი შეაგდო, და **ფილ ჟაგიელკა**. ამ უკანასკნელმა თამაში დაცვის ცენტრში დაიწყო, **ფილ ლიგერტვუდის** დაშავების შემდეგ ნახევარდაცვაში გადაინაცვლა, ხოლო შეხვედრის მიწურულს, როცა შეფილდელებს შეცვლები ამოწურული ჰქონდათ და მეკარე **პედი კენიმ** თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, მისი ადგილიც ჟაგიელკამ დაიკავა. „არსენალი" „ბრემელ ლეინზე" შეფილდელთა გადახალისებულ შემადგენლობასთან დამარცხდა. მწვრთნელი **ნილ უორნოკი** ცხრილში უშუალო კონკურენტ „მიდლსბროსთან" ორშაბათის შეხვედრაზე ფიქრობდა და ოთხი ლიდერი (**კლოდ დევისი, ჰალსი, ტონგე** და **ვებერი**) დაასვენა. მას თვითონაც არ ეჯერა, რომ „არსენალთან" გამარჯვება შესაძლებელი იყო. ორი დღის შემდეგ უორნოკის შეგირდებმა „მიდლსბროსთან" მატჩი პირწმინდად წააგეს (3:1).

ზემოთ „ბოლტონის" „ლივერპულთან" მარცხი ვახსენეთ. ორი დღით ადრე **სემ ელერდაისის** გუნდმა ერთ-ერთ კონკურენტ „პორტსმუთს" მოუგო. ისევ გაიტანა **ნიკოლა ანელკამ**, რომელსაც ბოლო 8 თამაშში 7 გოლი დაუგროვდა. აღსანიშნავია, რომ „ბოლტონი"„პორტსმუთს" გამუდმებით ამარცხებს. პრემიერლიგაში მათი ხუთივე შეხვედრა ბოლტონელთა სასარგებლოდ დასრულებულა.

ორშაბათს **ჰარი რედნაპის** შეგირდებმა „ტოტენჰემთან" 1:1 ითამაშეს. „მამლებს" სტუმრად მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ. ორშაბათს მოპოვებული ქულა ლონდონელთა ეგვიპტელ ნახევარმცველ **ჰოსამ გალის** ოთხი კბილის ფასად დაუჯდა - თამაშის დასაწყისში მას მეტოქის მცველი **ნოელ პამარო** („ტოტენჰემის" ყოფილი ფეხბურთელი) ეუხეშა...

სადღესასწაულო დღეებში ნამდვილი ფიესტა მოიწყო „ბლექბერნმა". მან ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა. „ბოქსინგ დეიზე" „ლივერპულის" ძლევის შემდეგ **მარკ ჰიუზის** შეგირდებმა „მიდლსბროსა" და „ვიგანსაც" მოუგეს და ცხრილის შუაგულში გადაინაცვლეს. ამ სამ შეხვედრაში სამჯერ გაიტანა **ბენი მაკარტიმ** და ჯამში 12 გოლი დააგროვა. „ვიგანთან" მატჩის პირველ გოლში **ზურაბ ხიზანიშვილი** მონაწილეობდა. **ემილ ჰესკიმ** სწორედ მასთან საჰაერო ბრძოლისას დალაშქრა საკუთარი კარი.

ვიგანელები ზედიზედ მეხუთედ დამარცხდნენ, ასევე ზედიზედ მეხუთედ - საკუთარ „JJB სთედიუმზე". სტატისტიკოსებს სათვალავში არ შეაქვთ „უოტფორდთან" შაბათის მატჩი, რომელიც ძლიერი წვიმისა და მინდვრის დატბორვის გამო 56-ე წუთზე შეწყდა. იმ მომენტში კი ანგარიში საყაიმო იყო, 1:1. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ამ საკითხს უახლოეს დღეებში დაუბრუნდება...

ზედიზედ სამი მოგება გამოაცხო „მანჩესტერ სიტიმ" - პირველად 2005 წლის აგვისტოს შემდეგ. ორშაბათს „ევერტონთან" მატჩში დუბლი შეასრულა ბერძენმა თავდამსხმელმა **გეორგიოს სამარასმა** და 17-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა. მას უკანასკნელად 23 სექტემბერს ჰქონდა გატანილი. „სიტის" თავდამსხმელებმა სეზონის პირველი ნახევარი სუსტად ჩაატარეს. მიმომხილველთა ვარაუდით, მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ პირსს**, პირველ რიგში, წინა ხაზის გაძლიერებაზე უნდა ეზრუნა. ტრანსფერებისთვის აუცილებელი ფული კი მარჯვენა მცველ მიკა რიჩარდსის „ჩელსიში" გაყიდვით მიელო. მაგრამ სამი წარმატებული შეხვედრა პირსისთვის, შეიძლება, დამატებითი არგუმენტი აღმოჩნდეს „არისტოკრატების" უარით გასასტუმრებლად...

არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ „ვესტ ჰემის" სავალალო მდგომარეობას. **ალან კერბიშლის** გუნდმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო, ამათგან უკანასკნელი სამარცხვინო ანგარიშით - 0:6 („რედინგთან").

„მანჩესტერ სიტისთან" „ჩაქუჩების" შაბათის მარცხს შემამსუბუქებელი არგუმენტი ჰქონდა - აუტსაიდერს ორი საუკეთესო ფეხბურთელი, **ნაიჯელ რეო-კოკერი** და **პოლ კონჩესკი** არ ჰყავდა (დისკვალიფიკაციები). მაგრამ ის, რაც ორშაბათს „რედინგთან" მოხდა, „ვესტ ჰემის" უმწვავეს კრიზისზე მეტყველებს. სათამაშო რგოლებს შორის კავშირი არ არსებობდა, ხოლო მცველები ყოველ გაშვებულ გოლს ერთმანეთს აბრალებდნენ...

**მომდევნო ტური**

13 იანვარი. **უოტფორდი-ლივერპული; ბოლტონი-მანჩესტერ სიტი; ჩარლტონი-მიდლსბრო; ჩელსი-ვიგანი; მანჩესტერ იუნაიტედი-ასტონ ვილა; შეფილდ იუნ.-პორტსმუთი; ვესტ ჰემი-ფულჰემი; ბლექბერნი-არსენალი.** 14 იანვარი. **ევერტონი-რედინგი; ტოტენჰემი-ნიუკასლი.**

ცინცხალი ტრანსფერი

# ბაიერნი და შლაუდრაფი, არის კონტრაქტი!

## 23 წლის აახენელი მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერში ითამაშებს

"ბაიერნისთვის" ახალი წელი ხმაურიანი ტრანსფერით დაიწყო. გასული წლის ბოლო დღეებშიც ხშირად ვწერდით, რომ მიუნხენელები აახენის "ალემანიის" ფორვარდ **იან შლაუდრაფით** იყვნენ დაინტერესებული. შლაუდრაფს, რეკორდმაისტერის გარდა, "დორტმუნდი", "ვერდერი" და "ლევერკუზენიც" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ 23 წლის ფეხბურთელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევანი ბავარიული გიგანტის სასარგებლოდ გააკეთა. შლაუდრაფი "ბაიერნს" 1 ივლისიდან შეუერთდება, მანამდე კი, აახენური კლუბი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან უნდა იხსნას. მიუნხენელები "ალემანიას" მის სანაცვლოდ სულ რაღაც 1 მილიონ ევროს გადაუხდიან - კონტრაქტი სამწლიანია.

*"სიმართლე გითხრათ, როცა მიუნხენიდან დამიკავშირდნენ, დიდხანს არ მიფიქრია, მაშინვე თანახმა ვიყავი. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ახლობლები მეუბნებოდნენ, უმჯობესია, "დორტმუნდში" ან "ვერდერში" გადახვიდე, რადგან "ბაიერნში" დიდი კონკურენციააო, მაგრამ მე კონკურენციის არ მეშინია. პირიქით, ძალიან მონდომებული ვარ და მჯერა, რომ გერმანიის ყველა დროის ყველაზე დიდ გუნდში ადგილს უპრობლემოდ და ძალიან მალე დავიმკვიდრებ. ეს ჩემი შანსია, შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამომეყენებინა."* - აცხადებს შლაუდრაფი. *"იანი ახალგაზრდა გერმანელ ფეხბურთელებში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერია. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ "ბაიერნში" გადმოვიდოდა. კმაყოფილი ვარ, რადგან სერიოზული ტრანსფერი გავჩარხეთ. მომავალი სეზონიდან ამაში ყველა დარწმუნდება."* - ეს კი რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტის **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვები გახლავთ.

იან შლაუდრაფი "ალემანიამდე" მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" თამაშობდა, თუმცა იქ თავი დიდად ვერ გამოიჩინა, რის შემდეგაც, 2004 წელს სულ რაღაც 100 ათასი ევროს საფასურად აახენურ კლუბში გადაბარგდა. 23 წლის თავდამსხმელი, რომელიც შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზეც კარგად გამოიყურება, საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრში ამ სეზონში მოექცა. ბუნდესლიგის პირველ წრეში მან 15 თამაში ჩაატარა, 6 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასიც მიითვალა. გერმანიის თასზე კი, 1.80 მეტრი სიმაღლის იანმა, რომელსაც სიგამხდრის გამო მეტსახელად "ძვალს" ეძახიან, 3 მატჩში 2 გოლი და 2 საგოლე პასი მიითვალა. ნოემბერში კი გერმანიის ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი (საქართველოსთან ამხანაგურ მატჩში). მას მერე ბუნდესმწვრთნელი **იოხიმ ლიოვი** მისდამი საქებარ სიტყვებს არ იშურებს: *"ძალიან სწრაფია, ტექნიკური, შესანიშნავად ფლობს ბურთს და რაც მთავარია, ჭკვიანი ფეხბურთელია. იანი მოედანზე ნამდვილი ინტელიგენტია და ამას მალე მთელი ევროპა შეიტყობს."* ვნახოთ...



იან შლაუდრაფი

დაპირისპირება

# მიატოვიჩმა ბარსელონა ბანდიტიზმში დაადანაშაულა

## კატალონიური ქურდობა თუ მადრიდული გულმავიწყობა?

"რეალი" და "ბარსელონა" ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ. საქმე ამჯერად "კასტილიის" პერსპექტიულ მოთამაშე **ხუან მატას** ეხება. კატალონიელები ცდილობენ, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი გადაიბირონ და მას მრავალწლიანი კონტრაქტი გაუფორმონ. აღსანიშნავია, რომ ისინი მატას შეძენას ჯერ კიდევ ორი წლის წინ ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდათ. **ფლორენტინო პერესმა** ყმაწვილი დააჯერა, რომ "რეალში" გაცილებით უკეთესი მომავალი ექნებოდა. დრო შეიცვალა და სამეფო კლუბის ხელისუფლებაში ახალი ხალხი მივიდა. როგორც გაირკვა, მატა **რამონ კალდერონისა** და **პრედრაგ მიატოვიჩისგან** გაცილებით მეტ ყურადღებას ელოდა. ახალმა პრეზიდენტმა ხუანს **ფაბიო კაპელოსთან** რეკომენდაციაც კი არ გაუწია. ყოველივე ამის გამო, მატამ "ბარსელონის" მესვეურებთან დაიჭირა საქმე და ინტენსიური მოლაპარაკებები წამოიწყო. მამამისმა "დიარიო ასთან" საუბარში ოფიციალურად განაცხადა, რომ ვაჟიშვილს კატალონიურ გიგანტთან ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს და "ბარსელონამდე" ერთი ნაბიჯილაა აშორებს. უფროსი მატას ამ სიტყვებმა რამონ კალდერონს კინაღამ წონასწორობა დააკარგვინა. მადრიდული გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას მოახსენა, ჩვენს მოთამაშეებს ასე იოლად ვერავინ წაგვართმევსო. ამ კატეგორიულობის მიუხედავად, "რეალს" სერიოზული საფრთხე შეექმნა, რომ სათადარიგო გუნდის ნიჭიერი ნახევარმცველი დაკარგოს. უყურადღებობით ნაწყენმა ყმაწვილმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, მან მიატოვიჩს პირადად უთხრა, აქ გული აღარ მიდგება და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კარიერა "ბარსელონაში" გავაგრძელოო.



პრედრაგ მიატოვიჩი

კაპელომ კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მიატოვიჩმა კი კატალონიელ კოლეგებს და თავად მატას მკაცრი შეტყობინება გაუგზავნა: *"კარგი იქნება, თუ გონს მოეგებიან. არავის აქვს უფლება, მოლაპარაკებები ჩვენს ზურგს უკან წარმართონ. ხუანს ერთხელაც არაფერი უთქვამს. არც კატალონიელი კოლეგები შეგვხმიანებიან. ეს ბანდიტიზმია და სხვა არაფერი. ნიჭიერ ახალგაზრდებს არ ვყიდით. ასე რომ, "ბარსელონა" თავს ნულარ შეიწუხებს".*

თითქოს, მიატოვიჩმა ყველა საკითხი გაარკვია, მაგრამ საქმე ასე იოლად არ არის. "რეალს" არანაირი უფლება არ აქვს მატას ისე მოეკიდოს, როგორც მონას და საკუთარი ცხოვრების პირადი შეხედულებისამებრ მოწყობაში ხელი შეუშალოს. სხვათა შორის, ფეხბურთელს ესპანეთის კანონმდებლობაც უმაგრებს ზურგს. **ჩიკი ბეგირისტაინის** ოპტიმიზმი ალბათ ამით უნდა ავხსნათ: *"კანონი არ დაგვირღვევია. ჩვენ მიერ შერჩეულ ნიჭიერ ბიჭს თანამშრომლობა შევთავაზეთ. ახლა კი მადრიდელებთან მოლაპარაკებებს დავიწყებთ. მათ შეუძლიათ, დაგვემუქრონ და გაგვლანძღონ, მაგრამ საიმისო უფლებას ვერასოდეს მოიპოვებენ, რომელიმე ადამიანი შუასაუკუნეობრივი მეთოდებით გისოსებში ჩასვან და სხვაგან წასვლა აუკრძალონ. თუ არარეალურ თანხას დაგვისახელებენ, საქმეში მონოპოლიის წინააღმდეგ მებრძოლ სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩავრთავთ. ასე რომ, ყველას ვურჩევ, კორექტული ტონით გვესაუბრონ. "ბარსელონა" ულირს ქმედებას არასოდეს იკადრებს. ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. საკვანძო მომენტი გამოეპარათ და ახლა მუქარით ცდილობენ შეცდომის გამოსწორებას".*

როგორც ჩანს, მატა მართლაც ნიჭიერი ყმაწვილია, რადგან "ბარსელონა" ერთადერთი არ არის, ვინც მის ხელში ჩაგდებას ცდილობს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელის **კიკე სანჩეს ფლორესის** სიტყვებს გაგაცნობთ: *"ბარსელონას" სერიოზულ კონკურენციას გავუწევთ. ხუანის თამაში მრავალ ტურნირზე მინახავს. ის საოცარი უნარის მქონე ყმაწვილია. როგორც ფეხბურთის პროფესიონალი სპეციალისტი ვამბობ, რომ მატას უდიდესი კარიერა ექნება. კატალონიელებთან კონკურენცია იოლი არ იქნება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საწადელს მივაღწიოთ".*

"რეალის" მესვეურებს კიკე ფლორესის განცხადებაზე კომენტარი აღარ გაუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2007 წლის სპორტული კალენდარი

## იანვარი

| | |
|---|---|
| 01.01-07.01 | **ჩოგბურთი**. ATP. Adelaide Next Generation. ადელაიდა (ავსტრალია) |
| 01.01-07.01 | **ჩოგბურთი**. ATP. ExxonMobil Open. დოჰა (კატარი) |
| 01.01-07.01 | **ჩოგბურთი**. ATP. Chennai Open. ჩენაი (ინდოეთი) |
| 01.01-07.01 | **ჩოგბურთი**. WTA. Mondial Australian Women's Hardcourts. გოლდ კოუსტი (ავსტრალია) |
| 01.01-07.01 | **ჩოგბურთი**. WTA. ASB Classic. ოკლენდი (ახალი ზელანდია) |
| 01.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. გარმიში (გერმანია) |
| 02.01-03.01 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ობერსტდორფი (გერმანია) |
| 03.01-07.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ობერჰოფი (გერმანია) |
| 03.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. რუპოლდინგი (გერმანია) |
| 04.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. ქალები. ზაგრები (ხორვატია) |
| 04.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ინსბრუკი (ავსტრია) |
| 05.01 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ასიაგო (იტალია) |
| 06.01-07.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ადელბოდენი (შვეიცარია) |
| 06.01-07.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. ქალები. მარიბორი (სლოვენია) |
| 06.01-07.01 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ვალ დი ფიემი (იტალია) |
| 06.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. შონახი (გერმანია) |
| 06.01-21.01 | **ავტოსპორტი**. დაკარის რალი |
| 07.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ბისხოფშოფენი (ავსტრია) |
| 08.01-14.01 | **ჩოგბურთი**. ATP. Heineken Open. ოკლენდი (ახალი ზელანდია) |
| 08.01-14.01 | **ჩოგბურთი**. ATP. Sydney International. სიდნეი (ავსტრალია) |
| 08.01-14.01 | **ჩოგბურთი**. WTA. Medibank International. სიდნეი (ავსტრალია) |
| 08.01-14.01 | **ჩოგბურთი**. WTA. Moorilla Hobart Internacional. ჰობარტი (ავსტრალია) |
| 09.01-14.01 | **ბობსლეი**. ევროპის ჩემპიონატი. კორტინა დ'ამპეცო (იტალია) |
| 10.01-14.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. რუპოლდინგი (გერმანია) |
| 11.01-14.01 | **ჰოკეი**. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. სტ. პეტერბურგი (რუსეთი) |
| 12.01-14.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ვენგენი (შვეიცარია) |
| 12.01-14.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. ქალები. ცაუხენზეე (ავსტრია) |
| 12.01-14.01 | **ციგურებით სირბილი**. ევროპის ჩემპიონატი. კოლალბო (იტალია) |
| 13.01-14.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ვიკერსუნდი (ნორვეგია) |
| 13.01-14.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ვალ დი ფიემი (იტალია) |
| 14.01-20.01 | **სნოუბორდი**. მსოფლიო ჩემპიონატი. აროსა (შვეიცარია) |
| 15.01-28.01 | **ჩოგბურთი**. ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი |
| 17.01-21.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. პოკლიუკა (სლოვენია) |
| 17.01-27.01 | **ზამთრის უნივერსიადა**. ტურინი (იტალია) |
| 19.01-05.02 | **ხელბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. გერმანია |
| 19.01-21.01 | **ველოსპორტი (ტრეკი)**. მსოფლიო თასი. ლოს ანჯელესი (აშშ) |
| 19.01-21.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო (იტალია) |
| 19.01-21.01 | **შორტ-ტრეკი**. ევროპის ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი |
| 19.01-21.01 | **რალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი. მონტე კარლო |
| 20.01-21.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. შამონი (საფრანგეთი) |
| 20.01-21.01 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ჰამარი (ნორვეგია) |
| 20.01-21.01 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. რიბინსკი (რუსეთი) |
| 20.01-21.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ზაკოპანე (პოლონეთი) |
| 20.01-21.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ზეეფელდი (ავსტრია) |
| 21.01 | **ავტოსპორტი**. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ტაუპო (ახალი ზელანდია) |
| 21.01-28.01 | **ფრისტაილი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მადონა დი კამპილიო (იტალია) |
| 22.01-28.01 | **ფიგურული სრიალი**. ევროპის ჩემპიონატი. ვარშავა (პოლონეთი) |
| 22.01-04.02 | **ბობსლეი**. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ მორიცი (შვეიცარია) |
| 22.01-04.02 | **სკელეტონი**. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ მორიცი (შვეიცარია) |
| 24.01 | **ჰოკეი**. NHL All Star 2007. დალასი (აშშ) |
| 26.01-28.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კიტცბუელი (ავსტრია) |
| 27.01-28.01 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ოტეპაა (ესტონეთი) |
| 27.01-28.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ობერსტდორფი (გერმანია) |
| 27.01-28.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ჰარაჩოვი (ჩეხეთი) |
| 27.01-28.01 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ჰერენვეენი (ჰოლანდია) |
| 29.01-04.02 | **ჩოგბურთი**. ATP. PBZ Zagreb Indoors. ზაგრები (ხორვატია) |
| 29.01-04.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Movistar Open. ვინა დელ მარი (ჩილე) |
| 29.01-04.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Internacional Tennis Championships. დელრეი ბიჩი (აშშ) |
| 29.01-04.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Toray Pan Pacific Open. ტოკიო (იაპონია) |
| 30.01 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. შლადმინგი (ავსტრია) |

## თებერვალი

| | |
|---|---|
| 02.02-11.02 | **ბიატლონი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ანტოლც-ანტერსელვა (იტალია) |
| 02.02-03.02 | **რაგბი**. შვიდკაცას მსოფლიო სერია. ველინგტონი (ახ. ზელანდია) |
| 03.02-18.02 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. არე (შვედეთი) |
| 03.02-04.02 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. დავოსი (შვეიც.) |
| 03.02-04.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ნოიშტადტი (გერმანია) |
| 03.02-04.02 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ზაკოპანე (პოლ.) |
| 03.02-04.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ტურინი (იტალია) |
| 03.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. I ტური (ინგლისი-შოტლანდია, იტალია-საფრანგეთი) |
| 04.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. I ტური (უელსი-ირლანდია) |
| 04.02 | **ამერიკული ფეხბურთი**. Super Bowl. მაიამი (აშშ) |
| 04.02 | **ავტოსპორტი**. A1 გრან-პრი. VII ეტაპი. სიდნეი (ავსტრალია) |
| 05.02-11.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Open Gaz de France. პარიზი (საფრანგეთი) |
| 05.01-11.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Pattaya Open. პატაია (ტაილანდი) |
| 06.02 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ჩრ. ირლანდია-უელსი, ავსტრალია-დანია, კვიპროსი-უნგრეთი, ბულგარეთი-ლატვია*) |
| 07.02 | **ფეხბურთი**. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი (*სან მარინო-ირლანდია*) |
| 07.02 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*მალტა-ავსტრია, ეგვიპტე-შვედეთი, საქართველო-თურქეთი, ინგლისი-ესპანეთი, ჰოლანდია-რუსეთი; ბელგია-ჩეხეთი, ისრაელი-უკრაინა, უზბეკეთი-აზერბაიჯანი, გერმანია-შვეიცარია, ხორვატია-ნორვეგია, საფრანგეთი-არგენტინა, საბერძნეთი-ს. არაბეთი, აშშ-მექსიკა, ნიგერია-განა, პოლონეთი-სლოვაკეთი*) |
| *09.02-11.02* | **ჩოგბურთი**. დევისის თასი. 1/8 ფინალი (*ჩილე-რუსეთი; საფრანგეთი-რუმინეთი; გერმანია-ხორვატია; ბელგია-ავსტრალია; ჩეხეთი-აშშ; შვეიცარია-ესპანეთი; ბელარუსი-შვედეთი; ავსტრია-არგენტინა*) |
| 09.02-11.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო ჩემპიონატი (მრავალჭიდი). ჰერენვეენი (ჰოლანდია) |
| 09.02-11.02 | **რალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. II ეტაპი. შვედეთი |
| 10.02-11.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ვილინგენი (გერმანია) |
| 10.02-11.02 | **რაგბი**. შვიდკაცას მსოფლიო სერია. სან დიეგო (აშშ) |
| 10.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. II ტური (*ინგლისი-იტალია, შოტლანდია-უელსი*) |
| 11.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. II ტური (*ირლანდია-საფრანგეთი*) |
| 12.02-18.02 | **ჩოგბურთი**. ATP. SAP Open. სან ხოსე (აშშ) |
| 12.02-18.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Marseille Open. მარსელი (საფრანგეთი) |
| 12.02-18.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Brasil Open. კოშტა დო საუიპე (ბრაზილია) |
| 12.02-18.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Proximus Diamond Games. ანტვერპენი (ბელგია) |
| 12.02-18.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Bangalore Open 2007. ბანგალორე (ინდოეთი) |
| 14.02 | **ფეხბურთი**. **უეფას თასი**. 1/16 ფინალი. I მატჩები (*ბრაგა-პარმა; ვერდერი-აიაქსი; ჰაპოელი (თ-ა)-რეინჯერსი; ბენფიკა-დინამო (ბ); ფენერბაჰჩე-ალკმაარი; ბორდო-ოსასუნა; ლანსი-პანათინაიკოსი; სპარტაკი-სელტა; ლივორნო-ესპანიოლი; სტიაუა-სევილია; ვარეგემი-ნიუკასლი; ცსკა-მაკაბი (ჰ); ლევერკუზენი-ბლექბერნი; აეკ-პსჟ; ფეიენოორდი-ტოტენჰემი; შახტარი-ნანსი*) |
| 15.02-16.02 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ჩანგჩუნი (ჩინეთი) |
| 16.02-18.02 | **რალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. ნორვეგია |
| 17.02-18.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ერფურტი (გერ.) |
| 17.02-18.02 | **ციგაობა**. ევროპის ჩემპიონატი. კინდბერგი (ავსტრია) |
| 18.02 | **კალათბურთი**. NBA All Star 2007. ლას ვეგასი (აშშ) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Morgan Keegan Championships. მემფისი (აშშ) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. ATP. ABN AMRO World Tennis Tournament. როტერდამი (ჰოლანდია) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. ATP. Copa Telmex. ბუენოს აირესი (არგენტინა) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Dubai Tennis Championships. დუბაი (საემიროები) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Regions Morgan Championships. მემფისი (აშშ) |
| 19.02-25.02 | **ჩოგბურთი**. WTA. Copa Colsanitas. ბოგოტა (კოლუმბია) |
| 19.02-25.02 | **ბიატლონი**. ევროპის ჩემპიონატი. ბანსკო (ბულგარეთი) |
| 20.02-21.02 | **ფეხბურთი**. **ჩემპიონთა ლიგა**. 1/8 ფინალი. I მატჩები (*ეინდჰოვენი-არსენალი; რეალი-ბაიერნი; ლილი-მანჩესტერი; სელტიკი-მილანი; ინტერი-ვალენსია; პორტუ-ჩელსი; რომა-ლიონი; ბარსელონა-ლივერპული*) |
| 20.02-25.02 | **სკელეტონი**. ევროპის ჩემპიონატი. სანკტ მორიცი (შვეიც.) |
| 22.02 | **ფეხბურთი**. **უეფას თასი**. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები (*პარმა-ბრაგა; აიაქსი-ვერდერი; რეინჯერსი-ჰაპოელი (თ-ა); დინამო (ბ)-ბენფიკა; ალკმაარი-ფენერბაჰჩე; ოსასუნა-ბორდო; პანათინაიკოსი-ლანსი; სელტა-სპარტაკი; ესპანიოლი-ლივორნო; სევილია-სტიაუა; ნიუკასლი-ვარეგემი; მაკაბი (ჰ)-ცსკა; ბლექბერნი-ლევერკუზენი; პსჟ-აეკ; ტოტენჰემი-ფეიენოორდი; ნანსი-შახტარი*) |
| 22.02-04.03 | **სათხილამურო სპორტი (თხ. რბოლა, ტრამპლინი, ორჭიდი)**. მსოფლიო ჩემპიონატი. საპორო (იაპონია) |
| 23.02-25.02 | **ველოსპორტი (ტრეკი)**. მსოფლიო თასი. მანჩესტერი (ბრიტანეთი) |
| 24.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. III ტური (*საფრანგეთი-უელსი, შოტლანდია-იტალია; ირლანდია-ინგლისი*) |
| 24.02-25.02 | **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**. მსოფლიო თასი. ტრაბზონი (თურქეთი) |
| 24.02-25.02 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გარმიში (გერმანია) |
| 25.02 | **ავტოსპორტი**. A1 გრან-პრი. VIII ეტაპი. დურბანი (ს. აფრიკა) |
| 26.02-03.03 | **ჩოგბურთი**. ATP. Tennis Channel Open. ლას ვეგასი (აშშ) |
| 26.02-03.03 | **ჩოგბურთი**. ATP. The Dubai Tennis Championships. დუბაი (საემიროები) |
| 26.02-03.03 | **ჩოგბურთი**. ATP. Abierto Mexicano TELCEL. აკაპულკო (მექსიკო) |
| 26.02-03.03 | **ჩოგბურთი**. WTA. Qatar Total Open. დოჰა (კატარი) |
| 26.02-03.03 | **ჩოგბურთი**. WTA. Abierto Mexicano TELCEL. აკაპულკო (მექსიკა) |
| 28.02-04.03 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |



ფერნანდო ალონსო ტიტულის დაცვას ბრაზილიაში დაიწყებს

## მარტი

| | |
|---|---|
| 02.03-04.03 | **მძლეოსნობა**. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი (ბრიტანეთი) |
| 02.03-04.03 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი (ფინალი). კალგარი (კანადა) |
| 03.03-04.03 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კრანსკა გორა (სლოვენია) |
| 05.03-18.03 | **ჩოგბურთი**. ATP. Pacific Life Open. მასტერსის სერია. ინდიან უელსი (აშშ) |
| 05.03-18.03 | **ჩოგბურთი**. WTA. Pacific Life Open. ინდიან უელსი (აშშ) |
| 06.03-07.03 | **ფეხბურთი**. **ჩემპიონთა ლიგა**. 1/8 ფინალი. II მატჩები (*არსენალი-ეინდჰოვენი; ბაიერნი-რეალი; მანჩესტერი-ლილი; მილანი-სელტიკი; ვალენსია-ინტერი; ჩელსი-პორტუ; ლიონი-რომა; ლივერპული-ბარსელონა*) |
| 07.03-11.03 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ჰოლმენკოლენი (ნორვეგია) |
| 08.03 | **ფეხბურთი**. **უეფას თასი**. 1/8 ფინალი. I მატჩები. |
| 09.03-11.03 | **რალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი. მექსიკა |
| 09.03-11.03 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კვიტფიელი (ნორვეგია) |
| 09.03-10.03 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |
| 09.03-11.03 | **შორტ-ტრეკი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი (იტალია) |
| 10.03 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან-პრი. ლოსაილი |
| 10.03-12.03 | **მძლეოსნობა**. მსოფლიო ჩემპიონატი (დარბაზებისთვის). მოსკოვი. რუსეთი |
| 10.03-11.03 | **თავისუფალი ჭიდაობა**. მსოფლიო თასი. |
| 10.03-11.03 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |
| 10.03-11.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |
| 10.03 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. IV ტური (*შოტლანდია-ირლანდია; იტალია-უელსი*) |
| 11.03 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. IV ტური (*ინგლისი-საფრანგეთი*) |
| 11.03-28.04 | **კრიკეტი**. მსოფლიო თასი. ინდოეთი |
| 13.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. კუოპიო (ფინეთი) |
| 13.03-17.03 | **მშვილდოსნობა**. მსოფლიო ჩემპიონატი (დარბაზებისთვის). იზმირი (თურქეთი) |
| 14.03-15.03 | **ფეხბურთი**. **უეფას თასი**. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. |
| 14.03-18.03 | **სამთო-სათხილამურო სპორტი**. მსოფლიო თასი (ფინალი). მამაკაცები, ქალები. ლენცერჰაიდი (შვეიცარია) |
| 14.03-18.03 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ხანტი-მანსიისკი (რუსეთი) |
| 14.03 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. დრამენი (ნორ.) |
| 16.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ლილეჰამერი (ნორვეგია) |
| 17.03 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. V ტური (*იტალია-ირლანდია; უელსი-ინგლისი; საფრანგეთი-შოტლანდია*) |
| 17.03 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორვეგია) |
| 17.03-18.03 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორ.) |
| 18.03 | **ფორმულა 1**. I ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი. მელბურნი |
| 18.03 | **ავტოსპორტი**. A1 გრან-პრი. IX ეტაპი. ბრაზილია |
| 18.03-01.04 | **საწყლოსნო სპორტის სახეობები**. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი (ავსტრალია) |
| 18.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორვეგია) |
| 19.03-01.04 | **ჩოგბურთი**. ATP. Sony Ericsson Open. მასტერსის სერია. მაიამი (აშშ) |
| 19.03-01.04 | **ჩოგბურთი**. WTA. Sony Ericsson Open. მაიამი (აშშ) |
| 19.03-25.03 | **ფიგურული სრიალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ტოკიო (იაპ.) |
| 21.03 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. სტოკჰოლმი (შვედეთი) |
| 24.03 | **ფეხბურთი**. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (*ყაზახეთი-სერბეთი, პოლონეთი-აზერბაიჯანი, პორტუგალია-ბელგია, ფარერები-უკრაინა, ლიტვა-საფრანგეთი, შოტლანდია-საქართველო, საბერძნეთი-თურქეთი, მოლდოვა-მალტა, ნორვეგია-ბოსნია, ჩეხეთი-გერმანია, ირლანდია-უელსი, კვიპროსი-სლოვაკეთი, ესტონეთი-რუსეთი, ისრაელი-ინგლისი, ხორვატია-მაკედონია, ლიხტენშტაინი-ჩრ. ირლანდია, ესპანეთი-დანია, ალბანეთი-სლოვენია, ლუქსემბურგი-ბელარუსი, ჰოლანდია-რუმინეთი*) |
| 24.03-25.03 | **სათხილამურო რბოლა**. მსოფლიო თასი. ფალუნი (შვედ.) |
| 24.03-25.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. პლანიცა (სლოვენ.) |
| 24.03 | **ველოსპორტი**. პრო-ტურის სერია. მილანი-სან რემო. იტალია |
| 24.03 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. I ეტაპი. მაიამი (აშშ) |
| 25.03 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან-პრი. ხერესი |
| 25.03 | **ავტოსპორტი**. A1 გრან-პრი. X ეტაპი. მექსიკა |
| 28.03 | **ფეხბურთი**. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (*აზერბაიჯანი-ფინეთი, პოლონეთი-სომხეთი, სერბეთი-პორტუგალია, საქართველო-ფარერები, იტალია-შოტლანდია, უკრაინა-ლიტვა, უნგრეთი-მოლდოვა, მალტა-საბერძნეთი, თურქეთი-ნორვეგია, ირლანდია-სლოვაკეთი, უელსი-სან მარინო, ჩეხეთი-კვიპროსი, ისრაელი-ესტონეთი, ანდორა-ინგლისი, ჩრ. ირლანდია-შვედეთი, ესპანეთი-ისლანდია, ლიხტენშტაინი-ლატვია, ბულგარეთი-ალბანეთი, რუმინეთი-ლუქსემბურგი, სლოვენია-ჰოლანდია*) |
| 28.03 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*საფრანგეთი-ავსტრია, გერმანია-დანია*) |
| 29.03-01.04 | **ველოსპორტი (ტრეკი)**. მსოფლიო ჩემპიონატი. პალმა დე მალიორკა (ესპანეთი) |
| 30.03-01.04 | **რაგბი**. შვიდკაცას მსოფლიო სერია. ჰონგ კონგი |
| 30.03-01.04 | **რალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი. პორტუგალია |
| 31.03-02.04 | **კალათბურთი**. **NCAA**. ოთხთა ფინალი. ატლანტა (აშშ) |

# 2007 წლის სპორტული კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აპრილი

01.04 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. II ეტაპი. სტ..პეტერბურგი (აშშ)
01.04-02.04 **მძლეოსნობა.** მსოფლიო ჩემპიონატი (კროსი). ფუკუოკა. იაპონია

02.04-08.04 **ჩოგბურთი.** WTA. Bausch & Lomb Championships. ამელია აილენდი (აშშ)
02.04-16.04 **ჭადრაკი.** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. დრეზდენი (გერმანია)
03.04-04.04 **ფეხბურთი.** **ჩემპიონთა ლიგა.** 1/4 ფინალი. I მატჩები.
04.04-21.04 **რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U19). ბელფასტი (ირლანდია)
05.04 **ფეხბურთი.** **უეფას თასი.** 1/4 ფინალი. I მატჩები.
06.04-08.04 **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/4 ფინალი
07.04-08.04 **რაგბი.** შვიდკაცას მსოფლიო სერია. აშშ
07.04-10.04 **გოლფი.** მასტერსი
08.04 **ფორმულა 1.** II ეტაპი. მალაიზიის გრან-პრი. სეპანგი
08.04 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. I ეტაპი. ლას ვეგასი (აშშ)
08.04 **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. ფლანდრიის ტური. ბელგია
08.04-11.04 **თანამედროვე ხუთჭიდი.** ევროპის ჩემპიონატი.

09.04-15.04 **ჩოგბურთი.** ATP. Open de Tenis Comunidad Valenciana. ვალენსია (ესპანეთი)
09.04-15.04 **ჩოგბურთი.** ATP. US Men's Clay Championships. ჰიუსტონი (აშშ)
09.04-15.04 **ჩოგბურთი.** WTA. Family Circle Cup. ჩარლსტონი (აშშ)
10.04 **კალათბურთი.** **ULEB-ის თასი.** ფინალი. შარლერუა (ბელგია)
10.04-15.04 **ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი.
10.04-11.04 **ფეხბურთი.** **ჩემპიონთა ლიგა.** 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
12.04 **ფეხბურთი.** **უეფას თასი.** 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
14.04-22.04 **ძალოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. სტრასბური. საფრანგეთი
15.04 **ფორმულა 1.** III ეტაპი. ბაჰრეინის გრან-პრი. სახირი
15.04 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. II ეტაპი. ლონგ ბიჩი (აშშ)
15.04 **ავტოსპორტი.** A1 გრან-პრი. XI ეტაპი. შანხაი. ჩინეთი
15.04 **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. პარიზი-რუბე. საფრანგეთი

16.04-22.04 **ჩოგბურთი.** ATP. Masters Series Monte-Carlo. მასტერსის სერია. მონტე კარლო
16.04 **მძლეოსნობა.** ბოსტონის მარათონი (აშშ)
21.04-22.04 **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი *(საფრანგეთი-იაპონია; რუსეთი-ესპანეთი; აშშ-ბელგია; იტალია-ჩინეთი)*
21.04 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. III ეტაპი. მოტეგი (იაპონია)
22.04 **მძლეოსნობა.** ლონდონის მარათონი (ინგლისი)
22.04 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან-პრი. სტამბოლი
22.04 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. III ეტაპი. ჰიუსტონი (აშშ)
22.04 **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია

23.04-29.04 **ჩოგბურთი.** ATP. Gran Prix Hassan II. კასაბლანკა (მაროკო)
23.04-29.04 **ჩოგბურთი.** ATP. Open Seat. ბარსელონა (ესპანეთი)
23.04-29.04 **ჩოგბურთი.** WTA. Budapest Grand Prix. ბუდაპეშტი. უნგრეთი
24.04-25.04 **ფეხბურთი.** **ჩემპიონთა ლიგა.** 1/2 ფინალი. I მატჩები.
26.04 **ფეხბურთი.** **უეფას თასი.** 1/2 ფინალი. I მატჩები.
27.04-13.05 **ჰოკეი.** მსოფლიო ჩემპიონატი. მოსკოვი (რუსეთი)
29.04 **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია
29.04 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. IV ეტაპი. კანზასი (აშშ)
29.04 **ავტოსპორტი.** A1 გრან-პრი. XII ეტაპი. ბრენდს ჰეჩი. ბრიტანეთი

30.04-06.05 **ჩოგბურთი.** ATP. BMW Open. მიუნხენი (გერმანია)
30.04-06.05 **ჩოგბურთი.** ATP. Estoril Open. ეშტორილი (პორტუგალია)
30.04-06.05 **ჩოგბურთი.** WTA. J&S Cup. ვარშავა (პოლონეთი)
30.04-06.05 **ჩოგბურთი.** WTA. Estoril Open. ეშტორილი (პორტუგალია)



რაფაელ ნადალი როლან გაროსზე მესამედ გაჩემპიონებას შეეცდება




მოსკოვში მოქმედ ჩემპიონ შვედებს ტიტულის შენარჩუნება გაუჭირდებათ

## მაისი

01.05-02.05 **ფეხბურთი.** **ჩემპიონთა ლიგა.** 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები
01.05-05.05 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. შანხაი (ჩინეთი)
02.05-06.05 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. შანხაი (ჩინეთი)
02.05-13.05 **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი (U17). ბელგია
03.05 **ფეხბურთი.** **უეფას თასი.** 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები
04.05-06.05 **კალათბურთი.** **ევროლიგა.** ოთხთა ფინალი. ათენი (საბერძნეთი)
04.05-06.05 **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. VI ეტაპი. არგენტინა
05.05 **მძლეოსნობა.** 2006 IAAF World Athletics Tour Osaka (IAAF-ის გრან-პრი). ოსაკა (იაპონია)

07.05-13.05 **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. რომი (იტალია)
07.05-13.05 **ჩოგბურთი.** WTA. Qatar Total German Open. ბერლინი (გერმანია)
07.05-13.05 **ჩოგბურთი.** WTA. ECM Prague Open. პრაღა (ჩეხეთი)
08.05-12.05 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. მანამა (ბაჰრეინი)
12.05-03.06 **ველოსპორტი.** ჯირო დ'იტალია.
13.05 **ფორმულა 1.** IV ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ბარსელონა

14.05-20.05 **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. ჰამბურგი (გერმანია)
14.05-20.05 **ჩოგბურთი.** WTA. Internazionali BNL d'Italia. რომი (იტალია)
14.05-20.05 **ჩოგბურთი.** WTA. Grand Prix de SAR. რაბატი (მაროკო)
16.05 **ფეხბურთი.** **უეფას.** ფინალი. გლაზგო (შოტლანდია)
18.05-20.05 **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი. იტალია
20.05 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. IV ეტაპი. ჟუჰაი (ჩინეთი)

21.05-27.05 **ჩოგბურთი.** ATP. The Hypo Group Tennis International. პორტშახი (ავსტრია)
21.05-27.05 **ჩოგბურთი.** ATP. მსოფლიოს გუნდური პირველობა. დიუსელდორფი (გერმანია)
21.05-27.05 **ჩოგბურთი.** WTA. Internacional de Strasbourg. სტრასბური (საფრანგეთი)
21.05-27.05 **ჩოგბურთი.** WTA. Istanbul Cup. სტამბოლი (თურქეთი)
21.05-27.05 **მაგიდის ჩოგბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (ინდივიდუალური). ზაგრები (ხორვატია)
23.05 **ფეხბურთი.** **ჩემპიონთა ლიგა.** ფინალი. ათენი (საბერძნეთი).
23.05-25.05 **ველოსპორტი (ტრეკი).** მსოფლიო თასი. მანჩესტერი (ბრიტანეთი)
23.05-27.05 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. როსეტო (იტალია)
23.05-27.05 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. სენტოსა (სინგაპური)
25.05-01.07 **ფრენბურთი.** მსოფლიო ლიგა. მამაკაცები. წინასწარი ეტაპი
26.05-27.05 **რაგბი.** შვიდკაცას მსოფლიო სერია. ლონდონი (ბრიტანეთი)
26.05-14.06 **ჭადრაკი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. მამაკაცები. ელისტა (რუსეთი)
27.05 **ფორმულა 1.** V ეტაპი. მონაკოს გრან-პრი. მონტე კარლო
27.05 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. V ეტაპი. ინდიანაპოლისი 500. აშშ

28.05-10.06 **ჩოგბურთი.** საფრანგეთის ღია პირველობა. პარიზი
30.05-03.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. სეული (კორეა)

## ივნისი

01.06-03.06 **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. VIII ეტაპი. საბერძნეთი
02.06 **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები *(აზერბაიჯანი-პოლონეთი, ყაზახეთი-სომხეთი, ბელგია-პორტუგალია, ფინეთი-სერბეთი, ფარერები-იტალია, საფრანგეთი-უკრაინა, ლიტვა-საქართველო, ბოსნია-თურქეთი, საბერძნეთი-უნგრეთი, ნორვეგია-მალტა, უელსი-ჩეხეთი, გერმანია-სან მარინო, რუსეთი-ანდორა, ესტონეთი-ხორვატია, მაკედონია-ისრაელი, ისლანდია-ლიხტენშტაინი, ლატვია-ესპანეთი, დანია-შვედეთი, ალბანეთი-ლუქსემბურგი, ბელარუსი-ბულგარეთი, სლოვენია-რუმინეთი)*
02.06 **ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩები *(ბოლივია-შოტლანდია, ავსტრია-ჩინეთი)*
03.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან-პრი. მუგელო
03.06 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. VI ეტაპი. მილუოკი (აშშ)

06.06 **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები *(ფინეთი-ბელგია, ყაზახეთი-აზერბაიჯანი, სომხეთი-პოლონეთი, ფარერები-შოტლანდია, საფრანგეთი-საქართველო, ლიტვა-იტალია, ბოსნია-მალტა, საბერძნეთი-მოლდოვა, ნორვეგია-უნგრეთი, გერმანია-სლოვაკეთი, ესტონეთი-ინგლისი, ანდორა-ისრაელი, ხორვატია-რუსეთი, ლიხტენშტაინი-ესპანეთი, შვედეთი-ისლანდია, ლატვია-დანია, ბულგარეთი-ბელარუსი, ლუქსემბურგი-ალბანეთი, რუმინეთი-სლოვენია)*
06.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან-პრი. შანხაი
06.06-10.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ზაგრები (ხორვატია)
06.06-10.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ვარშავა (პოლონეთი)
06.06-24.06 **ფეხბურთი.** CONCACAF-ის ოქროს თასი. აშშ
09.06 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. VII ეტაპი. ტექსასი (აშშ)
10.06 **ფორმულა 1.** VI ეტაპი. კანადის გრან-პრი. მონრეალი
10.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან-პრი. ბარსელონა
10.06 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. V ეტაპი. პორტლენდი (აშშ)
10.06-23.06 **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი (U21). ჰოლანდია

11.06-17.06 **ჩოგბურთი.** ATP. Gerry Weber Open. ჰალე (გერმანია)
11.06-17.06 **ჩოგბურთი.** ATP. Stella Artois Championships. ლონდონი (ინგლისი)
11.06-17.06 **ჩოგბურთი.** WTA. DFS Classic. ბირმინგემი (ინგლისი)
11.06-17.06 **ჩოგბურთი.** WTA. Barcelona KIA. ბარსელონა (ესპანეთი)
12.06-16.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ეშპინიუ (პორტუგალია)
13.06-17.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ეშპინიუ (პორტუგალია)
14.06-17.06 **გოლფი.** აშშ-ის ღია პირველობა
15.06 **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". Oslo Bislett Games. ოსლო (ნორვეგია)
16.06-17.06 **ავტოსპორტი.** ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი
17.06 **ფორმულა 1.** VII ეტაპი. აშშ-ის გრან-პრი. ინდიანაპოლისი

18.06-24.06 **ჩოგბურთი.** ATP. Ordina Open. ჰერტოგენბოში (ჰოლანდია)
18.06-24.06 **ჩოგბურთი.** ATP. Red Letter Days Open. ნოტინგემი (ინგლისი)
18.06-24.06 **ჩოგბურთი.** WTA. Hastings Direct Internacional. ისტბურნი (ინგლისი)
18.06-24.06 **ჩოგბურთი.** WTA. Ordina Open. ს.ჰერტოგენბოში (ჰოლანდია)
19.06-23.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. პარიზი (საფრანგეთი)
20.06-24.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. პარიზი (საფრანგეთი)
20.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან-პრი. ლე მანი
24.06 **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. VI ეტაპი. კლივლენდი (აშშ)
24.06 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. VIII ეტაპი. აიოვა (აშშ)
24.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის გრან-პრი. დონინგტონი

25.06-08.07 **ჩოგბურთი.** უიმბლდონი (ინგლისი)
26.06-30.06 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. სტავანგერი (ნორვეგია)
26.06-15.07 **ფეხბურთი.** კოპა ამერიკა. ვენესუელა
27.06-01.07 **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. სტავანგერი (ნორვეგია)
29.06-08.07 **კალათბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U21). ქალები. მოსკოვი (რუსეთი)
30.06 **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან-პრი. ასენი
30.06 **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. IX ეტაპი. რიჩმონდი (აშშ)



წლის მთავარი საფეხბურთო მოვლენა კოპა ამერიკა იქნება



წლევანდელ ტურზე ფლოიდ ლენდისი ალბათ არ იქნება

## ივლისი

| | |
|---|---|
| 01.07 | **ფორმულა** 1. VIII ეტაპი. საფრანგეთის გრან-პრი. მანი კური |
| 01.07 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. VII ეტაპი. სტ. ჟოვიტი (კანადა) |
| 01.07-22.07 | **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U20). კანადა |
| 02.07 | **მძლეოსნობა.** Athens Super Grand Prix (IAAF-ის სუპერგრან-პრი). ათენი (საბერძნეთი) |
| 04.07-08.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. მონრეალი (კანადა) |
| 04.07-08.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. მონრეალი (კანადა) |
| 05.07-15.07 | **მშვილდოსნობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. ლაიპციგი (გერ.) |
| 06.07 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". Gaz de France. სენ-დენი (საფრანგეთი) |
| 07.07-29.07 | **ფეხბურთი.** აზიის თასი |
| 07.07-17.07 | **ფრენბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U21). მამაკაცები. კასაბლანკა (მაროკო) |
| 07.07-29.07 | **ველოსპორტი.** ტურ დე ფრანსი. |
| 08.07 | **ფორმულა** 1. IX ეტაპი. ბრიტანეთის გრან-პრი. სილვერსტოუნი |
| 08.07 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. X ეტაპი. ნიუ იორკი (აშშ) |
| 08.07 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. VIII ეტაპი. ტორონტო (კანადა) |
| 09.07-15.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Swedish Open. ბასტადი (შვედეთი) |
| 09.07-15.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Allianz Suisse Open. გშტაადი (შვეიც.) |
| 09.07-15.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Campbell's Hall of Fame Tennis Championships. ნიუპორტი (აშშ) |
| 10.07 | **მძლეოსნობა.** Athletissima 2006 (IAAF-ის სუპერგრან-პრი). ლოზანა (შვეიცარია) |
| 10.07-14.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ბერლინი (გერმანია) |
| 11.07-15.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ბერლინი (გერმანია) |
| 11.07-15.07 | **ფრენბურთი.** მსოფლიო ლიგა. მამაკაცები. ფინალი. რომი (იტალია) |
| 11.07-23.07 | **აფრიკის თამაშები.** ალჟირი |
| 12.07-22.07 | **კალათბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U19). მამაკაცები. ვანკუვერი (კანადა) |
| 13.07-29.07 | **XV პანამერიკული თამაშები.** რიო დე ჟანეირო (ბრა.) |
| 13.07 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". Golden Gala. რომი (იტალია) |
| 14.07-15.07 | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი |
| 14.07 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XI ეტაპი. ნეშვილი (აშშ) |
| 15.07 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან-პრი. სახსენრინგი |
| 16.07-22.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Mercedes Cup. შტუტგარტი (გერმანია) |
| 16.07-22.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Dutch Open Tennis. ამერსფოორტი (ჰოლანდია) |
| 16.07-22.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Countrywide Classic. ლოს ანჯელესი (აშშ) |
| 16.07-22.07 | **ჩოგბურთი.** WTA. Western & Southern Financial Group. ცინცინატი (აშშ) |
| 16.07-22.07 | **ჩოგბურთი.** WTA. Internacionali Femminili di Palermo. პალერმო (იტალია) |
| 16.07-27.07 | **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი (U19). ავსტრია |
| 17.07-21.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. მარსელი (საფრანგეთი) |
| 18.07-22.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. მარსელი (საფრანგეთი) |
| 19.07-22.07 | **გოლფი.** ღია ჩემპიონატი |
| 19.07-27.07 | **ფრენბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U20). ქალები. სუფანბური (ტაილანდი) |
| 22.07 | **ფორმულა** 1. X ეტაპი. გერმანიის გრან-პრი. ნიურბურგრინგი |
| 22.07 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ს გრან-პრი. ლაგუნა სეკა |
| 22.07 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XII ეტაპი. აიაჰო (აშშ) |
| 22.07 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. IX ეტაპი. ედმონტონი (კანადა) |
| 23.07-29.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Generali Open. კიტცბუელი (ავსტრია) |
| 23.07-29.07 | **ჩოგბურთი.** ATP. RCA Championships. ინდიანაპოლისი (აშშ) |
| 23.07-29.07 | **ჩოგბურთი.** ATP. Croatia Open. უმაგი (ხორვატია) |
| 23.07-29.07 | **ჩოგბურთი.** WTA. Bank of the West Classic. სტენფორდი (აშშ) |
| 23.07-29.07 | **ჩოგბურთი.** WTA. Kitzbuhel Cup. კიტცბუელი (ავსტრია) |
| 24.07-29.07 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი. გშტაადი (შვეიცარია) |
| 26.07-05.08 | **კალათბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U19). ქალები. ბრატისლავა (სლოვაკეთი) |
| 27.07-05.08 | **ხელბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U19). მამაკაცები |
| 29.07 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. X ეტაპი. სან ხოსე (აშშ) |
| 30.07-05.08 | **ჩოგბურთი.** ATP. Legg Mason Tennis Classic. ვაშინგტონი (აშშ) |
| 30.07-05.08 | **ჩოგბურთი.** ATP. Orange Prokom Open. სოპოტი (პოლ.) |
| 30.07-05.08 | **ჩოგბურთი.** WTA. Acura Classic. სან დიეგო (აშშ) |
| 30.07-05.08 | **ჩოგბურთი.** WTA. Nordea Nordic Light Open. სტოკჰოლმი (შვედეთი) |

## აგვისტო

| | |
|---|---|
| 01.08-04.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. კლაგენფიურტი (ავსტრია) |
| 02.08-05.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. კლაგენფიურტი (ავსტრია) |
| 03.08 | **მძლეოსნობა.** Norwich Union London Grand Prix (IAAF-ის სუპერგრან-პრი). ლონდონი (ბრიტანეთი) |
| 03.08-05.08 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. IX ეტაპი. ფინეთი |
| 03.08-12.08 | **ფრენბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U18). ქალები. მეხიკო (მექსიკა) |
| 03.08-19.08 | **ფრენბურთი.** მსოფლიო გრან-პრი. ქალები. წინასწარი ეტაპი |
| 04.08-12.08 | **ჭადრაკი.** ოლიმპიადა (U16). სინგაპური |
| 05.08 | **ფორმულა** 1. XI ეტაპი. უნგრეთის გრან-პრი. ჰურგარორინგი |
| 05.08 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XIII ეტაპი. მიჩიგანი (აშშ) |
| 05.08 | **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. ჰიუ-სიკლასიკსი. ჰამბურგი (გერმანია) |
| 06.08-12.08 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. ტორონტო (კანადა) |
| 06.08-12.08 | **ჩოგბურთი.** WTA. JPMorgan Chase Open. ლოს ანჯელესი (აშშ) |
| 07.08-11.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. კრისტიანსანდი (ნორვეგია) |
| 08.08-12.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. კრისტიანსანდი (ნორვეგია) |
| 08.08-18.08 | **ზაფხულის უნივერსიადა.** ბანგკოკი (ტაილანდი) |
| 08.08-12.08 | **ნაიდარები და კანოე.** მსოფლიო ჩემპიონატი. დუისბურგი (გერმანია) |
| 09.08-12.08 | **გოლფი.** PGA-ის ჩემპიონატი |
| 11.08 | **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. სან სებასტიანის კლასიკური. სან სებასტიანი (ესპანეთი) |
| 11.08 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XIV ეტაპი. კენტუკი (აშშ) |
| 12.08 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. XI ეტაპი. ელხარტ ლეიკი (აშშ) |
| 12.08-19.08 | **ბადმინტონი.** მსოფლიო ჩემპიონატი. კუალა ლუმპური (მალაიზია) |
| 13.08-19.08 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. ცინცინატი (აშშ) |
| 13.08-19.08 | **ჩოგბურთი.** WTA. Rogers Cup. ტორონტო (კანადა) |
| 13.08-26.08 | **ხელბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U21). მამაკაცები. მაკედონია |
| 14.08-18.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ალანდი (ფინეთი) |
| 15.08-19.08 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ალანდი (ფინეთი) |
| 15.08-26.08 | **ფრენბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (U19). მამაკაცები. მეხიკო (მექსიკა) |
| 17.08-19.08 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. X ეტაპი. გერმანია |
| 19.08 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთის გრან-პრი. ბრნო |
| 19.08 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. XII ეტაპი. დენვერი (აშშ) |
| 20.08-26.08 | **ჩოგბურთი.** ATP. Pilot Pen Tennis. ნიუ ჰევენი (აშშ) |
| 20.08-26.08 | **ჩოგბურთი.** WTA. Pilot Pen Tennis. ნიუ ჰევენი (აშშ) |
| 20.08-26.08 | **ჩოგბურთი.** WTA. Forest Hills Classic. ფორესტ ჰილსი (აშშ) |
| 22.08 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (*ბელგია-სერბეთი, ფინეთი-ყაზახეთი, სომხეთი-პორტუგალია, სან მარინო-კვიპროსი, ესტონეთი-ანდორა, ჩრ. ირლანდია-ლიხტენშტაინი*) |
| 22.08 | **ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩები (*ნორვეგია-არგენტინა, დანია-ირლანდია, სლოვაკეთი-საფრანგეთი*) |
| 22.08-26.08 | **ფრენბურთი.** მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალი. ნინგბო (იაპონია) |
| 25.08-02.09 | **მძლეოსნობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. ოსაკა. იაპონია |
| 26.08 | **ფორმულა** 1. XII ეტაპი. თურქეთის გრან-პრი. სტამბოლი |
| 26.08 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XV ეტაპი. ინფინეონი (აშშ) |
| 26.08-02.09 | **ნიჩბოსნობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. მიუნხენი (გერმანია) |
| 27.08-09.09 | **ჩოგბურთი.** აშშ-ს ღია პირველობა |
| 28.08-01.09 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. სტ. პეტერბურგი (რუსეთი) |
| 29.08-02.09 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. სტ. პეტერბურგი (რუსეთი) |
| 31.08-02.09 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XI ეტაპი. ახ. ზელანდია |



მსოფლიო ჩემპიონატზე ასაფა პაუელისგან მსოფლიო რეკორდს ელიან



გაიმეორებს ჯონი ვილკინსონი 2003 წლის ოქროს დარტყმას?

## სექტემბერი

| | |
|---|---|
| 01.09-09.09 | **სპორტული ტანვარჯიში.** მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტგარტი (გერმანია) |
| 01.09-23.09 | **ველოსპორტი.** ვეულტა (ესპანეთი) |
| 02.09 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან-პრი. მისანო |
| 02.09 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XVI ეტაპი. დეტროიტი (აშშ) |
| 03.09-16.09 | **კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ესპანეთი |
| 05.09-09.09 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. სტარე იაბლონკი (პოლონეთი) |
| 06.09-09.09 | **ძიუდო.** მსოფლიო ჩემპიონატი. რიო დე ჟანეირო (ბრაზილია) |
| 07.09 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". Weitklasse Zurich. ციურიხი (შვეიცარია) |
| 07.09-20.10 | **რაგბი.** მსოფლიო თასი. საფრანგეთი |
| 09.09 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (*პორტუგალია-პოლონეთი, სერბეთი-ფინეთი, აზერბაიჯანი-სომხეთი, საქართველო-უკრაინა, იტალია-საფრანგეთი, შოტლანდია-ლიტვა, უნგრეთი-ბოსნია, მალტა-თურქეთი, მოლდოვა-ნორვეგია, სან მარინო-ჩეხეთი, სლოვაკეთი-ირლანდია, უელსი-გერმანია, ინგლისი-ისრაელი, რუსეთი-მაკედონია, ხორვატია-ესტონეთი, ისლანდია-ესპანეთი, ლატვია-ჩრ. ირლანდია, შვედეთი-დანია, ბელარუსი-რუმინეთი, ლუქსემბურგი-სლოვენია, ჰოლანდია-ბულგარეთი*) |
| 09.09 | **ფორმულა** 1. XIII ეტაპი. იტალიის გრან-პრი. მონცა |
| 09.09 | **ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XVII ეტაპი. ილინოისი (აშშ) |
| 10.09-16.09 | **ჩოგბურთი.** ATP. China Open. შანხაი (ჩინეთი) |
| 10.09-16.09 | **ჩოგბურთი.** ATP. BCR Open Romania. ბუქარესტი (რუმინეთი) |
| 10.09-16.09 | **ჩოგბურთი.** WTA. Wismilak Internacional. ბალი (ინდონეზია) |
| 10.09-30.09 | **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჩინეთი |
| 11.09-01.10 | **ჭადრაკი.** მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მეხიკო (მექსიკა) |
| 12.09 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (*ფინეთი-პოლონეთი, ყაზახეთი-ბელგია, სომხეთი-აზერბაიჯანი, პორტუგალია-სერბეთი, უკრაინა-იტალია, საფრანგეთი-შოტლანდია, ლიტვა-ფარერები, თურქეთი-უნგრეთი, ბოსნია-მოლდოვა, ნორვეგია-საბერძნეთი, სლოვაკეთი-უელსი, კვიპროსი-სან მარინო, ჩეხეთი-ირლანდია, ანდორა-ხორვატია, ინგლისი-რუსეთი, მაკედონია-ესტონეთი, ესპანეთი-ლატვია, დანია-ლიხტენშტაინი, ისლანდია-ჩრ. ირლანდია, სლოვენია-ბელარუსი, ალბანეთი-ჰოლანდია, ბულგარეთი-ლუქსემბურგი*) |
| 12.09 | **ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩები (*საქართველო-არგენტინა, გერმანია-რუმინეთი*) |
| 14.09 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". Memorial Van Damme. ბრიუსელი (ბელგია) |
| 15.07-16.07 | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. ფინალი |
| 15.09-24.09 | **ძალოსნობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. ჩიან მაი (ტაილანდი) |
| 15.09-30.09 | **კრივი.** მსოფლიო ჩემპიონატი. მოსკოვი (რუსეთი) |
| 16.09 | **ფორმულა** 1. XIV ეტაპი. ბელგიის გრან-პრი. სპა |
| 16.09 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან-პრი. ეშტორილი |
| 16.09 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის "ოქროს ლიგა". ISTAF 2007. ბერლინი (გერმანია) |
| 17.09-23.09 | **ჩოგბურთი.** WTA. China Open. შანხაი (ჩინეთი) |
| 17.09-23.09 | **ჩოგბურთი.** WTA. Kolkata Open 2007. კოლკატა (ინდოეთი) |
| 17.09-23.09 | **ჩოგბურთი.** WTA. Slovenia Open. პორტოროზი (სლოვენ.) |
| 18.09-23.09 | **ჭიდაობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. ბაქო (აზერბაიჯანი) |
| 18.09-22.09 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ვიტორია (ბრაზილია) |
| 19.09-23.09 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ვიტორია (ბრაზილია) |
| 19.09-23.09 | **მხატვრული ტანვარჯიში.** მსოფლიო ჩემპიონატი. პატრასი (საბერძნეთი) |
| 19.09-23.09 | **ნაიდარები და კანოე.** მსოფლიო ჩემპიონატი (სლალომი). რიო დე ჟანეირო (ბრაზილია) |
| 21.09-23.09 | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/2 ფინალი |
| 22.09-23.09 | **მძლეოსნობა.** IAAF-ის გრან-პრის ფინალი. შტუტგარტი (გერმანია) |
| 22.09-23.09 | **ნიჩბოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. პოზნანი (პოლონეთი) |
| 23.09 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან-პრი. მოტეგი |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** ATP. Mumbai Open. მუმბაი (ინდოეთი) |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** ATP. Thailand Open. ბანგკოკი (ტაილანდი) |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** ATP. Campionati Internazionali di Sicilia. პალერმო (იტალია) |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** WTA. FORTIS Championships. ლუქსემბურგი |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** WTA. Guangzhou International. ჩინეთი |
| 24.09-30.09 | **ჩოგბურთი.** WTA. Hansol Korea Open. სეული (კორეა) |
| 26.09-30.09 | **ველოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტგარტი (გერმანია) |
| 28.09-06.10 | **ფარიკაობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. სტ. პეტერბურგი (რუსეთი) |
| 30.09 | **ფორმულა** 1. XV ეტაპი. იაპონიის გრან-პრი. ფუჯი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 01.10-07.10 | **ჩოგბურთი.** ATP. AIG Japan Open. ტოკიო (იაპონია) |
| 01.10-07.10 | **ჩოგბურთი.** ATP. Open de Moselle. მეცი (საფრანგეთი) |
| 01.10-07.10 | **ჩოგბურთი.** WTA. Porsche Tennis Grand Prix. შტუტგარტი (გერმანია) |
| 01.10-07.10 | **ჩოგბურთი.** WTA. AIG Japan Open. ტოკიო (იაპონია) |
| 01.10-07.10 | **ჩოგბურთი.** WTA. Tashkent Open. ტაშკენტი (უზბეკეთი) |
| 02.10-17.10 | **ჭადრაკი.** მსოფლიო ჩემპიონატი (იუნიორები). ერევანი (სომხეთი) |
| 05.10-07.10 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XII ეტაპი. ესპანეთი |
| 07.10 | **ფორმულა 1.** XVI ეტაპი. ჩინეთის გრან-პრი. შანხაი |
| 07.10 | **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. პარიზი-ტური. საფრანგეთი |
| 08.10-14.10 | **ჩოგბურთი.** ATP. BA-CA Tennis Trophy. ვენა (ავსტრია) |
| 08.10-14.10 | **ჩოგბურთი.** ATP. Stockholm Open. სტოკჰოლმი (შვედეთი) |
| 08.10-14.10 | **ჩოგბურთი.** ATP. Kremlin Open. მოსკოვი (რუსეთი) |
| 08.10-14.10 | **ჩოგბურთი.** WTA. Kremlin Open. მოსკოვი (რუსეთი) |
| 08.10-14.10 | **ჩოგბურთი.** WTA. PTT Bangkok Open. ბანგკოკი (ტაილანდი) |
| 20.10-21.10 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. I ეტაპი. დურბანი (ს. აფრიკა) |
| 12.10-14.10 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XIII ეტაპი. საფრანგეთი |
| 12.10-14.10 | **მაგიდის ჩოგბურთი.** მსოფლიო თასი. ბარსელონა (ესპანეთი) |
| 13.10 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (სომხეთი-სერბეთი, პოლონეთი-ყაზახეთი, აზერბაიჯანი-პორტუგალია, ბელგია-ფინეთი, შოტლანდია-უკრაინა, ფარერები-საფრანგეთი, იტალია-საქართველო, მოლდოვა-თურქეთი, საბერძნეთი-ბოსნია, უნგრეთი-მალტა, ირლანდია-კვიპროსი, გერმანია-ჩეხეთი, სან მარინო-უელსი, ინგლისი-ესტონეთი, ლიხტენშტაინი-შვედეთი, დანია-ესპანეთი, ისლანდია-ლატვია, სლოვენია-ალბანეთი, ბელარუსი-ლუქსემბურგი, რუმინეთი-ჰოლანდია) |
| 14.10 | **ველოსპორტი.** პრო-ტურის სერია. ჯირო ლომბარდია. იტალია |
| 14.10 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან-პრი. ფილიპ აილენდი |
| 15.10-21.10 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. მადრიდი (ესპანეთი) |
| 15.10-21.10 | **ჩოგბურთი.** WTA. Zurich Open. ციურიხი (შვეიცარია) |
| 15.10 | **სუმო.** მსოფლიო ჩემპიონატი. ოსაკა (იაპონია) |
| 17.10 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (ყაზახეთი-პორტუგალია, აზერბაიჯანი-სერბეთი, ბელგია-სომხეთი, უკრაინა-ფარერები, საფრანგეთი-ლიტვა, საქართველო-შოტლანდია, თურქეთი-საბერძნეთი, ბოსნია-ნორვეგია, მალტა-მოლდოვა, ირლანდია-გერმანია, სლოვაკეთი-სან მარინო, კვიპროსი-უელსი, რუსეთი-ინგლისი, ხორვატია-ისრაელი, მაკედონია-ანდორა, შვედეთი-ჩრ. ირლანდია, დანია-ლატვია, ლიხტენშტაინი-ისლანდია, ჰოლანდია-სლოვენია, ალბანეთი-ბულგარეთი, ლუქსემბურგი-რუმინეთი) |
| 21.10 | **ფორმულა 1.** XVII ეტაპი. ბრაზილიის გრან-პრი. ინტერლაგუში |
| 21.10 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან-პრი. სეპანგი |
| 21.10 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. XIII ეტაპი. ქუინსლენდი (ავსტრალია) |
| 22.10-28.10 | **ჩოგბურთი.** ATP. St.Petersburg Open. სტ.პეტერბურგი (რუსეთი) |
| 22.10-28.10 | **ჩოგბურთი.** ATP. Davidoff Swiss Indoors. ბაზელი (შვეიცარია) |
| 22.10-28.10 | **ჩოგბურთი.** ATP. Grand Prix de Tennis de Lyon. ლიონი (საფრანგეთი) |
| 22.10-28.10 | **ჩოგბურთი.** WTA. Generali Ladies. ლინცი (ავსტრია) |
| 23.10-28.10 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. აკაპულკო (მექსიკა) |
| 24.10-27.10 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. აკაპულკო (მექსიკა) |
| 26.10-28.10 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XIV ეტაპი. იაპონია |
| 27.10-28.10 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. II ეტაპი. სინგაპური (სინგაპური) |
| 27.10-07.11 | **ჭადრაკი.** ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ჰერაკლიო (საბერძნეთი) |
| 29.10-04.11 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსის სერია. პარიზი (საფრანგეთი) |
| 29.10-04.11 | **ჩოგბურთი.** WTA. Bell Challenge. კვებეკი (კანადა) |
| 29.10-04.11 | **ჩოგბურთი.** WTA. Anda Open. თელ-ავივი (ისრაელი) |
| 31.10-04.11 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. მამაკაცები. ბალი (ინდონეზია) |
| 31.10-04.11 | **პლაჟის ფრენბურთი.** მსოფლიო ტური. ქალები. ფუკეტი (ტაილანდი) |



ჟუსტინ ანენ-არდენი რეიტინგში კვლავ პირველობას უმიზნებს

## ნოემბერი

| | |
|---|---|
| 02.11-03.11 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. III ეტაპი. სიდნეი (ავსტრალია) |
| 02.11-04.11 | **ბატუტზე ხტომა.** მსოფლიო ჩემპიონატი. კვებეკი (კანადა) |
| 02.11-16.11 | **ფრენბურთი.** მსოფლიო თასი. ქალები. იაპონია |
| 04.11 | **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან-პრი. რიკარდო ტორმო |
| 05.11-12.11 | **ჩოგბურთი.** WTA-ჩემპიონატი. მადრიდი (ესპანეთი) |
| 05.11-13.11 | **ჩოგბურთი.** "მასტერსის თასი". შანხაი (ჩინეთი) |
| 09.11-10.11 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. IV ეტაპი. მოსკოვი (რუსეთი) |
| 11.11 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. XIV ეტაპი. მეხიკო (მექსიკა) |
| 13.11-14.11 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. V ეტაპი. სტოკჰოლმი (შვედეთი) |
| 16.11-18.11 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XV ეტაპი. ირლანდია |
| 17.11 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (პორტუგალია-სომხეთი, ფინეთი-აზერბაიჯანი, სერბეთი-ყაზახეთი, პოლონეთი-ბელგია, შოტლანდია-იტალია, ლიტვა-უკრაინა, ნორვეგია-თურქეთი, საბერძნეთი-მალტა, მოლდოვა-უნგრეთი, უელსი-ირლანდია, ჩეხეთი-სლოვაკეთი, გერმანია-კვიპროსი, ისრაელი-რუსეთი, ანდორა-ესტონეთი, მაკედონია-ხორვატია, ესპანეთი-შვედეთი, ლატვია-ლიხტენშტაინი, ჩრ. ირლანდია-დანია, ჰოლანდია-ლუქსემბურგი, ალბანეთი-ბელარუსი, ბულგარეთი-რუმინეთი) |
| 17.11-18.11 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. VI ეტაპი. ბერლინი (გერმანია) |
| 17.11-29.11 | **ჭადრაკი.** მსოფლიო ჩემპიონატი (ახალგაზრდები). ანთალია (თურქეთი) |
| 18.11-02.12 | **ფრენბურთი.** მსოფლიო თასი. მამაკაცები. იაპონია |
| 21.11 | **ფეხბურთი.** ევრო 2008. შესარჩევი მატჩები (აზერბაიჯანი-ბელგია, პორტუგალია-ფინეთი, სომხეთი-ყაზახეთი, სერბეთი-პოლონეთი, უკრაინა-საფრანგეთი, საქართველო-ლიტვა, იტალია-ფარერები, თურქეთი-ბოსნია, უნგრეთი-საბერძნეთი, მალტა-ნორვეგია, სან მარინო-სლოვაკეთი, კვიპროსი-ჩეხეთი, გერმანია-უელსი, ისრაელი-მაკედონია, ანდორა-რუსეთი, ინგლისი-ხორვატია, შვედეთი-ლატვია, დანია-ისლანდია, ესპანეთი-ჩრ. ირლანდია, სლოვენია-ბულგარეთი, ბელარუსი-ჰოლანდია, რუმინეთი-ალბანეთი) |
| 23.11-24.11 | **ცურვა.** მსოფლიო თასი. VII ეტაპი. ბელუ ორიზონტე (ბრაზილია) |
| 30.11-02.12 | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. ფინალი |
| 30.11-02.12 | **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატი. XVI ეტაპი. უელსი |

## დეკემბერი

| | |
|---|---|
| 02.12-16.12 | **ხელბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. საფრანგეთი |
| 02.12 | **ავტოსპორტი.** ჩემპკარის სერია. XV ეტაპი. ფინიქსი (აშშ) |
| - | **ფეხბურთი.** კლუბებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი |
| - | **ფეხბურთი.** ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა |
| - | **ფეხბურთი.** FIFA-ს ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა |

## კალათბურთი
## EUROBASKET 2007

### A ჯგუფი (გრანადა)

**3 სექტემბერი**
საქ. გამარჯ-საბერძნეთი
სერბეთი-რუსეთი

**4 სექტემბერი**
რუსეთი-საქ. გამარჯ
საბერძნეთი-სერბეთი

**5 სექტემბერი**
საქ. გამარჯ-სერბეთი
რუსეთი-საბერძნეთი

### B ჯგუფი (სევილია)

**3 სექტემბერი**
პორტუგალია-ესპანეთი
ლატვია-ხორვატია

**4 სექტემბერი**
ხორვატია-პორტუგალია
ესპანეთი-ლატვია

**5 სექტემბერი**
პორტუგალია-ლატვია
ხორვატია-ესპანეთი

### C ჯგუფი (მალიორკა)

**3 სექტემბერი**
ჩეხეთი-გერმანია
თურქეთი-ლიტვა

**4 სექტემბერი**
ლიტვა-ჩეხეთი
გერმანია-თურქეთი

**5 სექტემბერი**
ჩეხეთი-თურქეთი
ლიტვა-გერმანია

### D ჯგუფი (ალიკანტე)

**3 სექტემბერი**
პოლონეთი-საფრანგეთი
იტალია-სლოვენია

**4 სექტემბერი**
სლოვენია-პოლონეთი
საფრანგეთი-იტალია

**5 სექტემბერი**
პოლონეთი-იტალია
სლოვენია-საფრანგეთი

### II ჯგუფური ტურნირი

### E ჯგუფი (მადრიდი)

**7 სექტემბერი**
B 3 - A 1
B 2 - A 2
A 3 - B 1

**9 სექტემბერი**
A 1 - B 2
B 3 - A 3
B 1 - A 2

**11 სექტემბერი**
B 1 - A 1
A 2 - B 3
B 2 - A 3

### F ჯგუფი (მადრიდი)

**8 სექტემბერი**
D 3 - C 1
D 2 - C 2
C 3 - D 1

**10 სექტემბერი**
C 1 - D 2
D 3 - C 3
C 2 - D 1

**12 სექტემბერი**
D 1 - C 1
C 2 - D 3
D 2 - C 3

### მეოთხედფინალი (მადრიდი)

**13 სექტემბერი**
E 1 - F 4
E 2 - F 3

**14 სექტემბერი**
E 3 - F 2
E 4 - F 1

### ნახევარფინალი (მადრიდი)

**15 სექტემბერი**
E 1\F 4 - E 3\F 2
E 2\F 3 - E 4\F 1

### ფინალი (მადრიდი)

**16 სექტემბერი**

## რაგბი
## მსოფლიო თასი

### A ჯგუფი

**8 სექტემბერი**
ინგლისი-აშშ (ლანსი)

**9 სექტემბერი**
ს. აფრიკა-სამოა (პარიზი)

**12 სექტემბერი**
აშშ-რევეშაჟი 2 (მონპელიე)

**14 სექტემბერი**
ინგლისი-ს. აფრიკა (სენ დენი)

**16 სექტემბერი**
სამოა-რევეშაჟი 2 (მონპელიე)

**22 სექტემბერი**
ს. აფრიკა-რევეშაჟი 2 (ლანსი)
ინგლისი-სამოა (ნანტი)

**26 სექტემბერი**
სამოა-აშშ (სტ. ეტიენი)

**28 სექტემბერი**
ინგლისი-რევეშაჟი 2 (პარიზი)

**30 სექტემბერი**
ს. აფრიკა-აშშ (მონპელიე)

### B ჯგუფი

**8 სექტემბერი**
ავსტრალია-იაპონია (ლიონი)

**9 სექტემბერი**
უელსი-კანადა (ნანტი)

**12 სექტემბერი**
იაპონია-ფიჯი (ტულუზა)

**15 სექტემბერი**
უელსი-ავსტრალია (კარდიფი)

**16 სექტემბერი**
ფიჯი-კანადა (კარდიფი)

**20 სექტემბერი**
უელსი-იაპონია (კარდიფი)

**23 სექტემბერი**
ავსტრალია-ფიჯი (მონპელიე)

**25 სექტემბერი**
კანადა-იაპონია (ბორდო)

**29 სექტემბერი**
ავსტრალია-კანადა (ბორდო)
უელსი-ფიჯი (ნანტი)

### C ჯგუფი

**8 სექტემბერი**
ახ. ზელანდია-იტალია (მარსელი)

**9 სექტემბერი**
შოტლანდია-რევეშაჟი 1 (სტ. ეტიენი)

**12 სექტემბერი**
იტალია-რუმინეთი (მარსელი)

**15 სექტემბერი**
ახ. ზელანდია-რევეშაჟი 1 (ლიონი)

**18 სექტემბერი**
შოტლანდია-რუმინეთი (ედინბურგი)

**19 სექტემბერი**
იტალია-რევეშაჟი 1 (პარიზი)

**23 სექტემბერი**
შოტლანდია-ზელანდია (ედინბურგი)

**25 სექტემბერი**
რუმინეთი-რევეშაჟი 1 (ტულუზა)

**29 სექტემბერი**
ახ. ზელანდია-რუმინეთი (ტულუზა)
შოტლანდია-იტალია (სტ. ეტიენი)

### D ჯგუფი

**7 სექტემბერი**
საფრანგეთი-არგენტინა (სენ დენი)

**9 სექტემბერი**
ირლანდია-ნამიბია (ბორდო)

**11 სექტემბერი**
არგენტინა-საქართველო (ლიონი)

**15 სექტემბერი**
ირლანდია-საქართველო (ბორდო)

**16 სექტემბერი**
საფრანგეთი-ნამიბია (ტულუზა)

**21 სექტემბერი**
საფრანგეთი-ირლანდია (სენ დენი)

**22 სექტემბერი**
არგენტინა-ნამიბია (მარსელი)

**26 სექტემბერი**
საქართველო-ნამიბია (ლანსი)

**30 სექტემბერი**
საფრანგეთი-საქართველო (მარსელი)
ირლანდია-არგენტინა (პარიზი)

### მეოთხედფინალი

**6 ოქტომბერი**
1. B 1-A 2 (მარსელი)
2. C 1-D 2 (კარდიფი)

**7 ოქტომბერი**
3. A 1 - B 2 (მარსელი)
4. D 1 -C 2 (სენ დენი)

### ნახევარფინალი

**13 ოქტომბერი**
1 - 2 (სენ დენი)

**14 ოქტომბერი**
3 - 4 (სენ დენი)

### მე-3 ადგილისთვის (პარიზი)

**19 ოქტომბერი**

### ფინალი (სენ დენი)

**20 ოქტომბერი**

### კალენდარი დღეების მიხედვით

**7 სექტემბერი**
საფრანგეთი-არგენტინა (D)

**8 სექტემბერი**
ინგლისი-აშშ (A)
ავსტრალია-იაპონია (B)
ახ. ზელანდია-იტალია (C)

**9 სექტემბერი**
ს. აფრიკა-სამოა (A)
უელსი-კანადა (B)
შოტლანდია-რევეშაჟი 1 (C)
ირლანდია-ნამიბია (D)

**11 სექტემბერი**
არგენტინა-საქართველო (D)

**12 სექტემბერი**
აშშ-რევეშაჟი 2 (A)
იაპონია-ფიჯი (B)
იტალია-რუმინეთი (C)

**14 სექტემბერი**
ინგლისი-ს. აფრიკა (A)

**15 სექტემბერი**
უელსი-ავსტრალია (B)
ახ. ზელანდია-რევეშაჟი 1 (C)
ირლანდია-საქართველო (D)

**16 სექტემბერი**
სამოა-რევეშაჟი 2 (A)
ფიჯი-კანადა (B)
საფრანგეთი-ნამიბია (D)

**18 სექტემბერი**
შოტლანდია-რუმინეთი (C)

**19 სექტემბერი**
იტალია-რევეშაჟი 1 (C)

**20 სექტემბერი**
უელსი-იაპონია (B)

**21 სექტემბერი**
საფრანგეთი-ირლანდია (D)

**22 სექტემბერი**
ს. აფრიკა-რევეშაჟი 2 (A)
ინგლისი-სამოა (A)
არგენტინა-ნამიბია (D)

**23 სექტემბერი**
ავსტრალია-ფიჯი (B)
შოტლანდია-ზელანდია (C)

**25 სექტემბერი**
კანადა-იაპონია (B)
რუმინეთი-რევეშაჟი 1 (C)

**26 სექტემბერი**
სამოა-აშშ (A)
საქართველო-ნამიბია (D)

**28 სექტემბერი**
ინგლისი-რევეშაჟი 2 (A)

**29 სექტემბერი**
ავსტრალია-კანადა (B)
უელსი-ფიჯი (B)
ახ. ზელანდია-რუმინეთი (C)
შოტლანდია-იტალია (C)

**30 სექტემბერი**
ს. აფრიკა-აშშ (A)
საფრანგეთი-საქართველო (D)
ირლანდია-არგენტინა (D)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე. ახალი ამბები

# გაზპრომი შალკეს იპყრობს?

## ლინკოლნი: თუ აქ საჭირო აღარ ვარ, მაშინ ბაიერნში გადავალ!



ასეთი იქნება შალკეს მაისურა

**ლევან კობიაშვილის "შალკემ" ბუნდესლიგის პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულა. გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს და წესით, "შალკეში" ყველა კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, "ხუმარების" მთავარ მწვრთნელ მირკო სლომკას პრობლემები არ ელევა. ერთი სიტყვით, კობის გუნდისთვის ახალი წელი საკმაოდ მძიმედ დაიწყო.**

უპირველეს პრობლემად ისევ **ფრანკ როსტი** რჩება - 33 წლის მეკარე, რომელიც **სლომკამ**, ყველასთვის მოულოდნელად სკამზე დასვა, გუნდის კარი კი ახალგაზრდა **მანუელ ნოიერს** ანდო. არაერთხელ ვიუწყებოდით, რომ გამოცდილმა როსტმა გელზენკირხენული კლუბის დატოვება მოისურვა და აღნიშნა, რომ სკამზე ჯდომას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ "შალკეს" ბოსები ამბობენ, ფრანკი გვჭირდებაო, როსტი გელზენკირხენში დარჩენას არ აპირებს. ადრეც გაცნობეთ, რომ მისი შეძენა "ჰამბურგს" სურს - გუნდს, რომელსაც მძიმე დროება უდგას. HSV-ს შეფებმა შალკელ კოლეგებს უკვე მიმართეს ოფიციალური წინადადებით: "ჰამბურგი" მზადაა, **კობიაშვილის** გუნდს როსტის სანაცვლოდ 1 მილიონი ევრო გადაუხადოს - ნახევარი ახლავე, ნახევარი კი სეზონის ბოლოს. მაგრამ გელზენკირხენული გუნდის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** 2 მილიონ ევროს ითხოვს და აცხადებს, ამ თანხას ერთი ცენტიც არ დააკლდებაო.

*"თუ "შალკეს" ფულის შოვნა უნდა, მაშინ არაფერი გამოვა. ჩვენ მხოლოდ 1 მილიონს გადავიხდით. თუ ამ წინადადებას არ დათანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში, სხვა მეკარეს ვიყიდით, ანაც ისევ ძველ გოლკიპერებს ვენდობით,"* - ამბობს HSV-ს მენეჯერი **დიტმარ ბაიერსდორფერი**. გამოდის, რომ გარიგება ჩაშლის პირასაა.

პრობლემა ნომერი ორი კი ახალგაზრდა მცველი **მათიას აბელია**, რომელიც ასევე უკმაყოფილოა სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსით. გელზენკირხენელებმა აბელი 2004 წელს "მაინციდან" იყიდეს. მას "შალკეს" დაცვის მარჯვენა ფლანგი უნდა გაემაგრებინა. მაგრამ იმავე წელს "შალკეში" ბრაზილიელი **რაფინიაც** გადავიდა, რომელსაც აბელი კონკურენციას ვერ უწევს. მართალია, ამ უკანასკნელს დაცვის ცენტრშიც შეუძლია ასპარეზობა, მაგრამ იქ "ხუმარებს" **მლადენ კრსტაიჩი** და **მარსელო ბორდონი** ჰყავთ, რომლებიც ასევე შეუცვლელი ფიგურები არიან. თანაც, "შალკემ" ახლახან კიდევ ერთი მცველი, ბრაზილიელი **გუსტავო** შეიძინა, რომელიც კობის გუნდს ამ დღეებში შეუერთდება.

*"სლომკას ხელში თამაში არ მიწერია. რაკი ერთხელ ამითვალწუნა, დარწმუნებული ვარ, რომ აღარასოდეს მათამაშებს. სანამ "შალკეს" მწვრთნელი სლომკა იქნება, სკამზე ჯდომისთვის ვიქნები განწირული და თავის გამოჩენის შანსი არ მომეცემა. არადა, სათამაშო პრაქტიკა მჭირდება,"* - აცხადებს აბელი, რომელიც გელზენკირხენულ კლუბში სლომკას წინამორბედმა, **რალფ რანგნიკმა** გადაიყვანა. აბელს "შალკესთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. მიულერი მის გაყიდვაზე არ ფიქრობს. "ხუმარები" მას სავარაუდოდ აახენის "ალემანიაში" გაანათხოვრებენ.

სლომკას პრობლემები ამით არ ამოწურულა: გუნდიდან წასვლაზე ფიქრობს ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **ლინკოლნიც**. ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ადგილი ამ უკანასკნელმაც დაკარგა. 27 წლის ლინკოლნი (კონტრაქტი 2008 წლამდე) თვენახევრის განმავლობაში ტრავმირებული იყო და "შალკემ" მნიშვნელოვანი თამაშები სწორედ მის გარეშე მოიგო. გელზენკირხენელი ფანები დღენიადაგ გაიძახიან, ჩვენი საყვარელი გუნდი ლინკოლნის გარეშე უფრო უკეთ თამაშობს, ვიდრე მასთან ერთადო. გამოჯანმრთელების შემდეგ "ხუმარების" მეათე ნომერმა 2 თამაში ჩაატარა და ორივეში ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა (ელემენტარულ პასებსაც ვერ აკეთებდა), რის გამოც პუბლიკამ მაგრად უსტვინა. ამრიგად, ლინკოლნი გულშემატკივრებმაც აითვალწუნეს. თვითონ ფეხბურთელი ამბობს, თუ "შალკეს" არ ვჭირდები, "ბაიერნში" გადავალო. რეკორდმაისტერს ადრე მისი შეძენა მართლაც უნდოდა, მაგრამ საეჭვოა, რომ მიუნხენური კლუბის ბოსებს ლინკოლნი დღესაც სურდეთ.

■ ■ ■

2007 წლის დაწყება "შალკესთვის" იმასაც ნიშნავს, რომ ამიერიდან კობიაშვილისა და მისი თანაგუნდელების მთავარი სპონსორი "გაზპრომი" იქნება. მოგეხსენებათ, გელზენკირხენელებმა შემოდგომაზე რუსულ კომპანიასთან შესანიშნავი კონტრაქტი გააფორმეს (2012 წლამდე). "გაზპრომი" "შალკეს" 60-დან 125 მილიონ ევრომდე გადაუხდის. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ გელზენკირხენულ კლუბს რუსები გააკონტროლებენ. "ხუმარების" პრეზიდენტი **გერდ რეჰბერგი** ამბობს, რომ ეს გამორიცხულია და რომ რუსები მხოლოდ და მხოლოდ "შალკეს" სპონსორები იქნებიან, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ "გაზპრომი" გუნდის საქმიანობაში არ ჩაერევა. მით უმეტეს, რომ ხელშეკრულება **ვლადიმირ პუტინისა** და გერმანიის ექს-კანცლერ **გერჰარდ შრიოდერის** თანდასწრებით გაფორმდა. შეგახსენებთ, რომ "შალკეს" დაახლოებით 100 მილიონამდე ვალი აქვს.

20 იანვარს, "არენა აუფ შალკეზე" "გაზპრომის" ოფიციალური პრეზენტაციაა დაგეგმილი. გაიმართება ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც "შალკე" "გაზპრომის" მიერ კონტროლირებად "ზენიტს" უმასპინძლებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ თამაშს პუტინიც დაესწრება.

რას უპირებენ გელზენკირხენელები ამდენ ფულს? ფინანსების განმკარგველი **იოზეფ შნუზენბერგი** ამბობს, რომ "ხუმარები" ვარსკვლავების შეძენას არ ეცდებიან: *"იმდენი ფული ნამდვილად არ გვექნება, რომ რონალდინიოს ან რონალდოს კალიბრის მოთამაშეებს დავუმიზნოთ. დღევანდელი შემადგენლობითაც ძალიან კმაყოფილები ვართ. ეს ფული კი, მიზნობრივად და ფრთხილად უნდა დავხარჯოთ."* "შალკე" და "გაზპრომი" - ვნახოთ, იქნებ, სულ მალე კობიაშვილის თანაგუნდელი რომელიმე რუსი ფეხბურთელიც გახდეს.

**გოტფრიდ ლენცი**



შალკე ლინკოლნს კარგავს?



ვინჩენცო იაკუინტა მილანის სამიზნეშია?

პანორამა

# სატრანსფერო ბაზრის ჭორ-მართალი

ესპანური "დიარიო სპორტი" ირწმუნება, რომ "ბარსელონა" ორი პრემიერლიგელით შეივსება. საუბარია მანჩესტერელ კრისტიანო რონალდოსა და ლივერპულელ ჩაბი ალონსოზე. ამ დღეებში კატალონიური კლუბის დირექტორატმა 2007/08 წლების სატრანსფერო გეგმებზე იმსჯელა და სიას სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ჩაუყენა სათავეში. ზაფხულის სასურველ შენაძენებს შორისაა საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მარცხენა მცველი ერიკ აბიდალიც. სამიზნეშია აგრეთვე "ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი როდრიგო პალასიო, რომელშიც "ბარსა" 13 მილიონ გირვანქას იხდის, თუმცა არგენტინული გრანდი, ჯერჯერობით, უარზეა.

რაც შეეხება ჩაბი ალონსოს, რამდენიმე დღის წინათ მან კატეგორიულად უარყო "ატლეტიკოში" გადასვლის შესაძლებლობა, კრისტიან რონალდომ კი ერთგულების ფიცი მისცა "იუნაიტედს", თუმცა "ბარსელონის" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა უკან დახევას არ აპირებს.

■ ■ ■

"ჩელსი" დაცვის გაძლიერებას ცდილობს. ჟოზე მოურინიოს თვალთახედვის არეში მოხვდა "დეპორტივოს" პორტუგალიელი მცველი ჟორჟე ანდრადე. ინფორმაციას "დეილი მირორი" ავრცელებს. 28 წლის ანდრადე, რომელიც "პორტუს" ღირსებას იცავდა, ტრავმირებული იყო და სათამაშო პრაქტიკა კარგა ხანს არ ჰქონდა. კიდევ ერთი მცველი, რომელიც მოურინიოს მოსწონს და იანვარშივე ეცდება მის შეძენას, "მანჩესტერ სიტის" უკანახაზელი, ვუნდერკინდად წოდებული, 18 წლის მიკა რიჩარდსია, თუმცა კლუბი მის გაშვებას ჯერ არ აპირებს. "დეილი მირორის" ცნობით, მოურინიო თურმე ნანობს, რომ ზაფხულში უილიამ გალასსა და რობერტ ჰუთს შეელია.

■ ■ ■

"ლივერპული", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ბარსელონა" და "ვალენსია" 16 წლის ჯეიმს მაკკარტის შეძენას ცდილობენ. ყმაწვილი შოტლანდიური "ჰამილტონ აკადემიკალის" ღირსებას იცავს და გასულ წელს პირველ სკოტურ დივიზიონში დებიუტიც ჰქონდა. როგორც ამბობენ, ზემოთ ხსენებულ ოთხეულს შორის მიზანთან ყველაზე ახლოს "ლივერპულია". ინგლისური გაზეთების მტკიცებით, მაკკარტიმ "ენფილდზე" უკვე სინჯებიც გაიარა. ახლა, მხარეები სატრანსფერო თანხას ათანხმებენ. ასევე მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში მერსისაიდელები კონტრაქტს გაუფორმებენ "ბოკა ხუნიორსის" 17 წლის მცველ ემილიანო ინსუას.

■ ■ ■

"თაიმსის" ცნობით, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებისა და "უოტფორდის" ნახევარმცველი ეშლი იანგი, შეიძლება, "ლივერპულში" აღმოჩნდეს. იანგი უნივერსალია, შუა ხაზში მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. "ლივერპული" მზადაა, მასში 4 მილიონი გირვანქა გაიღოს, მაშინ, როცა "არსენალის", "ვესტ ჰემის", "ტოტენჰემისა" და "ჩარლტონის" შეთავაზება ერთი მილიონით ნაკლებია.

■ ■ ■

"ნიუკასლმა", რომელმაც ამაოდ სცადა "ლივერპულისგან" პიტერ კრაუჩის შეძენა, აქცენტი "ევერტონის" ფორვარდ ჯეიმს ბიტიზე გადაიტანა. ბიტის ადრე ინგლისის ნაკრებშიც იწვევდნენ, მაგრამ ახლა "ევერტონის" ძირითადშიც ველარ ხვდება. უცნაურია, რომ "ჯორდები" ასეთ ფეხბურთელში 6 მილიონ გირვანქას იხდიან.

■ ■ ■

"ბოლტონის" ესპანელი მცველი ივან კამპო "ბილბაოში" გადადის - აცხადებს "სანი". კონტრაქტზე ხელმოწერა მომავალ კვირაში შედგება. ბასკურ კლუბს ეს გარიგება 2.5 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

■ ■ ■

"სპორტალის" ინფორმაციით, "ვერდერი" "ტვენტეს" 23 წლის ნახევარმცველის პეტერ ნიმაიერის გადაბირებას აპირებს. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება, შესაბამისად, ბრემენელებს მასში ერთი ცენტის გადახდაც არ მოუწევთ. "ტვენტე" ცდილობს, ფეხბურთელი ახალ ხელშეკრულებაზე დაიყოლიოს.

■ ■ ■

"მილანი" ჩეხეთის ნაკრებისა და "ფიორენტინის" ცენტრალურ მცველს ტომაშ უიფალუშის იწვევს. ინფორმაცია "ტრაიბალფუტბოლმა" გაავრცელა. უიფალუშის ფლორენციულ კლუბთან კონტრაქტი წელიწადნახევარში უმთავრდება. "მილანს" ის ალესანდრო ნესტას ალტერნატივად ესახება. ჩეხზე პრეტენზიას "სევილიაც" აცხადებს.

■ ■ ■

"გოლი" ირწმუნება, რომ შესაძლოა, ამ დღეებში ვინჩენცო იაკუინტა "მილანის" ფორვარდი გახდეს. იაკუინტა იტალიის ნაკრების წევრია და აქვს პრეტენზია, უფრო დიდ კლუბში და უფრო დიდი მიზნებისთვის ირჯებოდეს.

■ ■ ■

"პალერმოს" ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოთი რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. ამათგან, ტანმაღალი თავდამსხმელის გადაბირებით ყველაზე მეტად "კიევო" და "პარი სენ ჟერმენი" არიან მონადინებული.

■ ■ ■

"სევილიის" ფორვარდ ერნესტო ჩევანტონს თვალი "ჯენოამ" დაადგა. "ტრაიბალფუტბოლის" ცნობით, სერია B-ში მოასპარეზე გენუური კლუბის პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი მზადაა, ურუგვაელ თავდამსხმელს სერიოზული წინადადებით მიმართოს.

დაპირისპირება

# ბალაკი რუმენიგეს წაეკიდა

როგორც იცით, **მიხაელ ბალაკი** "ბაიერნიდან" "ჩელსიში" ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადავიდა, რადგან რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ამოეწურა, ახალი ხელშეკრულების გაფორმება კი არ ისურვა. მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინათ მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, სწორად მოვიქეცით, მიხაელი "ჩელსიში" რომ გავუშვითო. *"როცა რუმენიგეს ეს განცხადება წავიკითხე, სიცილი ამიტყდა. ყველას ახსოვს, რომ "ბაიერნის" შეფები მეხვეწებოდნენ, მიუნხენში დარჩიო და ძალიან კარგი პირობებიც შემომთავაზეს. მაგრამ მე მაინც ლონდონში გადაბარგება გადავწყვიტე, რადგან ახალი თავგადასავლების ძიებაში ვიყავი. რუმენიგე დღემდე ვერ მპატიობს იმას, რომ მიუნხენში დარჩენაზე უარი ვუთხარი. "ბაიერნის" ხელმძღვანელები მიჩვეულები არიან იმას, რომ ფეხბურთელები ყველა ბრძანებას უსრულებენ ხოლმე. ნელ-ნელა იმასაც უნდა შეეგუონ, რომ მოთამაშე ყოველთვის ისე არ მოიქცევა, როგორც მათ სურთ,"* - აცხადებს ბალაკი "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მიხაელი ასევე აღნიშნავს, რომ "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესს** არაერთხელ ურჩია და სთხოვა მაღალი დონის გამთამაშებლის შეძენა. *"როცა ფლეიმეიქერის ყიდვა კატეგორიულად მოვთხოვე, დამაჯარიმეს. ვფიქრობ, უკვე გამოჩნდა, რომ მართალი ვიყავი,"* - ამბობს ბალაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წლის სპორტსმენი

ინტერვიუ ზაზა კედელაშვილთან

# კმაყოფილი?! წინ მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადაა!

2006 წლის ტრიუმფატორი ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილი (66) იყო. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მას დავით ბედინაძესა და ელენე გედევანიშვილთან ერთად გაუნაწილა, მერე საუკეთესოდ სპორტის დეპარტამენტმა დაასახელა, სულ ბოლოს კი კედელაშვილმა სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვაშიც გაიმარჯვა.

კედელაშვილ ნაკრების კანდიდატი წინა სეზონებშიც იყო, მაგრამ დებიუტი წლეულს ჰქონდა ფინურ ტამპერეში, ევროპის პირველობაზე და სამშობლოში ოქროს მედლით დაბრუნდა. ამის შემდეგ იყო მსოფლიოს გუნდური პირველობა, სადაც ზაზამ სპორტული გმირობა ჩაიდინა: პირველივე შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღო, მაგრამ სიცოცხლის რისკის ფასად, ბოლომდე იჭიდავა და დანარჩენი სამი ბრძოლაც წმინდად მოიგო. ნაკრების ჩემპიონობაში მისი წვლილი უდიდესია - ზაზას უარი რომ ეთქვა ტურნირის გაგრძელებაზე, პრაქტიკულად, ყველა მეტოქეს თითოქულიან ფორას ვაძლევდით. ბუნებრივია, ის წარმატება მთლიანად ნაკრების დამსახურებაა და თითმოტეხილმა ირაკლი ცირეკიძემაც არანაკლებ იომა - მანაც ოთხივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ კედელაშვილის ღვაწლი რომ განსაკუთრებულია, არავინ კამათობს.

**ზაზა, უპირველესად, წლის საუკეთესო ქართველ სპორტსმენად დასახელებას გილოცავთ...**

- დიდ მადლობას ვუხდი ყველა ჟურნალისტს, ვინც საუკეთესოდ დამასახელა. ამასთან, მთელ ქართველ ხალხს ვულოცავ შობა-ახალ წელს, ბედნიერებასა და სიკეთეს ვუსურვებ ყველას. ვეცდები, ეს ნდობა მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე მაქსიმალურად გავამართლო.

**- მოდით, ჭიდაობაში გადადგმული პირველი ნაბიჯები გავიხსენოთ.**

- რომ გითხრათ, ოჯახში ან სანათესაოში ვინმე გამოჩენილი მოჭიდავე მყავდა და ჭიდაობის სიყვარული გენეტიკურად მომდევს-მეთქი, არ ვიქნები მართალი. სოფელში, დედოფლისწყაროს რაიონის ზემო ქედში დიდი არჩევანი არც მქონდა, რადგან ჭიდაობის კლუბის გარდა არც არაფერი იყო. იქ ყველაფერში გვავარჯიშებდნენ - თავისუფალშიც, სამბოშიც, ძიუდოშიც და რაიონის პირველობებზე გამოვდიოდით. ძიუდოში ვარჯიშიც დაახლოებით 10 წლისამ იქ დავიწყე, გივი ლაზვიაშვილთან. თავიდან გასართობად ვჭიდაობდი. დიდი სპორტსმენი გამოვალ-მეთქი, ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ, რამდენიმე წელიწადში თბილისში გადმომიყვანეს სავარჯიშოდ, გურამ მოდებაძესთან. პირველი სერიოზული წარმატებაც მის ხელში მოვიპოვე - 2001 წელს ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავედი. მომდევნო სეზონში უკვე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, ოღონდ ახალგაზრდებში. იმავე წელს როტერდამში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე. მაშინ ფინალში ფრანგ ულსაიდთან წავაგე და პირველი საერთაშორისო ჯილდოც დავიმსახურე. 2003-ში საქართველოს პირველობა უკვე დიდებში მოვიგე, მაგრამ თბილისის ტურნირზე დავმარცხდი და ნაკრებში დამკვიდრება გამიჭირდა.

**- მაშინ მართლაც ისე გაგიჭირდათ ნაკრებში დამკვიდრება, ბევრმა ლამის ჩამოგწერათ კიდეც. რა იყო იმ შეფერხების მიზეზი?**

- ალალად გეტყვით - მაშინ დავით მარგოშვილი მჯობდა. ძირითადად იმის ხარჯზე, რომ ფიზიკურად ჩემზე ძლიერი იყო. ტურნირებზე როცა კი წავიდოდით ერთად, ის მუდამ უკეთეს შედეგს აჩვენებდა და ნაკრებშიც მას იწვევდნენ. მე ვერ ვამტკიცებდი, რომ ნაკრებში დაყენებას ვიმსახურებდი. საქართველოს 2003 წლის იმ ჩემპიონატზეც, რომელიც მოვიგე, მარგოშვილი არ ჭიდაობდა.

**- თუმცა მაშინ წონის პრობლემაც განუხებდათ... მახსოვს, ზოგჯერ ლამის 75 კილოგრამსაც კი აღწევდით.**

- წონის პრობლემა ახლაც მაწუხებს, მაგრამ დაკლების პროცესს უკვე შევეჩვიე. ადრე ამის გაკეთება ძალიან მიჭირდა, ახლა - იმდენად არა.

**- გურამ მოდებაძე ალღოიანი და ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელია. თქვენში იმთავითვე დაინახა მომავალი ჩემპიონი?**

- შესაძლოა, რადგან ბევრი რამ გამიკეთა და ძალიან დამეხმარა. აქ პირველად ნათესავთან ვცხოვრობდი. მან კარგად იცოდა, ეს რა პრობლემებსაც უკავშირდებოდა და დარბაზშივე გადამიყვანა საცხოვრებლად. ის არასოდეს მეუბნებოდა, შენში ასეთ სპორტსმენს ვხედავ და ისეთსო, მაგრამ ძალიან თბილად მექცეოდა. მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს. ეტყობა, ხედავდა ჩემში პერსპექტივას.

**- წლეულს ევროპის ჩემპიონატი დებიუტანტმა მოიგეთ. არ გაგიჭირდათ? საერთოდ, ის ტურნირი რომ გავიხსენოთ, როგორი განწყობით ნახვედით იქ?**

- ფინეთში წასვლამდე რამდენიმე ტურნირი ვიჭიდავე - ზოგი 66-ში, ზოგიც - 73-ში. ამ შეჯიბრებებზე თითქმის ყველა მომავალ მეტოქეს ძალიან იოლად მოვუგე, თითქმის ყველა ტურნირზე მედალი მოვიპოვე. ამის გათვალისწინებით, ფინეთში იმედიანად წავედი. მწვრთნელებისა არ ვიცი, მაგრამ მე კი ვფიქრობდი ჩემპიონობაზე, თუმცა უფრო რეალური მაინც სხვა სინჯის მედალი მეგონა - რაც უნდა იყოს, მაინც დებიუტანტი ვიყავი. ჩემი ინფორმაციით, მწვრთნელები ჩემზე მედალს კი გეგმავდნენ, მაგრამ მთლად ოქროს - არა. რომ გითხრათ, ძალიან ვნერვიულობდი-მეთქი, არა. სანერვიულო უფრო ახლანდელი ტურნირებია - ჩემპიონს ყველა განსაკუთრებით ეჭიდავება, ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, თორემ მაშინ, ახალბედას, განსაკუთრებულს არავინ არაფერს მთხოვდა.

**- ტურნირი თქვენთვის სასარგებლოდ წარიმართა, თუ იყო კრიტიკული მომენტებიც? როდის დარწმუნდით, რომ ჩემპიონობა რეალური იყო?**

- სხვათა შორის, ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდი - ორივე ბრინჯაოსმედალოსანს მოვუგე. ამის მიუხედავად, დილით, წილისყრა რომ ვნახე, ნაკრების მწვრთნელ შოთა ხაბარელს ვუთხარი, ფინალში გავალ-მეთქი. რატომღაც მჯეროდა, რომ ყველას მოვუგებდი. ასევე დარწმუნებული ვიყავი, რომ ცხრილის მეორე მხრიდან ფინალში ფრანგი ბენჟამენ დარბელე გავიდოდა, რადგან რეალური მეტოქე არც ჰყავდა. ვერ ვიტყვი, რომ ფინალამდე უბრძოლველად მივედი - მომავალ მესამე პრიზიორებთან, ესტონელ კინტერ როტბერგსა და ავსტრიელ ანდრეას მიტერფელნერთან, აგრეთვე, სომეხ ჰოვანეს დავთიანთან საკმაოდ დიდი ჯაფა დამადგა, მაგრამ მაინც მოვიგე და ფინალში გავედი. იქ უკვე ასეთი ვითარება შეიქმნა - ყველა მაგულიანებდა, რომ დარბელესთან მოგება შემეძლო და ვერცხლზე არ უნდა მეფიქრა. კარგად მახსოვს დავით ქევხიშვილის დარიგება, მეორე ადგილი არაფერს ნიშნავს, მთავარი ჩემპიონობააო, ეგრე მეც მოვიპოვე ვერცხლი ევროპაზე, მაგრამ არც არაფერიო. მეც ვეუბნებოდი, რომ მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებდი...

შეხვედრა ჩემთვის არც ისე კარგად დაიწყო, რადგან დარბელემ იუკო ამართვა. თან, მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ მსაჯები ქულებს მაკლებდნენ - იპონის ნაცვლად ვაზარი მომცეს, ვაზარი იუკოდ შემიფასეს... ვაზარზე რომ დავაგდე, უკვე ორივე ძლივს ვიდექით ფეხზე, ისე ვიყავით დაღლილები. მოსაგებად მართლაც ყველაფერი გავილეთ და ველარ ვსუნთქავდით. მაგრამ ვაზარს ვიგებდი და არ გავრისკე - ბოლო წამებზე გავექეცი. ამ დროს მწვრთნელებიც მიყვიროდნენ, დრო გაიყვანე, ხელი არ ჩაავლებინო, ტატამზე წაიქეციო, მე კი ავდექი და ტატამიდან გავექეცი (იცინის), არადა, ამ დროს ორი გაფრთხილება მქონდა და კიდევ კარგი, დრო დამთავრდა, თორემ მესამედაც გამაფრთხილებდნენ.

**- ნაკრებში ჯერ მხოლოდ ერთი სეზონი გაატარე, მაგრამ უკვე ორი დიდი გამარჯვება მოიპოვე - კონტინენტის ჩემპიონი პირადში გახდი, მსოფლიოსი - გუნდურში და იქაც ლომის წილი დაიდე. ამ ორთაგან რომელია თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?**

- ევროპის ჩემპიონატი კი იყო ჩემი პირადი წარმატება, მაგრამ სხვების წაგების გამო სიხარული იმდენად ვერ გამოვხატე. აი, მსოფლიო სულ სხვა იყო - იქ მთელი გუნდი ზეიმობდა, უფრო ემოციურიც ის იყო და უფრო მეტადაც დამამახსოვრდა. თან, გუნდურში გამარჯვება ქვეყნისთვისაც უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ.

**- გუნდური პირველობის ფინალში რუსებს მოუგეთ. ეს შეხვედრა პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა თუ არა?**

- არა, ჩვენ სპორსტმენები ვართ და პოლიტიკაზე არ ვფიქრობდით. სპორტი მეგობრობა და მეგობრული პაექრობაა. რუსებსაც ამ თვალსაზრისით ვუსწორდებოდით და არა პოლიტიკურით.

თუმცა, ძალიან დაძაბული და ემოციური შეხვედრა კი იყო. პირველი ორთაბრძოლა ნესტორ ხერგიანმა რომ წააგო, მდგომარეობა ძალიან გართულდა. ახლა იმ წუთებს, მაშინდელ განწყობას რომ ვიგონებ, აზრებიც კი მერევა, იმდენად განვიცდი. საჭიდაოდ რომ გავედი, მხოლოდ ერთადერთზე ვფიქრობდი - წაგების უფლება არ მქონდა და აუცილებლად უნდა მომეგო. საბედნიეროდ, მეც მოვიგე, დანარჩენებმაც და როცა ირაკლი ცირეკიძემაც გაიმარჯვა, ჩემპიონობაც ვადამდე გავინაღდეთ. აი, ეს კი მართლაც ენით აუწერელი სიხარული იყო, ნამდვილი ბედნიერების წუთები. ამის შემდეგ უკვე ჩვენთვისაც პოლიტიკური ამბავი გახდა.

**- არ შეიძლება, ამ ტურნირზე თქვენი თავდადებაც არ ვახსენოთ, როცა პირველივე შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღეთ, მაგრამ ჭიდაობა მაინც გააგრძელეთ და სამი წმინდა მოგებაც მიითვალეთ.**

- მდგომარეობა მართლაც მძიმე იყო. გულის რევას, თავის ტკივილსა და სლოკინს ვერაფერი ვუწამლეთ. გული ყოველ რამდენიმე წუთში მერეოდა. ასეთ პირობებში ჭიდაობა რისკიც იყო, მაგრამ შემცვლელი არ მყავდა და უარის თქმის უფლება არ მქონდა - ამით გუნდს დავაღალატებდი. ამიტომაც გავრისკე. მადლობა ღმერთს, გამიმართლა და ჩემპიონები გავხდით.

**- ცოტა არ იყოს, შიგა და შიგ გსაყვედურობენ, ვარჯიშებზე მთლად ბოლომდე არ იხარჯებაო...**

- ვარჯიში არ მიყვარდეს, არაა მართალი, მაგრამ არ არსებობს სპორტსმენი, რომელიც ცოტას არ ეშმაკობს. მთავარია, ეს ეშმაკობა ზომაზე მეტი არ მოგივიდეს და არ გაზარმაცდე, თორემ ცოტა დასაშვებია. ისიც გააჩნია, როდის. მაგალითად, შეჯიბრების წინ ეს დაუშვებელია, მაშინ ბოლომდე უნდა დაიხარჯო. ამაშიც იმას ვგულისხმობ, რომ შეიძლება, შეკრებაზე ცოტა გვიან დავიძინოთ და არა ზუსტად მაშინ, როცა მწვრთნელი ითხოვს, თორემ ხალიჩაზე მუშაობას არაფერი უნდა დააკლო.

**- თქვენს სპორტსმენობას ყველაზე მეტად ვის უმადლით?**

- ქომაგთაგან სამ ადამიანს გამოვარჩევ - პირველ მწვრთნელ გივი ლაზვიაშვილს; ახლანდელ დამრიგებელ გურამ მოდებაძესა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატს, ლაერტ ზუბადალაშვილს. ლაზვიაშვილმა ძიუდოს ანბანი მასწავლა და მერე თბილისშიც მისი მონდომებით გადმოვედი. დედისერთა ვარ და მშობლებს ეძნელებოდათ ჩემი გამოშვება. თან, ისიც ადარდებდათ, თბილისში მარტო როგორ ვიცხოვრებდი, მაგრამ ლაზვიაშვილმა დაარწმუნა ისინი, რომ ჩემი სპორტული კარიერისთვის ასე აჯობებდა. ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი მოდებაძეს მიუძღვის, ზუბადალაშვილი კი ფინანსურად მეხმარება. ვსარგებლობ შემთხვევით და სამივეს დიდ მადლობას ვუხდი.

**- მშობლები ახლაც ხომ არ არიან თქვენი სპორტსმენობის წინააღმდეგნი?**

- არა. წინააღმდეგნი არც მაშინ იყვნენ. უბრალოდ, სახლიდან გასაშვებად და მოსაშორებლად ვერ მიმეტებდნენ, თორემ სპორტის წინააღმდეგნი არ იყვნენ. მათ გარეშე მეც მიჭირს თბილისში ცხოვრება. ჩემი მთავარი პრობლემაც ისაა, რომ ოჯახი ერთად არ ვართ.

**- სპორტში, ცხოვრებაში კერპი თუ გყავთ?**

- კერპი არა. მსგავსი რამეები ჩემთვის მიუღებელია. ბუნებრივია, მოჭიდავეებშიცა და ისეც - საზოგადოებაში უამრავია მისაბაძი ადამიანი, მათგან მართლაც ბევრს ვსწავლობ, მაგრამ კერპებისა არ მწამს.

**- ჰობი გაქვთ?**

- მანქანები - ესაა ჩემი ჰობი. მანქანები მიყვარს გამორჩეულად. ამჟამად „მერსედესი" მყავს, თუმცა სწრაფი სიარული ვიცი, რასაც ყველა მიშლის. ევროპის ჩემპიონატის მერე ავარიაშიც მოვყევი და მეც მივხვდი, რომ გადაჭარბებული სიჩქარე მართლაც არაა კარგი.

**- ამ წარმატებულმა სეზონმა რა შეცვალა თქვენში?**

- პიროვნული თვალსაზრისით - არაფერი, ისე კი ბევრი რამე შეცვალა. ლამის 100 პროცენტით. მიხარია, რომ შრომა დამიფასდა და წარმატებები მოვიპოვე. ამან საზოგადოების პატივისცემა მომიტანა. იქნებ აქამდეც ვგრძნობდი ამას, მაგრამ ახლანდელი დამოკიდებულება სულ სხვაა. ახლა უცხო ადამიანებიც მცნობენ და გამოხატავენ სიყვარულს.

**- პირად ცხოვრებაშიც ხომ არაფერი შეცვალა? დაოჯახებას ხომ არ აპირებთ?**

- ოლიმპიადამდე - არა. რჩეულიც მყავს და ერთი პირობა დაოჯახებაზეც კი ვიფიქრე, მაგრამ მერე მაინც ოლიმპიადამდე მოცდა ვარჩიე, რადგან ჩემი მთავარი საზრუნავი ისაა.

**- თუმცა, ასეთი წარმატებების მერე არსებობს თვითკმაყოფილების დამღუპველი საფრთხეც...**

- ეგ მართლაც დამღუპველია, მაგრამ მე არ მემუქრება. კაცმა რომ თქვას, ჯერ ისეთიც არაფერი გამიკეთებია, კმაყოფილი ვიყო და მომავალზე არ ვიფიქრო. წინ მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადაა. აი, იქ თუ მოვიპოვებ წარმატებებს, მერე მართლა შემეძლება, დავკმაყოფილდე!

**ირაკლი თავაძე**



ზაზა კედელაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ლატვია-საქართველო 38:20

# მინუს თვრამეტი

*პირველი გვერდიდან*

ჩვენი გუშინდელი მეტოქე ის გუნდია, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა 1999 წელს, ანალოგიურ საკვალიფიკაციო ციკლში ორივე მატჩი მოუგო და სწორედ ამის ხარჯზე მიაღწია არსებობის ისტორიაში უდიდეს წარმატებას - ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეიოფში გასვლას. მაშინ, ჩვენი გუნდი, საკვალიფიკაციო ციკლის ჯგუფურ ეტაპზე ქვეჯგუფში მოხვდა პორტუგალიასთან, სლოვაკეთსა და ლატვიასთან. ბოლო ორი შეხვედრა სწორედ ბალტიისპირელებთან გვქონდა - თბილისში 27:23 მოვუგეთ, რიგაში კი პირველი ტაიმის წაგების მიუხედავად, 19:18 დავამარცხეთ და ფლეი ოფში გავედით, სადაც დანიასთან წავაგეთ (25:32, 23:31).

თუმცა მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. 8 წლის განმავლობაში, ლატვიის ნაკრებშიც ბევრი რამ შეიცვალა და საქართველოსაშიც. ბალტიისპირელებმა საკუთარ პრობლემებს მიხედონ, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი სატკივარი კი სამი წამყვანი ხელბურთელის (**ტიტე კალანდაძე, სერგო დათუკიშვილი, გარი თურქია**) არყოფნა იყო. ამაზე უფრო სავალალო გახლდათ ის, რომ ჩვენი გუნდის წევრთა უმეტესობას ერთად კარგა ხანია არ უთამაშია და ახლაც ისე ჩაერთო საკვალიფიკაციო ციკლში, რომ ერთი საკონტროლო მატჩის გამართვაც ვერ მოახერხა. შესაბამისად, შეუთამაშებელმა და ულიდერო გუნდმა გაცილებით კარგ პირობებში მომზადებულ ლატვიელებთან ვერაფერი გააწყო და უშანსოდ დამარცხდა.

რა თქმა უნდა, წაგებას და მით უმეტეს ასეთი ანგარიშით, ძნელია, რომ გამართლება მოუძებნო და ამას არც ვაპირებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლატვია არც ისეთი ხელწამოსაკრავი გუნდია, როგორც ბევრს ჰგონია. ნორმალურ ევროპულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები მათაც ჰყავთ, არც შეთამაშება აკლიათ და დანარჩენი კი გუშინ გამოჩნდა. ლატვიელები თბილისში შეიძლება დავამარცხოთ კიდეც, ჟინისა და გულშემატკივრების ხარჯზე, მაგრამ წარმოუდგენელია, ეს იმხელა სხვაობით შევძლოთ, რამდენითაც რიგაში დავმარცხდით. მეორე ადგილისთვის ბრძოლაში კი ლატვიასთან ბურთების სხვაობა ალბათ გადამწყვეტი იქნება.

ახლა უშუალოდ, გუშინდელ მატჩზე გადავიდეთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ერთ-ერთმა ლატვიურმა ვებგვერდმა აღნიშნული შეხვედრის რეპორტაჟი მოაწყო და საშუალება მოგვეცა, მატჩის მსვლელობისთვის გვედევნებინა თვალი.

თამაში თავიდან ბოლომდე მასპინძელთა კარნახით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი-გამარჯვებით დასრულდა. ლატვიელებმა მეოთხე წუთზე დაუდეს სათავე ქართველთა რბევას, როდესაც ჩვენმა ხელბურთელებმა შეტევაში დაკარგეს ბურთი და **ვალკოვსკისმა** ანგარიში გახსნა. ერთ წუთში, მასპინძლებმა პენალტი მოინადირეს, მაგრამ **ლილიენფელდის** დარტყმული **შოთა თევზაძემ** მოიგერია. ჩვენი მეკარე ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შოთამ მთელი მატჩი კარგად ჩაატარა და რომ არა მისი თავგანწირული თამაში, 18 ბურთზე გაცილებით დიდი ანგარიშითაც წავაგებდით...

მოკლედ, ლატვიელებმა ანგარიშის გახსნის შემდეგ, ნელ-ნელა დაიწყეს სხვაობის ზრდა და მთელი შეხვედრის განმავლობაში, დაწევის შანსი არ მისცეს სტუმრებს. საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ საწყის წუთებზე გაიბრძოლა, როდესაც **ვლადიმერ რუსიამ** ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა და ანგარიში გახადა 3:6. თუმცა, მერე ისევ ბალტიელთა სპურტის ჯერი დადგა - მასპინძლები შესვენებაზე საკმაოდ საიმედო სხვაობით გავიდნენ - 18:8.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს ვერც შესვენებამ და მწვრთნელთა შეგონებამ უშველა. მეორე ტაიმშიც მოედანზე მასპინძლები დომინირებდნენ, ხოლო სტუმრები იმასღა ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლები სხვაობით წაგოთ. ქართველთ რიგებში რომ დეზორგანიზაცია სუფევდა, ამაზე მხოლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ერთ მომენტში, კაცნაკლულმა ლატვიელებმა ზედიზედ ორი ბურთი გაგვიტანეს. საქართველოს ნაკრების რბევას ოფიციალური წერტილი დაუსვა **სტრაუმემ**, რომლის გოლმაც შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 38:20. საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა **ვლადიმერ რუსიამ** (2 პენალტით), 5 - **რევაზ ჭანტურიამ.**

ახლა საქართველოს ნაკრებს ისლა დარჩენია, ლატვიური კოშმარი რაც შეიძლება, მალე ამოიგდოს თავიდან და მომდევნო შეხვედრებზე იფიქროს. შანსი, რა თქმა უნდა, ჯერ არ დაგვიკარგავს თუკი ფლეი ოფში გასვლა გვინდა, ლატვიას თბილისში აუცილებლად უნდა მოვუგოთ მაქსიმალურად დიდი სხვაობით, მერე რუმინეთს უნდა ვებრძოლოთ და ბოლოს ბულგარეთთან მოგვიწევს ორივე შეხვედრის მოგება. მოკლედ, ტურნირი თითქმის უიმედო წაგებით დაიწყო, თუმცა ჯერ თეორიული შანსები კიდევ დაგვრჩა.

**7 იანვარს, 18 საათზე, ლატვიას თბილისში, სპორტის სასახლეში დავუხვდებით. დასასრულ, იმასაც დავძენთ, რომ ჩვენი ინფორმაციით, გარი თურქია ვერ მოხვდა საბერძნეთის ნაკრების 14-კაციან შემადგენლობაში და არის შანსი, რომ ლატვიასთან მეორე მატჩში დაგვეხმაროს. ამას გარდა, სავარაუდოდ, ბოლო ორ მატჩში ბულგარეთთან, შესაძლოა, ტრავმირებულმა სერგო დათუკიშვილმაც შეძლოს თამაში.**



გუშინ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო. ვნახოთ, რა იქნება კვირას

## ჭადრაკი

# გვეტაძე პირველად შევიდა

1 იანვარს FIDE-მ მსოფლიოს მოწინავე მოჭადრაკეთა ახალი რეიტინგ-ლისტი შემოგვთავაზა. სიას სათავეში ბულგარელი მსოფლიო ჩემპიონი **ვესელინ ტოპალოვი** უდგას 2783 ქულით. 23 წლის **ბაადურ ჯობავა** 2650 ქულით რეიტინგში 56-ე პოზიციაზეა (ოქტომბრის შემდეგ ჯობავას არ უთამაშია, ამიტომ კოეფიციენტი უცვლელი დარჩა, წინა კლასიფიკაციასთან შედარებით კი ერთი ადგილი დაკარგა). 22 წლის **ზვიად იზორიას** მასზე მხოლოდ 6 ქულით ნაკლები აქვს და მსოფლიოში 64-ეა (-13 ქულა). 46 წლის **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 2632 ქულით 83-ე ადგილზეა (-6 ქულა). სხვა ქართველები: 117. **თამაზ გელაშვილი** - 2612, 117. **ლევან ფანცულაია** - 2612, 120. **მერაბ გაგუნაშვილი** - 2611, 123. **გია გიორგაძე** - 2610, 181. **გიგა ყაჭეიშვილი** - 2587, 199. **მიხეილ მჭედლიშვილი** - 2583.

ქალთა რეიტინგ-ლისტს უნგრელი **იუდით პოლგარი** ლიდერობს 2727 ქულით. ასეთი რეიტინგი არც ერთ ქართველ მამაკაც დიდოსტატსაც კი არ აქვს. ტოპ 50-ეულში ექვსი ჩვენებურია: ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ **მაია ჩიბურდანიძეს** 2510 ქულა (+6) აქვს. ოქტომბრის რეიტინგის შემდეგ მაიამ ერთი ადგილი დაკარგა და მეშვიდე პოზიციაზეა. 19 წლის **ნანა ძაგნიძე** 21-ე ადგილზეა, რაც ოქტომბრის მონაცემებს 15 საფეხურით და 31 ქულით სჯობს - ნანას 2463 ქულა აქვს. **ნინო ხურციძე** 2451 ქულით 29-ე ადგილზეა (+32 ქულა), **ქეთევან არახამია-გრანტი** 2437 ქულით (-9) - 35-ეზე, **ლელა ჯავახიშვილს** 2421 ქულა (+4) მოუგროვდა, რაც 44-ე ადგილის ტოლფასია. ორმოცდაათეულში პირველად შევიდა **სოფიო გვეტაძე** - 2416 ქულა, 46-ე ადგილი. შემდეგ მოდიან: **სალომე მელია** - 2400, **მაია ლომინეიშვილი** - 2399 და **ანა მათნაძე** - 2381.



სოფიო გვეტაძე

საუკეთესო ოცწლამდელთა ოცეულში ერთი ქართველი ვაჟიც არაა, გოგონებში კი ორია - ნანა ძაგნიძე - მეოთხე პოზიციაზე, ხოლო სალომე მელია - მეცხრეზე.

### 37: კალაშნიკოვა და კუხალაშვილი

**ჩოგბურთი.** გამოქვეყნდა ჩოგბურთელთა ახალგაზრდული რეიტინგ-ლისტი. 18 წლამდელთა ელიტაში ორი წარმომადგენელი გვყავს და ორივე ერთ პოზიციაზე - 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** და 15 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 37-ე ადგილზე არიან კლასიფიკაციაში. ორივესთვის ეს მაჩვენებელი საუკეთესოა კარიერაში. ოქსანამ ბოლოს "ორანჯ ბოულზე" ითამაშა, ხოლო ლაზარე ზაფხულის მერე არ გამოჩენილა, მისი არნახული წინსვლა (+33) რეიტინგში კი კლასიფიკაციაში იმ ჩოგბურთელთა გამოკლებითაა განპირობებული, რომელთაც ასაკის გამო ახალგაზრდულ ასპარეზზე თამაშის უფლება აღარ აქვთ.

### მხეცთან დამარცხდა

**უწესო ბრძოლა.** **ლუკა კურტანიძემ** საახალწლოდ ბედი იაპონიის ქალაქ საიტამაში, უწესო ბრძოლის წლის დამაგვირგვინებელ შოუში სცადა, თუმცა ქართველ მოჭიდავეს ხელი მოეცარა. დებიუტანტმა კურტანიძემ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია 36 წლის იაპონელ გლადიატორ **კაძუიუკი ფუჯიტას**, რომელსაც ორი მეტსახელით იცნობენ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები: "მხეცი" და "რკინის თავი". ფუჯიტასთან ბრძოლისას ჩვენმა მძიმეწონოსანმა ფეხებში შევარდნით სცადა ფონს გასვლა, მაგრამ საშინელი ძალის დარტყმა მიიღო და წაიქცა, იაპონელმა ქართველს წაქცეულსაც უმოწყალოდ ურტყა და მხოლოდ რეფერის ჩარევის შემდეგ შეეშვა. ეს "მხეცის" მეშვიდე გამარჯვება იყო უწესო ბრძოლის რინგზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლუკა კურტანიძე ბრძოლის შემდეგ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამირან ზუხბაია

## იუბილე

# ათეული წლები სპორტის სამსახურში

**ამირან ზუხბაიას** გუშინ 60 წელი შეუსრულდა. ამ დროის ყველაზე დიდი ნაწილი მან ქართული სპორტის სამსახურში გაატარა. უფრო ზუსტად კი, იგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე.

ამირან ზუხბაიამ ფიზკულტურის ინსტიტუტი თბილისში დაამთავრა და ერთი ხანობა დედაქალაქში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. მერე, აფხაზეთში ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, სოხუმში, თავის მშობლიურ ქალაქში გადაიყვანეს და ერთობ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს. აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი კი ომის დაწყებისთანავე ჩააბარეს და მას შემდეგ ბოლო დრომდე ერთგულად ემსახურებოდა თავისი კუთხის სპორტის წარმომადგენლებს.

ცხადია, დევნილობაში მუშაობა ასმაგად რთული, უფრო საპასუხისმგებლო იყო. ლტოლვილ სპორტსმენებს: მოჭიდავეებს, მშვილდოსნებს, მოკრივეებს, ტყვიის მსროლელებს, ფეხბურთელებს და სხვა მრავალთ ამირან ზუხბაია და მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულება შეძლებისდაგვარად გვერდით ედგა და ყურადღებას არ აკლებდა. მერე, ოდნავ მოგვიანებით, სპორტის დეპარტამენტი სამმართველოდ გადაკეთდა და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ოდენობამაც იკლო.

თუმცა ზუხბაია და მისი თანამოაზრეები არც ამას შეუშინებია. ისინი კვლავინდებურად შემართებით განაგრძობენ მოღვაწეობას და იმ დროს მოუთმენლად ელიან, როცა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებულნი შეუდგებიან ქართული სპორტისთვის სამსახურს.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს, 60 წელს ულოცავს აფხაზეთის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, სეოკ-ის წევრს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს ამირან ზუხბაიას.**

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 60 წელს ულოცავს ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მსახურს აფხაზეთის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს ამირან ზუხბაიას.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მთავარი რედაქტორის სვეტი**

## მწყობრად პეკინისკენ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ სეოკ-ის სესიისადმი წარდგენილ 2006 წლის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: "კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ წლეულსაც, ისევე როგორც ადრე, სეოკ-ისა და სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოებს, ეროვნულ ფედერაციებს შორის ურთიერთობა იყო კონსტრუქციული და საქმიანი. რა თქმა უნდა, თანამშრომლობის ძირითადი მიზანია პეკინის ოლიმპიური თამაშებისათვის წარმატებით მზადება, და მიგვაჩნია, რომ ერთობლივად, ერთიანი ძალისხმევით, ღირსეულად გავართმევთ თავს ამ რთულ ამოცანას".

ერთი მიზნისთვის სამმხრივ თანამშრომლობას საფუძველი დიდი ხანი არ არის, რაც ჩაეყარა, მაგრამ მისი სასიკეთო შედეგი ქართულ სპორტს აშკარად დაეტყო. ერთიანობის ინიციატივა სეოკ-იდან წამოვიდა. ყველამ ჩინებულად იცის, რომ ზემოხსენებული სამი სტრუქტურა, სამი ძალა ამოძრავებს ქართულ სპორტს. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ძალისხმევის ერთიანობა ყველა საქმეს ესაჭიროება, მით უფრო სპორტს - ერის სავიზიტო ბარათს მთელ მსოფლიოში. თანამშრომლობა სამ მთავარ სპორტულ სტრუქტურას შორის ფორმდება ხელშეკრულებით, ესაა თავისებური პროგრამა, სადაც აქცენტი გადატანილია ქართული სპორტის საკეთილდღეოდ სამმხრივ ძალისხმევაზე.

2007 წელი პეკინის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების წინასასტარტო წელიწადია. ტარდება უმთავრესი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები, სადაც ცხარე ბრძოლებში განაწილდება 2008 წლის ოლიმპიადის საგზურები. კარგად გვაქვს დაბედებული ნინო სალუქვაძის პირველობა - ამჟამადაც, ეს ბრწყინვალე ქალბატონი და ჩუბინი უდგას სათავეში საქართველოს ოლიმპიელთა შესავსებ სიას.

ძალა მართლაც რომ ერთობაშია! ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართულ სპორტში წარსულს ჩაბარდა უწყებრივი ამბიციები და ბარიერები, თავგამოჩენის განკერძოებული, დასაგმობი პრაქტიკა, რასაც საქმე ხშირად მიჰყავდა აბსურდამდე. "ლელო" მზადაა, მხარში დაუდგეს სამივე გაერთიანებულ ძალას და თავისი შესაძლებლობები ალალად მოახმაროს საერთო საქმის წინსვლას. დაგვეთანხმებით, საქართველოს უძველეს სპორტულ გაზეთს ამის მდიდარი გამოცდილება გააჩნია. გასაყოფი რა არის, ყველა ერთად ჩავდგეთ ქართული სპორტის აღმავლობისა და უმაღლესი სპორტული მიღწევებისათვის გარჯის სამსახურში...

**იუბილე**

## ვაჟა კაჭარავა 70

**ბატონო ვაჟა,**

სულითა და გულით მოგესალმებით თქვენი დაბადებიდან საიუბილეო 70 წლისთავთან დაკავშირებით. თქვენ ბრძანდებით საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფრენბურთელი და ქვეყნის ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში. პირადი სპორტული მიღწევებით თქვენ განუხრელად აამაღლეთ ფრენბურთის ავტორიტეტი საქართველოში. ამასთან, აღზარდეთ სპორტსმენთა თაობები, გაუკვალეთ მათ გზა დიდი სარბიელისკენ.

აუწყავია თქვენი დამსახურება საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში.



თქვენ ერთ-ერთი ბრძანდებოდით იმ გაბედული ჯგუფის წევრებს შორის, რომლებმაც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, 1989 წელს საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს დამოუკიდებელ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. გვახარებს, რომ როგორც სეოკ-ის წევრი, დღესაც ჩვენ გვერდით ილვწით და პირადი მაგალითით ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ საქართველოში ოლიმპიური იდეალების პროპაგანდაში.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ!

ღრმა პატივისცემით,

**ბადრი პატარკაციშვილი,**
**სეოკ-ის პრეზიდენტი**

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო, 70 წელს ულოცავს ოლიმპიური თამაშების (1964) ჩემპიონს ფრენბურთში, სეოკ-ის წევრს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკ-ის ორდენების კავალერს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **ვაჟა კაჭარავას.**

**სპორტისა** და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წელს ულოცავს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს (1964), ევროპის ჩემპიონს (1967) და მესამე პრიზიორს (1963), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს (1966), მსოფლიოს თასის მფლობელს (1965), მსოფლიოს უნივერსიადის ორგზის (1963, 1965) ჩემპიონს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ორგზის (1967, 1971) მეორე და მესამე (1963) პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და სეოკ-ის ორდენების კავალერს **ვაჟა კაჭარავას.**

**თარიღი**



**3 იანვარი, 1963** - დაიბადა **დავით გობეჯიშვილი,** თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი (1988) და მესამე პრიზიორი (1992), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1985, 90), მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი (1986-88), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88), ორგზის მეორე პრიზიორი (1987, 89) და მესამე (1990) პრიზიორი, დსთ-ის ჩემპიონი (1992), საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1985, 1990), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" აღმასრულებელ დირექტორი, სეოკ-ის წევრი, ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

**კალათბურთი**

ქართველები NBA-ში

## დეკემბრის ანტიატლანტა

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" მიმდინარე რეგულარული ოთხი მოგებითა და ერთადერთი წაგებით გახსნა. სხვებისგან განსხვავებით, ჯორჯიელები იდეალურად იყენებდნენ თავიანთ რესურსებს, საქართველოს ნაკრების ლიდერი კი არაჩვეულებრივად თამაშობდა შეტევაში და დაცვაშიც არაუშავდა.

დღეს რა სურათი გვაქვს? რა და, შარშანდელივით უიმედო გუნდი, რომელიც სამში ან ოთხში ერთ შეხვედრას თუ იგებს, სუსტ აღმოსავლეთში ნელ-ნელა ფსკერზე მოკალათებულ გუნდებს უახლოვდება და ყველაფერთან ერთად, "ატლანტას" ბოლო ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ უთამაშია ოპტიმალური შემადგენლობით. როდესაც დამტვრეული იყო **ჯო ჯონსონი,** გუნდს ზაზა, **ჯოშ სმიტი** და **ტაირონ ლიუ** ქაჩავდნენ, ხოლო ახლა კი მწყობრშია ჯო, მაგრამ ჯოში და ტაირონი დაშავებულთა სიაში იმყოფებიან.

"ატლანტის" ურთულეს დეკემბერზე ამ თვის დაწყებამდე არაერთხელ გვისაუბრია, ახლა კი თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ "ჰოქსმა" ეს თვე პირწმინდად ჩააგდო. მთელი თვის განმავლობაში გუნდმა მაღალ დონეზე მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა. 3 დეკემბერს ზაზამ და კომპანიამ პორტლენდში 107:96 იმარჯვა, სამი დღის მერე კი კოლორადოში "დენვერ ნაგეტსი" 98:96 დაამარცხა. "ატლანტამ" ამ თვეში ერთი მატჩიც მოიგო, როდესაც 15-ში "მემფისი" ასევე მისსავე მოედანზე 97:88 დასცა, მაგრამ იმ მატჩში დასავლელს რამდენიმე ლიდერი აკლდა, **პაუ გასოლის** თამაში კი წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა.

რამდენი მატჩი ჩაატარა "ატლანტამ" შინ დეკემბერში? ექვსი და ექვსივე წააგო. ბოლო სამი გასვლითი შეხვედრა კი გუნდმა ისე სამარცხვინოდ გამართა, თვის ყველაზე სამარცხვინო გუნდის პრიზი რომ არსებობდეს, ამ ჯილდოს ულაპარაკოდ **მაიკ ვუდსონის** ბიჭები მიიღებდნენ. "ჰოქსმა" ეს სამი შეხვედრა საშუალოდ 21.6 ქულის სხვაობით წააგო.

"სან ანტონიოს" "ატლანტამ" შარშან კი მოუგო, მაგრამ თუ ზაზას გუნდისთვის ეს წლის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდისთვის სეზონის სტარტზე ერთი-ორი დაუგეგმავი მარცხი ტრაგედიას ნამდვილად არ წარმოადგენდა.

"ატლანტამ" ეს შეხვედრაც შესანიშნავად დაიწყო და პირველი მეოთხედის მერე ტეხასურ გრანდს მისსავე მოედანზე სამ ქულას უგებდა. სამწუხაროდ, ზაზა ფაჩულიას ბევრი არაფერი გაუკეთებია და ქართველი ცენტრის სამეოთხედო მონაგარი მხოლოდ ორი ქულა იყო. საერთოდაც, ზაზამ ოთხივე ქულა დიდ შესვენებამდე მოიმკო, მეორე ნახევარში კი "სან ანტონიოს" ათი ფაჩულიაც ვერ დაამუხრუჭებდა. "სპურსმა" "ატლანტას" უმაღლესი დონის კალათბურთის უფასო გაკვეთილი ჩაუტარა და ეს მაშინ, როდესაც მასპინძელთა კაპიტან **ტიმ დანკანს** შეხვედრის მსვლელობისას ორჯერ გული აერია.

სხვათა შორის, "ატლანტას", კონკრეტულად კი ფაჩულიას საკმაოდ კარგი მეფარე დაემატა. **სტანისლავ მედვედენკო** თავის დროზე "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" მთლად ბოლო კაცი არ იყო და იმ სეზონში, როდესაც კალიფორნიელები ფინალში "დეტროიტთან" დამარცხდნენ, სტასი, თვით **კარლ მელოუნის** პირველი შემცვლელი იყო. მედვედენკო "ჰოქსის" წინა ხაზს დაცვის მხრივ აშკარად გააძლიერებს, თუმცა თანაგუნდელები შეტევაში მას ალბათ იშვიათად გამოიყენებენ.

ეს, მოკლედ "სან ანტონიოსთან" შეხვედრაზე, მანამდე კი ფაჩულია და მისი გუნდი **იაო მინის** გარეშე მყოფ "ჰიუსტონთან" შერცხვნენ.

"სან ანტონიოსთან" შედარებით არასტაბილურმა "როკეტსმა" ჩინელი გიგანტის ნაცვლად სასტარტოში ზაირელი **დიკემბე მუტომბო** დააყენა, რომელიც 40 წლის კი არის, მაგრამ კინშასელი გოლიათი თავის საქმეს ახლაც მშვენივრად აკეთებს. "ატლანტასთან" ზეკემ, ანუ იმავე მუტომბომ, 21 წუთში 14 მოხსნა დააგროვა, ზაზამ კი 28 წუთში 11 სროლიდან მხოლოდ ორი გამოიყენა. "ატლანტისთვის" საუბედუროდ, მსროლელთა საინტერესო ჯახში **ტრეისი მაკგრეიდიმ** უშანსოდ დატოვა **ჯო ჯონსონი.** ამ უკანასკნელმა ტრავმის მერე კიდევ ერთი უსახური შეხვედრა ჩაატარა და 33 წუთში უფრო მეტი შეცდომა (3) დააგროვა, ვიდრე - შედეგიანი გადაცემა (2). რაც შეეხება მაკგრეიდის, მან 18 "ცოცხალი" სროლიდან 13 გამოიყენა და თავისიანთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა.

**ზურაბ თალაკვაძე**



ზაზა ფაჩულია ტიმ დანკანის წინააღმდეგ

### 29 დეკემბერი

**ჰიუსტონი-ატლანტა 94:68**

20:14, 26:18, 29:14, 19:22

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (27 წთ. 31 ქ. 1 მ. 1 პ. 1 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (35 წთ. 17 ქ. 13 მ. 5 პ), ალსტონი (32 წთ. 12 ქ. 4 პ. 2 ჩ. 1 მ), ბეტიე (39 წთ. 5 ქ. 1 მ. 1 ჩ), მუტომბო (21 წთ. 4 ქ. 14 მ. 2 დ. 1 პ) - ჰედი (28 წთ. 11 ქ. 3 პ. 1 მ. 1 ჩ), ჰეიესი (26 წთ. 8 ქ. 9 მ. 1 ჩ), ლუკასი (15 წთ. 6 ქ. 5 მ. 3 პ. 1 ჩ), ნოვაკი (4 წთ. უქულოდ, 1 მ), სპანულისი (3 წთ. უქულოდ, 1 პ), პაჯეტი.

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (33 წთ. 11 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (30 წთ. 11 ქ. 11 მ), **ზაზა ფაჩულია (28 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა),** კლექსტონი (23 წთ. 5 ქ. 5 პ. 3 მ), მერვინ უილიამსი (32 წთ. 4 ქ. 4 მ. 2 პ. 1 ჩ) - ჩილდრესი (32 წთ. 15 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (23 წთ. 8 ქ. 2 მ. 1 პ), აივი (6 წთ. 4 ქ. 2 მ. 2 ჩ), ბატისტა (16 წთ. 2 ქ. 8 მ. 1 პ), მედვედენკო (4 წთ. 2 ქ), ს. ჯოუნსი.

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 12:00 | სადავო გდება: ფაჩულია და მუტომბო |
| 10:46 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:31 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (4:2) |
| 09:11 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 08:49 | ჩაჭრა: 1 (მაკგრეიდის ჩაუჭრა) |
| 08:44 | პასი: 1 (კლექსტონი, 2 ქ. 6:2) |
| 06:07 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 05:25 | ფაჩულიაზე ბეტიე დაჯარიმდა |
| 05:25 | საჯარიმოები: 2/1 (2\3 ქ. 9:6) |
| 05:18 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:16 | ორქულიანი: მუტომბომ დაუფარა |
| 02:36 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:47 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |
| 00:38 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| 11:13 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 09:38 | შეცდომა: 1 (ჰედმა ჩაუჭრა) |
| 04:42 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:09 | ფაჩულია შელდენ უილიამსმა შეცვალა |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულიამ ჩილდრესი შეცვალა |
| 10:43 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:11 | ორქულიანი: მუტომბომ დაუფარა |
| 08:02 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:37 | ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (36:56) |
| 06:10 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |
| 03:52 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 00:59 | ფაჩულიაზე მუტომბო დაჯარიმდა |
| 00:59 | საჯარიმოები: 2/1 (6 ქ. 46:71) |

| IV მეოთხედი | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულია ს. სტაუდმაიერმა შეცვალა |

### 31 დეკემბერი

**სან ანტონიო-ატლანტა 95:81**

20:23, 22:16, 25:22, 28:20

**სან ანტონიო:** ტონი პარკერი (34 წთ. 27 ქ. 5 პ. 2 მ. 1 ჩ), ჯინობილი (24 წთ. 18 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), დანკანი (30 წთ. 17 ქ. 11 მ. 2 დ), ბ. ბოუენი (24 წთ. 1 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ), ორი (23 წთ. უქულოდ, 6 მ. 3 პ. 2 ჩ) - ბ. ბერი (28 წთ. 12 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბონერი (24 წთ. 8 ქ. 11 მ. 3 პ. 1 ჩ. 1 დ), ობერტო (17 წთ. 4 ქ. 3 მ. 1 დ), ფინლი (17 წთ. 4 ქ. 3 პ. 2 მ), ვონი (7 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ), უდრიხი (7 ზთ. 2 ქ. 1 პ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (45 წთ. 23 ქ. 4 პ. 3 მ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (36 წთ. 13 ქ. 7 მ. 2 ჩ. 1 პ), შელდენ უილიამსი (33 წთ. 9 ქ. 10 მ. 2 პ), კლექსტონი (30 წთ. 6 ქ. 8 პ. 3 მ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (23 წუთი, 4 ქულა, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი)** - ჩილდრესი (39 წთ. 19 ქ. 10 მ. 3 დ. 1 პ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (15 წთ. 7 ქ), აივი (10 წთ. უქულოდ, 2 პ. 2 ჩ), ბატისტა (1 წთ. უქულოდ, 2 მ. 1 პ), ს. ჯოუნსი.

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 12:00 | სადავო გდება: ფაჩულია და დანკანი |
| 09:46 | ფაჩულიაზე ჯინობილი დაჯარიმდა |
| 09:46 | საჯარიმოები: 2/2 (2 ქ. 4:4) |
| 08:05 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:51 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 05:55 | ფოლი: 1 (შეტევაში) |
| 05:55 | შეცდომა: 1 (ფოლი შეტევაში) |
| 04:39 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| 08:24 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 05:14 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (35:35) |
| 04:36 | ფოლი: 2 (შეტევაში) |
| 04:36 | შეცდომა: 2 (ფოლი შეტევაში) |
| 04:08 | ფაჩულიამ ტექნიკური საჯარიმო ვერ გამოიყენა |
| 01:33 | ფოლი: 3 (დანკანზე დაჯარიმდა) |
| 01:33 | ფაჩულია ბატისტამ შეცვალა |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულიამ ბატისტა შეცვალა |
| 11:35 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:46 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 08:49 | ჩაჭრა: 1 (ჯინობილის ჩაუჭრა) |
| 08:38 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 08:32 | ფაჩულია ჩილდრესმა შეცვალა |
| 02:29 | ფაჩულიამ შელდენ უილიამსი შეცვალა |

| IV მეოთხედი | |
|---|---|
| 09:37 | ფოლი: 4 (ბ. ბერიზე დაჯარიმდა) |
| 09:37 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| 03:52 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 03:02 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 02:57 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 27 მატჩი (27 სასტარტოში), 30.4 წუთი, 13.0 ქულა, 7.3 მოხსნა, 1.6 პასი, 1.2 ჩაჭრა, 0.6 დაფარება, 2.6 შეცდომა, 3.5 ფოლი.

**ატლანტა ჰოქსი:** 29 მატჩი, 9 მოგება, 20 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი, აღმოსავლეთის კონფერენციაში.

**მომდევნო მატჩი:** ტორონტო-ატლანტა (5 იანვარი)

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

## 29 დეკემბერი

**ვაშინგტონი-ორლანდო 112:111**

26:31, 33:32, 26:19, 27:29

**ვაშინგტონი:** არენასი (36 ქ. 9 მ. 7 პ. 2 ჩ), ჯეიმისონი (25 ქ. 11 მ), კ. ბატლერი (20 ქ), სტივენსონი (11 ქ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (20 ქ. 6 პ), დ. ჰოვარდი (20 ქ. 12 მ. 4 პ), დულინგი (20 ქ), არიზა (18 ქ. 3 ჩ), ნელსონი (15 ქ. 5 მ. 5 პ).

**შარლოტი-ლეიკერ. 133:124 (3 ო)**

18:30, 42:30, 26:25, 19:20, 8:8, 7:7, 13:4

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (28 ქ. 8 მ. 2 ჩ), კეროლი (27 ქ), ფელტონი (22 ქ. 15 პ. 2 ჩ), ოკაფორი (22 ქ. 25 მ. 4 დ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (58 ქ. 5 მ. 4 პ), უოლტონი (14 ქ. 11 მ. 5 პ. 5 ჩ), ს. პარკერი (12 ქ), კ. ბრაუნი (11 ქ. 15 მ. 5 დ).

**კლიპერსი-საკრამენტო 102:93**

25:24, 21:21, 34:24, 22:24

**კლიპერსი:** ბრენდი (22 ქ. 3 დ), მაგეტი (21 ქ. 7 მ), მობლი (17 ქ. 3 პ), კამანი (14 ქ. 3 დ), ტიმ ტომასი (11 ქ).

**საკრამენტო:** ბიბი (26 ქ), ბ. მილერი (15 ქ. 6 მ. 5 პ), კევინ მარტინი (14 ქ), აბდურ-რაჰიმი (10 ქ).

**ტორონტო-ჩიკაგო 97:107**

32:26, 14:28, 29:28, 22:25

**ტორონტო:** ტი.ჯეი. ფორდი (20 ქ. 6 პ), ჯ. გრემი (17 ქ), ბარნიანი (16 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ), ე. პარკერი (11 ქ), ნესტეროვიჩი (10 ქ. 8 მ), პიტერსონი (10 ქ).

**ჩიკაგო:** დენგი (25 ქ), გორდონი (22 ქ. 6 პ), ჰაინრიხი (16 ქ. 4 მ. 4 პ), დიუჰონი (12 ქ. 7 პ), ბ. უოლასი (8 ქ. 10 მ. 3 დ).

**მაიამი-ნიუ ჯერსი 81:91**

21:24, 22:15, 18:32, 20:20

**მაიამი:** დ. რაიტი (21 ქ. 7 მ. 6 დ), ჯეისონ უილიამსი (17 ქ), მურნინგი (12 ქ. 9 მ), ჰასლემი (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (23 ქ. 9 პ. 6 მ), რ. ჯეფერსონი (22 ქ), კიდი (17 ქ. 10 მ. 7 პ. 2 ჩ).

**კლივლენდი-მილუოკი 109:99**

34:19, 26:21, 19:31, 30:28

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 5 პ), დ. მარშალი (29 ქ. 10 მ. 3 ჩ), ჰიუზი (26 ქ), გუდენი (14 ქ. 10 მ), სნოუ (უქულოდ, 10 პ).

**მილუოკი:** რედი (24 ქ), მო უილიამსი (21 ქ. 9 მ. 7 პ), პატერსონი (17 ქ. 10 მ. 4 პ), ვილიანოვა (15 ქ. 9 მ), ბოგუტი (12 ქ. 12 მ).

**ნ. ორლეანი-დენვერი 99:89**

24:29, 31:30, 17:16, 27:14

**ნიუ ორლეანი:** რ. ბატლერი (20 ქ. 4 ჩ), დ. ბრაუნი (19 ქ. 10 მ. 7 პ), მეისონი (17 ქ), მარკ ჯექსონი (10 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 9 მ. 4 დ), ჩ. სიმონსი (10 ქ. 9 მ).

**დენვერი:** ბოიკინსი (26 ქ), აივერსონი (21 ქ), დიავარა (14 ქ), დ. ჯონსონი (10 ქ. 6 მ), რეჯი ევანსი (8 ქ. 10 მ), ნახერა (6 ქ. 10 მ).

**დეტროიტი-ინდიანა 92:93**

32:22, 15:26, 17:19, 28:26

**დეტროიტი:** ბილაპსი (23 ქ. 12 მ. 5 პ), რ. ჰამილტონი (22 ქ), მაქსიელი (12 ქ), პრინსი (10 ქ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (25 ქ. 13 მ. 4 დ), ე. ჰარინგტონი (16 ქ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (15 ქ), ტინსლი (14 ქ. 9 პ. 4 ჩ. 2 დ), ფოსტერი (7 ქ. 10 მ).

**მინესოტა-სიეტლი 101:82**

28:20, 28:19, 21:14, 24:29

**მინესოტა:** რ. დევისი (24 ქ), მ. ბლაუნტი (18 ქ. 9 მ), იარიჩი (13 ქ), ფოიე (12 ქ. 7 მ. 5 პ), გარნეტი (10 ქ. 13 მ. 5 პ. 5 დ), კ. სმიტი (10 ქ. 3 ჩ).

**სიეტლი:** რ. ალენი (14 ქ. 5 მ. 4 პ), პეტრო (12 ქ).

**ჰიუსტონი-ატლანტა 94:68**

20:14, 26:18, 29:14, 19:22

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (31 ქ), ჯუვან ჰოვარდი (17 ქ. 13 მ. 5 პ), ალსტონი (12 ქ), ჰედი (11 ქ), მუტომბო (4 ქ. 14 მ. 2 დ).

**ატლანტა:** ჩილდრესი (15 ქ), შელდენ უილაიმსი (11 ქ. 11 მ), ჯ. ჯონსონი (11 ქ), **ზაზა ფაჩულია (6 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ).**

**ფინიქსი-ნ. იორკი 108:86**

34:14, 22:25, 25:28, 27:19

**ფინიქსი:** ნეში (20 ქ. 9 პ), რ. ბელი (20 ქ), ბარბოსა (16 ქ), მერიონი (14 ქ. 6 მ), კურტ ტომასი (12 ქ. 9 მ), ა. სტაუდმაიერი (11 ქ. 11 მ. 3 დ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (21 ქ), კარი (19 ქ. 10 მ), მარბერი (14 ქ), ფრაი (12 ქ. 6 მ), ჯეფრიზი (8 ქ. 11 მ), ლი (4 ქ. 14 მ).

**პორტლენდი-ფილადელ. 95:98**

30:20, 21:27, 20:31, 24:20

**პორტლენდი:** როი (15 ქ), ზ. რენდოლფი (13 ქ. 12 მ. 3 პ), უდოკა (12 ქ), ჯეკი (11 ქ), დიქსონი (11 ქ), მაგლოირი (10 ქ), უებსტერი (10 ქ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (32 ქ. 5 მ. 5 პ. 5 ჩ), ა. მილერი (25 ქ. 10 პ. 7 მ), კორვერი (19 ქ. 3 მ), დალემბერი (10 ქ. 9 მ. 3 ჩ).

**გ. სტეიტი-ბოსტონი 110:100**

33:21, 20:27, 28:23, 29:29

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (27 ქ. 9 პ. 6 მ), მ. პიეტრუსი (26 ქ. 7 მ. 4 ჩ), ბიედრინსი (20 ქ. 17 მ. 4 დ), ბარნსი (13 ქ), ჯ. რიჩარდსონი (13 ქ. 3 დ).

**ბოსტონი:** ტ. ალენი (20 ქ. 7 მ), ელ ჯეფერსონი (18 ქ. 7 მ. 2 დ), დელონტე უესტი (18 ქ. 6 მ. 5 პ), გომესი (17 ქ. 8 მ).

## 30 დეკემბერი

**ინდიანა-შარლოტი 102:113**

25:29, 25:25, 27:25, 25:34

**ინდიანა:** ჯ. ონილი (27 ქ. 12 მ. 4 დ. 3 პ), გრეინჯერი (17 ქ. 6 მ), ტინსლი (15 ქ. 6 პ), ს. ჯექსონი (14 ქ).

**შარლოტი:** ა. მორისონი (30 ქ. 6 მ), ოკაფორი (19 ქ. 14 მ. 5 დ), კეროლი (18 ქ), ფელტონი (10 ქ. 19 პ. 6 მ).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 119:96**

35:25, 39:18, 27:26: 18:27

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (25 ქ), ბიბი (21 ქ. 6 პ), დუბი (21 ქ. 3 ჩ), უილიამსონი (13 ქ. 7 მ. 4 ჩ), გარსია (13 ქ. 7 მ. 4 დ), აბდურ-რაჰიმი (12 ქ. 8 მ), ბ. მილერი (10 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ბარნსი (17 ქ. 6 მ), მაკლეოდი (17 ქ), დიოგუ (16 ქ. 5 მ), მ. დანლივი-უმცროსი (13 ქ. 8 მ. 4 პ).

**იუტა-პორტლენდი 96:86**

20:21, 29:14, 24:27, 23:24

**იუტა:** ოქური (20 ქ. 7 მ), ბუზერი (19 ქ. 10 მ. 4 პ), კირილენკო (14 ქ. 3 დ. 2 ჩ), ფიშერი (11 ქ), მილსეპი (11 ქ), დერონ უილიამსი (8 ქ. 11 პ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (34 ქ. 13 მ. 4 პ), როი (17 ქ).

**მილუოკი-ვაშინგტონი 119:102**

23:23, 25:28, 34:34, 37:17

**მილუოკი:** რედი (28 ქ. 8 მ), პატერსონი (21 ქ. 7 მ. 4 პ), ჩ. ბელი (19 ქ), მო უილიამსი (16 ქ. 9 პ. 8 მ), ბოგუტი (14 ქ. 12 მ), სკინერი (12 ქ. 8 მ).

**ვაშინგტგნი:** კ. ბატლერი (29 ქ. 13 მ. 4 პ), არენასი 919 ქ0, ჯეიმისონი (17 ქ), ჰეიესი (10 ქ).

**ჩიკაგო-კლივლენდი 103:96**

32:27, 24:26, 22:14, 25:29

**ჩიკაგო:** დენგი (32 ქ. 6 მ), გორდონი (21 ქ. 7 პ), პი.ჯეი. ბრაუნი (13 ქ. 10 მ), მ. ალენი (10 ქ), დიუჰონი (8 ქ. 11 პ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (33 ქ. 9 მ), ჰიუზი (15 ქ), ილგაუსკასი (14 ქ. 9 მ. 2 დ), დ. მარშალი (12 ქ), გუდენი (8 ქ. 12 მ. 2 დ).

**დალასი-ნიუ ორლეანი 94:80**

30:26, 23:15, 24:15, 17:24

**დალასი:** ტერი (25 ქ. 6 პ), ნოვიცკი (17 ქ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 6 მ), დ. ჰარისი (12 ქ).

**ნიუ ორლეანი:** მარკ ჯექსონი (22 ქ. 8 მ), მეისონი (17 ქ), რ. ბატლერი (12 ქ), დ. ბრაუნი (10 ქ. 10 მ. 3 ჩ).

**მემფისი-ტორონტო 110:104**

39:18, 25:32, 22:28, 24:26

**მემფისი:** მ. მილერი (27 ქ), გასონი (22 ქ. 11 მ. 4 პ. 2 დ), ეტკინსი (16 ქ. 9 პ), სვიფტი (15 ქ. 14 მ. 2 დ), გეი (10 ქ).

**ტორონტო:** პიტერსონი (19 ქ. 2 დ), გარბახოსა (15 ქ. 5 მ. 4 ჩ), ნესტეროვიჩი (13 ქ. 9 მ), კალდერონი (13 ქ), ე. პარკერი (12 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ), დ. მარტინი (7 ქ. 10 პ).

**ნ. ჯერსი-მინესოტა 100:92**

21:16, 31: 30, 20:20, 28:26

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (23 ქ. 6 მ. 5 პ), მური (20 ქ. 8 მ), კიდი (19 ქ. 8 პ), ვ. კარტერი (14 ქ).

**მინესოტა:** ფოიე (18 ქ), რ. დევისი (18 ქ. 6 პ. 3 ჩ), გარნეტი (17 ქ. 11 მ. 5 პ), მ. ბლაუნტი (15 ქ).

**ორლანდო-მაიამი 97:68**

27:27, 21:10, 26:20, 23:11

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (19 ქ. 10 მ. 2 დ), არიზა (16 ქ. 10 მ. 2 ჩ), ბეტი (12 ქ), თურქოღლუ (11 ქ. 5 პ).

**მაიამი:** კაპონო (15 ქ. 3 პ), დ. რაიტი (12 ქ. 5 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ).

## 31 დეკემბერი

**ს. ანტონიო-ატლანტა 95:81**

20:23, 22:16, 25:22, 28:20

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (27 ქ. 5 პ), ჯინობილი (18 ქ), დანკანი (17 ქ. 11 მ. 2 დ), ბ. ბერი (12 ქ), ბონერი (8 ქ. 11 მ).

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (23 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჩილდრესი (19 ქ. 10 მ), მერვინ უილიამსი (13 ქ. 7 მ. 2 ჩ), შელდენ უილიამსი (9 ქ. 10 მ), **ზაზა ფაჩულია (4 ქ. 1 ჩ).**

**სიეტლი-ბოსტონი 101:95**

27:18, 21:21, 28:20, 25:36

**სიეტლი:** უილკოქსი (24 ქ. 8 მ), უილკინსი (20 ქ. 5 მ. 5 პ), რიდნური (17 . 11 პ. 3 ჩ), რ. ალენი (15 ქ), უოტსონი (13 ქ).

**ბოსტონი:** ტ. ალენი (23 ქ. 6 მ), ელ ჯეფერსონი (21 ქ. 10 მ), ჯ. გრინი (18 ქ), შჩერბიაკი (13 ქ), რონდო (12 ქ).

**ლეიკერსი-ფილადელფია 104:94**

26:18, 20:20, 37:30, 21:26

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (35 ქ. 8 მ. 6 პ), ს. პარკერი (12 ქ. 5 პ), უოლტონი (11 ქ. 7 მ).

**ფილადელფია:** კორვერი (29 ქ. 8 მ), იგუოდალა (19 ქ. 8 მ. 6 პ), ა. მილერი (13 ქ. 8 პ), დალემბერი (6 ქ. 11 მ).

**დენვერი-დალასი 85:89**

24:20, 26:24, 19:19, 16:26

**დენვერი:** აივერსონი (28 ქ. 8 პ. 7 ჩ), ბოიკინსი (20 ქ), ნახერა (14 ქ. 7 მ), კემბი (13 ქ. 13 მ. 3 დ. 3 პ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (28 ქ. 17 მ. 5 პ. 3 დ), ტერი (21 ქ. 6 პ), დ. ჰარისი (16 ქ. 5 პ), პაკნერი (11 ქ. 3 ჩ).

**კლიპერსი-ნიუ იორკი 90:80**

28:22, 23:16, 23:17, 16:25

**კლიპერსი:** ბრენდი (32 ქ. 8 დ. 6 მ), ლივინგსტონი (15 ქ. 7 პ), მაგეტი (14 ქ. 4 მ. 4 პ), მობლი (11 ქ), კამანი (8 ქ. 13 მ).

**ნიუ იორკი:** კარი (15 ქ), მარბერი (14 ქ. 8 პ), ფრაი (12 ქ), მ. კოლინზი (11 ქ), ჯ. ჯეიმსი (10 ქ0.

**ჰიუსტონი-მემფისი 111:109**

24:29, 34:30, 26:14, 27:35

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (38 ქ. 9 მ. 3 პ), ჯუვან ჰოვარდი (22 ქ. 7 მ), ჰედი (18 ქ), ალსტონი (11 ქ. 6 პ), მუტომბო (2 ქ. 11 მ. 4 დ).

**მემფისი:** მ. მილერი (32 ქ), გასონი (21 ქ. 6 მ), ეტკინსი (14 ქ. 8 პ. 6 მ), სვიფტი (19 ქ. 9 მ).

**დეტროიტი-ფინიქსი 101:108**

22:29, 28:27, 28:28, 23:24

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (31 ქ. 5 მ. 3 ჩ), ბილაპსი (18 ქ. 7პ), პრინსი (14 ქ), დელფინო (11 ქ. 7 მ), რ. უოლასი (10 ქ. 6 მ).

**ფინიქსი:** ნეში (35 ქ. 12 პ), ა. სტაუდმაიერი (31 ქ. 13 მ. 3 დ), მერიონი (15 ქ. 5 მ. 3 ჩ), რ. ბელი (15 ქ).

## 1 იანვარი

**შარლოტი-მინესოტა 96:102**

29:20, 26:27, 23:21, 18:34

**შარლოტი:** კეროლი (23 ქ), ფელტონი (22 ქ. 9 პ), ა. მორისონი (18 ქ. 6 მ. 5 პ), ოკაფორი (12 ქ. 14 მ), მეი (12 ქ. 7 მ. 5 პ).

**მინესოტა:** გარნეტი (32 ქ. 14 მ), რ. დევისი (25 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ), მ. ბლაუნტი (21 ქ. 7 მ. 2 დ), მ. ჯეიმსი (10 ქ).

**პორტლენდი-ბოსტონი 81:89**

27:23, 17:21, 23:26, 14:19

**პორტლენდი:** როი (18 ქ. 5 პ), უებსტერი (11 ქ), ზ. რენდოლფი (11 ქ. 10 მ), მაგლოირი (9 ქ. 13 მ).

**ბოსტონი:** ტ. ალენი (22 ქ. 8 მ. 3 ჩ), გომეში (18 ქ. 10 მ), შჩერბიაკი (15 ქ), ელ ჯეფერსონი (14 ქ. 11 მ).

## 2 იანვარი

**ორლანდო-კლიპერსი 91:86**

23:28, 18:20, 26:15, 24:23

**ორლანდო:** ნელსონი (29 ქ), დ. ჰოვარდი (14 ქ. 14 მ. 5 პ. 2 დ), არიზა (14 ქ), თურქოღლუ (13 ქ. 4 პ).

**კლიპერსი:** მაგეტი (20 ქ), ბრენდი (15 ქ. 7 მ. 3 დ), ტიმ ტომასი (13 ქ. 5 პ), კამანი (12 ქ. 7 მ), მობლი (12 ქ), შ. ლივინგსტონი (10 ქ).

**საკრამენტო-ნ. იორკი 112:100**

33:26, 24:22, 24:25, 31:27

**საკრამენტო:** არტესტი (39 ქ. 8 მ. 5 ჩ), ბიბი (19 ქ. 9 პ), კევინ მარტინი (12 ქ), კენი ტომასი (10 ქ. 9 მ), აბდურ-რაჰიმი (10 ქ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (28 ქ. 3 ჩ), კარი (19 ქ), მარბერი (17 ქ. 8 პ), ლი (16 ქ. 15 მ. 3 პ), მ. როუზი (10 ქ).

**დენვერი-ფილადელფია 97:108**

16:26, 36:26, 21:34, 24:22

**დენვერი:** აივერსონი (30 ქ. 9 პ. 5 მ), დიავარა (23 ქ), ბოიკინსი (13 ქ. 6 პ), კემბი (8 ქ. 16 მ. 7 დ. 2 ჩ. 2 პ).

**ფილადელფია:** კორვერი (26 ქ. 4 პ), ა. მილერი (17 ქ. 10 პ), ს. ჰანტერი (13 ქ), ჯო სმიტი (12 ქ. 8 მ), დალემბერი (10 ქ), უ. გრინი (10 ქ), იგუოდალა (7 ქ. 10 პ. 7 მ. 4 ჩ).

**ჩიკაგო-ფინიქსი 96:97**

27:18, 28:25, 18:20, 23:34

**ჩიკაგო:** გორდონი (41 ქ). 4 პ), დენგი (19 ქ. 8 მ. 3 ჩ), ნოჩიონი (11 ქ. 12 მ), ბ. უოლასი (6 ქ. 14 მ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (24 ქ. 18 მ. 4 ჩ), მერიონი (22 ქ. 9 მ. 3 ჩ), ბარბოსა (20 ქ), ნეში (11 ქ. 13 პ), რ. ბელი (10 ქ).

**დალასი-სიეტლი 112:88**

33:22, 22:33, 23:17, 34:16

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქ. 15 მ), ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 9 მ), ტერი (18 ქ), დ. ჰარისი (16 ქ).

**სიეტლი:** რ. ალენი (27 ქ), უოტსონი (15 ქ. 6 პ), უილკინსი (11 ქ), პეტრო (10 ქ).

**კლივლენდი-ს. ანტონიო 82:78**

21:21, 12:19, 11:10, 38:28

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (19 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ჰიუზი (18 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), დ. ჯოუნსი (10 ქ), გუდენი (10 ქ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (26 ქ. 2 ჩ), დანკანი (18 ქ. 15 მ. 2 დ).

**ნ. ორლეანი-გ. სტეიტი 89:97**

27:21, 18:28, 18:27, 26:21

**ნიუ ორლეანი:** რ. ბატლერი (30 ქ), პარგო (24 ქ. 8 პ), მარკ ჯექსონი (15 ქ), მეისონი (12 ქ. 9 მ. 4 პ), ჩენდლერი (4 ქ. 15 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (29 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ), ბარნსი (29 ქ. 11 მ. 5 ჩ), მ. პიეტრუსი (13 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (10 ქ), მერფი (2 ქ. 12 მ).

# გილბერტი და კობი



კობი ბრაიანტი

საინტერესო მოვლენებით დახუნძლული დეკემბრის საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთში "ვაშინგტონ უიზარდსის" მსროლელი **გილბერტ არენასი,** საპირისპირო კონფერენციაში კი ამავე ამპლუის ლეიკერსელი მეგავარსკვლავი **კობი ბრაიანტი** დაასახელეს.

დეკემბერში, არენასი 16 შეხვედრაში ყველაზე მეტ - 34.1 ქულას აგროვებდა. ამასთან ერთად, მან სტატისტიკური მონაგარი 6.2 შედეგიანი გადაცემითა და 4.3 მოხსნით შეალამაზა. დედაქალაქელებმა შინ 7-დან 6 შეხვედრა მოიგეს, არენასმა კი ორ მატჩში არაჩვეულებრივად ითამაშა. 17 დეკემბერს, "ლეიკერსთან" მან დამატებით დროში თავის გუნდს 147:141 მოაგებინა და 60 (!) ქულა დააგროვა. 22 დეკემბერს, გილბერტმა "ვაშინგტონს" ასევე დამატებით დროში "ფინიქს სანზი" 144:139 დააჩოქებინა, რითაც არიზონელებს 15-მატჩიანი წარმატებული სერია შეუწყდათ. არენასის ანგარიშზე ამ მატჩში 54 ქულა იყო. დეკემბრის 16 შეხვედრაში გილბერტმა 12-ჯერ 30 და მეტი ქულა დააგროვა.

ბრაიანტის მონაგარი კი 30.8 ქულა, 5.4 მოხსნა და ზუსტად ამდენივე შედეგიანი გადაცემა იყო. კალიფორნიელებმა 10 მატჩი მოიგეს და 6 წააგეს. კობიმ ყველაზე შთამბეჭდავად 29 დეკემბერს ითამაშა. მართალია, მისი გუნდი სამ დამატებით ხუთწუთეულში "შარლოტთან" 124:133 დამარცხდა, მაგრამ ბრაიანტი მაინც მატჩისა და დღის მთავარ გმირად იქცა, რაკილა 58 ქულა (5 მოხსნა და 4 პასი) შესძინა გუნდს. 15 დეკემბერს "ლეიკერსმა" ორი ოვერტაიმი ჩაატარა, "ჰიუსტონს" 112:101 აჯობა, კობიმ კი შეხვედრა 53 ქულით, 10 მოხსნითა და 8 პასით ჩაამთავრა.

დეკემბრის საუკეთესო ახალბედებად "ტორონტო რეპტორზის" ესპანელი ფორვარდი **ხორხე გარბახოსა** და "მინესოტა ტიმბერვულვზის" გამთამაშებელი **რენდი ფოიე** მიიჩნიეს.

დაბოლოს, თვის საუკეთესო მწვრთნელები გახდნენ - აღმოსავლეთში "ვაშინგტონის" დამრიგებელი **ედი ჯორდანი** (12 მოგება, 4 წაგება), დასავლეთში კი "ფინიქსის" **მაიკ დენტონი** (13:2).

# ისევ ტრავმები

## შაკი 15 იანვარს დაბრუნდება

არაერთხელ აგვიღნიშნავს, რომ წელს, NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში ტრავმების ნამდვილი ეპიდემიაა. ამჯერადაც, ახალი წლის წინა დღეებში და 2007 წელს, ჩემპიონატის მატჩებს რამდენიმე კალათბურთელი გამოაკლდა.

ყველაზე ცუდ დღეში "შარლოტ ბობკეტსი" ჩავარდა - მას ორი წამყვანი მოთამაშე დაემტვრა. კუნთი გაიწყვიტა კლუბის ძირითადმა გამთამაშებელმა **ბრევინ ნაითმა** და მას უკვე გაუკეთეს ოპერაცია. ამ დაზიანების გამო, კალათბურთელი, რომელიც საშუალოდ 11.9 ქულას აგროვებს და კლუბის ლიდერია შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (7.3), დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

"ინდიანასთან" მატჩში მარჯვენა მხარი იტკინა "შარლოტის" ფორვარდმა **ჯერალდ უოლასმა**. სავარაუდოდ, მას ერთი კვირის გამოტოვება მოუწევს.

ძირითადი გამთამაშებლის გარეშე დარჩნენ "ნიუ ორლეან ჰორნეტსი" და "დეტროიტ პისტონზი". "ჰორნეტს" ერთი თვე ვერ დაეხმარება გუნდის ლიდერი **კრის პოლი** - მას ტრავმირებული ფეხის მკურნალობა სჭირდება. პოლი ლიგის ერთ-ერთი ლიდერია შედეგიანი გადაცემების რაოდენობით - 9.0. აგრეთვე, საშუალოდ მატჩში 18.4 ქულას აგროვებს.

რაც შეეხება დეტროიტელ **ჩონსი ბილაპსს,** მან "ინდიანასთან" მატჩში ხელის ტრავმა მიიღო, რის გამოც 30 წლის კალათბურთელი ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

ყველაზე სერიოზული დაზიანება კი "გოლდენ სტეიტ უორიორზის" მცველმა **ჯეისონ რიჩარდსონმა** მიიღო, რომელმაც "საკრამენტოს" წინააღმდეგ ხელი მოიტეხა და ორ თვეს ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

უკვე ორი კვირაა "ჰიუსტონ როკეტსი" თავისი ჩინელი ვარსკვლავის, **იაო მინის** გარეშე თამაშობს. როგორც იცით, ამ ცენტრალურ თავდამსხმელს ექიმებმა ტრავმირებული მუხლის სამკურნალოდ 6-8-კვირიანი ვადა გამოუწერეს. მაგრამ მინს სხვა ექიმებთან მისვლა და თავისი ტრავმის შესახებ ახალი ინფორმაციის მიღება სურს.

ჟურნალისტებთან საუბრისას ჩინელმა კალათბურთელმა განაცხადა, რომ უკეთესი პროგნოზის იმედი აქვს. დღეისთვის ცნობილია, რომ მინი თებერვლამდე ვერ შეძლებს თამაშს.

დაბოლოს, ერთი სასიამოვნო ინფორმაცია. "მაიამი ჰიტის" ცენტრის **შაკილ ო'ნილის** დაბრუნება 15 იანვარს, "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩში იგეგმება. NBA-ის მოქმედი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელის, **პატ რაილის** თქმით, 34 წლის შაკი გუნდთან იქნება იმ გასვლით ექვსმატჩიან ტურნეში, რომელიც უახლოეს პარასკევს დაიწყება. "ლეიკერსთან" შეხვედრა ამ სერიის ბოლო თამაშია.

შეგახსენებთ, რომ შაკილ ო'ნილი 12 ნოემბრის შემდეგ არ გასულა მოედანზე. შაკი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე ვარჯიში საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მან ოპტიმალური სპორტული ფორმა აღიდგინოს.



შაკი ჯერჯერობით უსაქმოდაა

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენცი**

| | |
|---|---|
| გრეისი-გრავესენდი | 0:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-პო ორტეზი | 78:58 |
| ფენერბაჰჩე-ბენეტონი | 70:58 |
| არისი-ნაპოლი | 80:72 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია | 83:74 |
| პარტიზანი-ხუვენტუდი | 74:83 |
| ბარსელონა-ქალგირისი | 84:67 |
| ტაუგრესი-კიოლნი | 97:68 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| კლერმონი-ვილერბანი | 63:55 |

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ახალგაზრდული**

1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| გერმანია-ბელარუსი | 1:3 |
| აშშ-კანადა | 1:1. პენ. 1:2 |
| რუსეთი-შვედეთი | 4:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კიეკო-კერპეტი | 5:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ადელაიდა**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ჯონსი | 6:1, 6:2 |
| ი. იოჰანსონი-სიმონი | 6:4, 7:5 |

**ATP. დოჰა**

| | |
|---|---|
| მირნი-ჩუიდინელი | 6:3, 6:3 |
| მიურეი-კ.როხუსი | 6:1, 6:3 |
| სიოდერლინგი-გარსია ლოპესი | 4:6, 6:0, 6:3 |
| ბაღდატისი-რამირეს იდალგო | 6:2, 6:0 |
| ო. როხუსი-ლუცი | 6:1, 6:0 |
| იუჟნი-მონფილსი | 6:4, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-ელ აინაუი | 6:3, 6:4 |
| დავიდენკო-ბიორკმანი | 6:4, 6:3 |

**ATP. ჩენაი**

| | |
|---|---|
| მალისე-გალვანი | 6:3, 6:2 |
| მოია-კიმი | 6:4, 6:3 |
| კარლოვიჩი-პლესი | 7:6, 7:6 |

**WTA. გოლდ კოუსტი**

| | |
|---|---|
| საფინა-კირილენკო | 6:2, 7:5 |
| სტოსური-ფერგიუსონი | 6:3, 6:4 |

**ჰოფმანის თასი**

| | |
|---|---|
| მირზა-ს.ანჩიჩი | 6:2, 6:3 |
| მ.ანჩიჩი-ბოპანა | 7:6, 7:6 |

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 29 დეკემბერი

**კაროლინა-ანაჰაიმი 4:2**

1:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 უიტნი-14 (ჯასტინ უილიამსი-19, ტანაბე-3), 1:1 სელიანე-20 (ს. ნიდერმაიერი-26, უოლი-1), 1:2 სელიანე-21 (პრონგერი-33, ე. მაკდონალდი-24), 2:2 ბრინდამორი-13 (უიტნი-27, ტანაბე-4), 3:2 ჯასტინ უილიამსი-19 (უიტნი-28, ბრინდამორი-31), 4:2 ე. კოული-16.

**კალგარი-ლოს ანჯელესი 6:4**

2:1, 1:0, 3:3

**გოლები:** 1:0 იგინლა-21 (ჰუსელიუსი-12, ტანგეი-23), 2:0 ფანოფი-8, 2:1 ვიშნოვსკი-10 (კამალერი-18, სოპელი-10), 3:1 ლენგკოუ-14 (იგინლა-26, ჯორდანო-3), 3:2 ფროლოვი-19 (ეივერი-16, სოპელი-11), 4:2 ტანგეი-9 (კობესიუ-13, ლენგკოუ-24), 5:2 ჰუსელიუსი-14 (იგინლა-27), 5:3 კონროი-5 (ვიშნოვსკი-20, ფროლოვი-21), 5:4 ვიშნოვსკი-11 (დ. ბრაუნი-13, ფროლოვი-22), 6:4 ჰუსელიუსი-15 (იგინლა-28).

**კოლორადო-სენტ ლუისი 2:4**

0:0, 2:2, 0:2

**გოლები:** 0:1 რუჩინსკი-7 (უეიტი-19, გერინი-10), 1:1 საკიკი-17 (სკრასტინსი-2, ბრუნეტი-20), 1:2 გერინი-17 (ვიდემანი-7, უეიტი-20), 2:2 ვოლსკი-12 (ბრუნეტი-21, შჩასტნი-19), 2:3 რუჩინსკი-8 (სტემპნიაკი-10, ვიდემანი-8), 2:4 ტკაჩუკი-9 (დვორაკი-11, ჩაიანეკი-14).

**მინესოტა-კოლამბუსი 4:3 (ო)**

0:1, 2:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჩიმერა-8 (ყერდიოვი-8, ფიოდოროვი-15), 0:2 ლინდსტრიომი-1 (რ. ნეში-16), 1:2 როლსტონი-18 (ბუშარი-20, ფოსტერი-9), 2:2 დემიტრა-10 (ფოსტერი-10, როლსტონი-15), 2:3 სვიტლოვი-4 (ვიბორნი-26), 3:3 როლსტონი-19 (ფოსტერი-11, ბუშარი-21), 4:3 ვალცი-5 (სკოულა-7, დემიტრა-14).

**ოტავა-რეინჯერსი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ალფრედსონი-10 (კ. ფილიპსი-7, ჰიტლი-24).

**პიტსბურგი-ტორონტო 4:1**

1:0, 0:1, 3:0

**გოლები:** 1:0 კრისტენსენი-7 (კროსბი-39, ულეტი-10), 1:1 სუნდინი-16 (დევერო-1, ბატალია-10), 2:1 გონჩარი-6 (კროსბი-40, მალკინი-18), 3:1 მალკინი-18 (გონჩარი-23, კროსბი-41), 4:1 ჯ. სტაალი-11.

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 4:3**

1:1, 2:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ნიკოლატი-1 (ოვეჩკინი-25, ზუბრუსი-20), 1:1 გომესი-5 (ელიაში-21, მარტინი-12), 2:1 ბრილინი-8 (რაფალსკი-22, პარიზე-16), 3:1 გომესი-6 (ჯონსტა-14, ელიაში-22), 3:2 ლეიჩი-4 (ნიკოლატი-2, ბიჩი-11), 4:2 ელიაში-14 (გომესი-21, მარტინი-13), 4:3 სიომინი-17.

**ჩიკაგო-ბოსტონი 3:5**

0:3, 0:1, 3:1

**გოლები:** 0:1 გ. მიურეი-19 (აქსელსონი-6, სავარი-35), 0:2 მაუერსი-2, 0:3 იურჩინა-2 (ჩისტოვი-4, უ. პრიმო-7), 0:4 პ. ბერჟერონი-13 (შტურმი-8), 1:4 ვიშნიევსკი-1 (ჰაველატი-13, სიბრუკი-7), 2:4 სმოლინსკი-9 (კუკონენი-7), 3:4 არხიპოვი-5 (ვრბატა-15, ვიშნიევსკი-5), 3:5 სავარი-12 (აქსელსონი-7).

**დალასი-ნეშვილი 4:1**

0:1, 1:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ჰარტნელი-15 (რადულოვი-7, ვაშიჩეკი-6), 1:1 მიეტინენი-7 (ი. იოკინენი-12, რიბეირო-19), 2:1 ი. ლეჰტინენი-9 (ზუბოვი-19, ბუშე-16), 3:1 მიეტინენი-8 (რიბეირო-20, ზუბოვი-20), 4:1 სტეფანი-3 (ი. ლეჰტინენი-10).

**ფლორიდა-მონრეალი 3:1**

1:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 პელტონენი-5 (გრეტონი-5, ბუტი-3), 1:1 შტრაიტი-2 (ჰიგინსი-6, ს. კოივუ-22), 2:1 ჰორტონი-14 (გ. რობერტსი-15, მეზეი-3), 3:1 გ. კემპბელი-2 (კოლნიკი-5, უაისი-11).

### 30 დეკემბერი

**ბაფალო-ატლანტა 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბრიერი-15 (ვანეკი-19, აფინოგენოვი-24), 2:0 პომინვილი-18 (ბრიერი-31, კალინინი-11), 2:1 მეტროპოლიტი-7 (ჯ. სლეიტერი-9), 3:1 ვანეკი-21 (აფინოგენოვი-25, ლიდმანი-9), 4:1 ვანეკი-22 (დ. რუა-18, კალინინი-12).

**ტორონტო-ოტავა 2:3 (ო)**

1:0, 0:1: 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 სტინი-4 (ო'ნილი-15, ტ. კაბერლე-26), 1:1 მაკამონდი-5 (კელი-8, ვოლჩენკოვი-9), 2:1 დევერო-1 (ბატალია-11), 2:2 კელი-6 (რედენი-7, მაკგრატენი-2), 2:3 კ. ფილიპსი-4 (ჰიტლი-25, კელი-9).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 რაფალსკი-2 (პანდოლფო-6, მადენი-12), 0:2 ელიაში-15 (ოდუია-4, გომესი-22).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 4:1**

2:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პრუხა-7 (რახუნეკი-10, ნიულანდერი-30), 2:0 ნიულანდერი-13 (სტრაკა-26, როჟსივალი-16), 3:0 კასპარაიტისი-2 (იაგრი-36, სტრაკა-27), 4:0 პრუხა-8 (ჰოლი-7, რახუნეკი-11), 4:1 კლაიმერი-4 (ნიკოლატი-3, ემინგერი-6).

**ნეშვილი-ბოსტონი 5:0**

2:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეგვანდი-11 (კარია-28, ჰამჰუისი-5), 2:0 შ. უებერი-6 (ფიდლერი-5, ჰარტნელი-10), 3:0 სმიტსონი-3 (ტუტუ-2, კ. ტიმონენი-19), 4:0 კარია-12 (ლეგვანდი-17), 5:0 ვაშიჩეკი-3 (ტუტუ-3, სმიტსონი-3).

**ფინიქსი-სან ხოსე 8:0**

3:0, 3:0, 2:0

**გოლები:** 1:0 რიონიკი-2, 2:0 ზ. მიხალეკი-4 (დოენი-8, საპრიკინი-11), 3:0 დოენი-8 (საპრიკინი-12, როჩი-3), 4:0 როჩი-2 (კომრი-13, ჯ. პერო-2), 5:0 ნადი-6 (დოენი-9, ი. პერო-7), 6:0 კომრი-7 (ზ. მიხალეკი-15, დოენი-10), 7:0 რიონიკი-3 (დოენი-11), 8:0 რიონიკი-4 (ნადი-22, ბალარდი-8).

**სენტ ლუისი-კოლორადო 2:0**

1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ტკაჩუკი-10 (ბრიუერი-8, დვორაკი-12), 2:0 სტემპნიაკი-11 (ვიდემანი-9, უეიტი-21).

**ტამპა ბეი-მონრეალი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-14 (ბოილი-22, სენტ ლუისი-24), 1:1 პერეჟოგინი-5 (მ. ჯონსონი-8, ბუიონი-2), 2:1 პროსპალი-4 (ფედოტენკო-9, სერიჩი-7), 3:1 კუბა-6 (ბოილი-23, ბ. რიჩარდსი-20).

**ედმონტონი-ვანკუვერი 2:6**

0:1, 0:3, 2:2

**გოლები:** 0:1 ბულისი-7 (ნესლუნდი-14, კესლერი-6), 0:2 დ. სედინი-14 (ბიეკსა-11, ჰ. სედინი-34), 0:3 ს. სალო-6 (კრაიჩეკი-6, ნესლუნდი-15), 0:4 ოლუნდი-6 (დ. სედინი-23, ბიეკსა-12), 1:4 პულიო-2 (რ. სმიტი-7, ჰემსკი-19), 1:5 ოლუნდი-7 (ბ. მორისონი-11), 2:5 ჰორკოფი-5 (ტორესი-14, პეიდა-2), 2:6 დ. სედინი-15 (ჰ. სედინი-35, ფიტცპატრიკი-1).

### 31 დეკემბერი

**მინესოტა-ანაჰაიმი 4:3**

0:1, 3:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სელიანე-22 (ს. ნიდერმაიერი-27, მაკდონალდი-25), 1:1 ბუშარი-7 (პერიში-9, ფოსტერი-12), 2:1 როლსტონი-20 (მ. კოივუ-16, რადივოევიჩი-6), 3:1 ბუშარი-8 (ფოსტერი-13, როლსტონი-16), 3:2 ს. ნიდერმაიერი-7 (სელიანე-27, კუნიცი-16), 3:3 სელიანე-23 (ს. ნიდერმაიერი-28, ო'ბრაიენი-10), 4:3 პერიში-11 (ტ. უაიტი-17, ბერნსი-4).

**კალგარი-ედმონტონი 4:2**

2:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 იგინლა-22 (ჰუსელიუსი-13), 2:0 ლენგკოუ-15 (იგინლა-29, ამონტე-8), 3:0 ფანოფი-9 (იგინლა-30, ჰამრლიკი-10), 3:1 რ. სმიტი-18 (ტიარნკვისტი-12, სტოლი-19), 4:1 კობესიუ-4 (ტანგეი-24, ლომბარდი-12), 4:2 რ. სმიტი-19 (სტოლი-20, სიკორა-19).

**დეტროიტი-ლოს ანჯელესი 6:2**

1:0, 3:2, 2:0

**გოლები:** 1:0 ჰოლმსტრიომი-6 (ზეტერბერგი-11, დაციუკი-21), 1:1 ფროლოვი-20 (დ. არმსტრონგი-19, ტვერდოვსკი-4), 2:1 ფილპულა-4 (ჯეისონ უილიამსი-13, ლიდსტრიომი-23), 3:1 დაციუკი-10 (შნაიდერი-22, კრონვალი-7), 3:2 ფროლოვი-21 (დ. არმსტრონგი-20, კამალერი-19), 4:2 დრეიპერი-6 (ფრანცენი-9), 5:2 სამუელსონი-9 (შნაიდერი-23, ლანგი-20), 6:2 ჯეისონ უილიამსი-6 (ჰუდლერი-1, ლებდა-8).

**დალასი-სან ხოსე 2:4**

1:4, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პაველსკი-8 (მ. მიხალეკი-20), 0:2 ჩიჩუ-12 (ჯ. ტორნტონი-34, გორჯესი-1), 1:2 ზუბოვი-7 (ბუშე-17, ლ. ერიქსონი-4), 1:3 მარლო-17 (ჯ. ტორნტონი-35, ჩიჩუ-12), 1:4 ჯ. ტორნტონი-11 (გრირი-5, მარლო-20), 2:4 ჰაგმანი-6 (ტიარნკვისტი-1, სტეფანი-4).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 3:1**

0:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ლაპოინტი-9 (ვანდერმეერი-5, ვრბატა-16), 1:1 ფიოდოროვი-13 (რ. ნეში-17, ჰეინსი-14), 2:1 მალორტა-4 (ჩიმერა-9, ფრიტშე-10), 3:1 უესკოტი-4.

**კაროლინა-ფილადელფია 2:5**

0:1, 1:1, 1:3

**გოლები:** 0:1 განიე-20 (ფორსბერგი-14), 1:1 უიტნი-15 (ბელანჟე-8, ტანაბე-5), 1:2 ჟიტნიკი-4 (ფედორუკი-6, ფორსბერგი-15), 1:3 პოტულნი-2 (ფედორუკი-7, იგერი-3), 1:4 კალდერი-4 (ჯ. კარტერი-7), 2:4 უიტნი-16 (ბელანჟე-9, ბრინდამორი-32), 2:5 ნუბლი-15 (ფორსბერგი-16).

### 1 იანვარი

**ვაშინგტონი-ფინიქსი 2:3**

1:3, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ნოლანი-9 (ი. პერო-8, ნადი-23), 1:1 პოტიე-1 (ოვეჩკინი-26, პეტინგერი-9), 1:2 ბალარდი-2 (ნოლანი-14, ი. პერო-9), 1:3 დოენი-9 (როჩი-4, ზ. მიხალეკი-16), 2:3 სატერბი-2 (კლეპისი-6).

**ნეშვილი-კოლორადო 3:5**

1:1, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ვოლსკი-13 (საკიკი-25, სვატოსი-13), 1:1 არნოტი-11 (სატერი-9, დუმონი-20), 1:2 ჰეიდუკი-12 (სვატოსი-14, არნასონი-16), 1:3 ბრუნეტი-13 (შჩასტნი-20, ლაილსი-18), 1:4 ვაანანენი-2 (საკიკი-26), 2:4 რადულოვი-11 (დუმონი-21, კ. ტიმონენი-20), 3:4 არნოტი-12 (კარია-29, კ. ტიმონენი-21), 3:5 ვოლსკი-14 (საკიკი-27, ბ. კლარკი-17).

**ოტავა-ატლანტა 2:3 (ო)**

0:0, 1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ალფრედსონი-11 (ჰიტლი-26, ივსი-11), 1:1 კოვალჩუკი-21 (ჰაველიდი-10, მარიან ჰოსა-29), 1:2 ვიაჩ. კოზლოვი-16 (მარიან ჰოსა-30, ჰნიდი-6), 2:2 პრისინგი-3 (მეფერი-15, მაკამონდი-6), 2:3 ვიაჩ. კოზლოვი-17 (მარიან ჰოსა-31).

**ბაფალო-აილენდერსი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 გოსტადი-6 (ბ. კემპბელი-21, აფინოგენოვი-26), 2:0 აფინოგენოვი-18 (რუა-19, ვანეკი-20), 2:1 ჯ. ბლეიკი-22 (ეშემი-5, კამპოლი-2), 3:1 ჰეხტი-10 (პომინვილი-12, ლრური-17).

**ტორონტო-ბოსტონი 5:1**

2:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ხარა-7 (შტურმი-9, სავარი-36), 1:1 სუნდინი-17 (მაკეიბი-23, პოლი-5), 2:1 გილი-3 (დევერო-2, კილგერი-7), 3:1 ნიუბერი-1 (ბელაკი-2, ონდრუში-2), 4:1 სუნდინი-18 (ო'ნილი-16), 5:1 ო'ნილი-13 (სუნდინი-20, მაკეიბი-24).

### 2 იანვარი

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 1:4**

1:0, 0:0, 0:4

**გოლები:** 1:0 ტკაჩუკი-11 (სტემპნიაკი-11, გერინი-11), 1:1 ჰაველატი-13 (ვრბატა-17), 1:2 ბონდრა-3 (არხიპოვი-7, სიბრუკი-8), 1:3 ჯ. ჰამილტონი-11 (ტ. რუუტუ-6, კეიტი-18), 1:4 ლაპოინტი-10 (ტ. რუუტუ-7, არხიპოვი-8).

**მინესოტა-ატლანტა 5:1**

2:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 როლსტონი-21 (ფოსტერი-14, ბუშარი-22), 2:0 პერიში-12 (ბუშარი-23, მ. კოივუ-17), 3:0 პერიში-13 (დემიტრა-15), 4:0 ბუშარი-9 (სკოულა-8, ბერნსი-5), 5:0 ბუშარი-10 (ტ. უაიტი-18, ბერნსი-6), 5:1 სიმი-10 (ქობურნი-2, მარიან ჰოსა-32).

**მონრეალი-ტამპა ბეი 5:2**

1:1, 1:1, 3:0

**გოლები:** 0:1 იანიკი-1 (ტ. ტეილორი-2, ა. რუა-1), 1:1 პლეკანეცი-4 (კოვალიოვი-18, ბუიონი-3), 2:1 კოვალიოვი-10 (ს. კოივუ-23, სურეი-21), 2:2 კუბა-7 (სენტ ლუისი-25, ბ. რიჩარდსი-21), 3:2 პლეკანეცი-5 (კოვალიოვი-19, სამსონოვი-12), 4:2 რაიდერი-11 (ბუიონი-4, ს. კოივუ-24), 5:2 ჰიგინსი-12 (მ. ჯონსონი-9, ბონკი-8).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 2:1**

0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 შნაიდერი-8 (ჯეისონ უილიამსი-14, ზეტერბერგი-12), 1:1 გეტცლაფი-16 (ე. მაკდონალდი-26, ს. ნიდერმაიერი-29), 2:1 ზეტერბერგი-16 (ჰოლმსტრიომი-10, სამუელსონი-10).

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მადენი-4 (ბრილინი-13, პანდოლფო-7), 1:1 ნიულანდერი-14 (როჟსივალი-17), 1:2 პრუხა-9 (იაგრი-37, რახუნეკი-12), 2:2 ლანგენბრუნერი-15 (ჯონსტა-15, გომესი-23).

**ბულიტები გაიტანეს:** ნიულანდერი (რეინჯერსი), პარიზე (ნიუ ჯერსი), შენეჰანი (რეინჯერსი), ელიაში (ნიუ ჯერსი), კულენი (რეინჯერსი), ბრილინი (ნიუ ჯერსი), მარსელ ჰოსა (რეინჯერსი).

**პიტსბურგი-კაროლინა 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კროსბი-18 (რეკი-23, მალკინი-19), 2:0 უიტნი-6 (რეკი-24, კროსბი-42), 3:0 კროსბი-19 (მელიხარი-6).

**აილენდერსი-ფილადელფია 2:3**

0:0, 0,1, 2:2

**გოლები:** 0:1 ნუბლი-16 (რ. ჯონსი-9, იორკი-8), 0:2 კალდერი-5 (ჯ. კარტერი-8, პიტკანენი-20), 0:3 პოტულნი-3 (ნუბლი-11, განიე-12), 1:3 ჯ. ბლეიკი-23 (ეშემი-6, დანჰემი-1), 2:3 სილინჯერი-11 (ჰანტერი-3, პოტი-16).

**კალგარი-ვანკუვერი 2:3**

0:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ლინდენი-5 (ბ. მორისონი-12), 0:2 ბ. მორისონი-10 (ს. სალო-11, ნესლუნდი-16), 1:2 ლომბარდი-12 (ჰუსელიუსი-14, ჰამრლიკი-11), 1:3 ბაროუზი-1 (მუინარი-2, ბიეკსა-13), 2:3 ლომბარდი-13 (ჯორდანო-4, ჰუსელიუსი-15).

**ედმონტონი-ფლორიდა 4:1**

0:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ტორესი-8 (პეიდა-3), 2:0 ჰემსკი-6 (მ-ა. ბერჟერონი-11, სტოლი-21), 3:0 პიზანი-8 (სტოლი-22, სტაიოსი-11), 4:0 რ. სმიტი-20, 4:1 ო. იოკინენი-16 (სტუმპელი-17, გელინასი-11).

# დეკემბრის ვარსკვლავები


ჯერომ იგინლა

"კალგარი ფლეიმზის" მარჯვენა ფრთა **ჯერომ იგინლა**, "დეტროიტ რედ უინგზის" მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** და "პიტსბურგ პინგვინზის" ცენტრალური ფორვარდი **სიდნი კროსბი** დეკემბრის თვის ლაურეატებად დასახელდნენ.

დეკემბრის პირველი ვარსკვლავი იგინლა გახდა, რომელმაც გასულ თვეში 26 ქულა (10 გოლი+16 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა. მისი შედეგიანი თამაშის წყალობით, "კალგარიმ" ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონის ბოლო ადგილიდან პირველ პოზიციამდე აინაცვლა. გასულ თვეში, "ფლეიმზის" კაპიტანმა სამ მატჩში შეძლო 4-4 ქულის დაგროვება, ხოლო მისმა რეიტინგმა +9 ბალი შეადგინა.

41 წლის ჰაშეკი დეკემბერში საშუალოდ მატჩში 1.59 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94 პროცენტს იგერიებდა. "ვეზინა ტროფის" (სეზონის საუკეთესო მეკარე) ექვსგზის მფლობელი 7 მატჩში საკუთარ კარში ერთ ან ნაკლებ შაიბას უშვებდა.

იგინლას მსგავსად, დეკემბერში სიდნი კრომსბიმაც 26 ქულა (7 გოლი+19 პასი) მოიხვეჭა. 19 წლის ფორვარდი ზედიზედ 10 მატჩში აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას. ამ სერიაში იყო შეხვედრა "ფილადელფიას" წინააღმდეგ, რომელიც "პიტსბურგმა" 8:4 მოიგო, ხოლო კროსბიმ 6 ქულა მოიპოვა. "პინგვინების" ლიდერი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ - 61 ქულა (19 გოლი+42 პასი).

## ტრამპლინიდან ხტომა

ოთხი მთის ტურნირი

# ავსტრიული სენსაცია

ტრამპლინისტთა პრესტიჟული ტურნირი, რომელიც ოთხი მთის სახელითაა ცნობილი, ავსტრიელი თინეიჯერის, **გრეგორ შლირენცაუერის** სენსაციური გამარჯვებით დაიწყო. გერმანიის ობერსტდორფში გამართულ პირველ ეტაპზე, მას მხოლოდ 1.5 მეტრი დააკლდა შატენბერგის მთის რეკორდამდე, რომელიც ნორვეგიელ **სიგურდ პეტერსენს** 2003 წელს დაუმყარებია.

ორი ცდის ჯამში, შლირენცაუერმა 296.0 ქულა დააგროვა და კარგა შორს მოიტოვა ისეთი სახელგანთქმული მხტომელები, როგორებიც არიან შვეიცარიელი **ანდრეას კიუტელი** (9.5 ქულით) და პოლონელი **ადამ მალიში** (15.7 ქულით).

შლირენცაუერი წინა სეზონში იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მან ორივე ცდა შესანიშნავად შეასრულა. განსაკუთრებით კი მეორე ნახტომით გააოცა მაყურებელი - 142 მეტრზე იფრინა (პირველზე 135.5 მეტრი). მის კონკურენტთაგან ყველაზე შორეული ნახტომი (136.5 მეტრი) და თანაც, საკმაოდ ძლიერი ზურგქარის დროს, კიუტელს ჰქონდა.

დებიუტისთანავე აქ მოგებაზე ოცნებაც არ შემეძლო - განაცხადა თავადაც გაოცებულმა ავსტრიელმა, ვისაც 17 წელი ოთხი მთის ტურნირის ბოლო ეტაპზე, ავსტრიის ბიშოფსჰოფენში შეუსრულდება. თუმცა, მისგან მსგავსი წარმატება მაინც მოსალოდნელი იყო - მიმდინარე სეზონის სტარტზე იმ ხუთი ეტაპიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო, სამი მოიგო, დანარჩენებში კი მესამე და მეოთხე შედეგები ჰქონდა.

შლირენცაუერმა მეორე ეტაპზეც შესანიშნავად იასპარეზა, თუმცა ამჯერად მეოთხე შედეგს დასჯერდა. გამარჯვება კი კიუტელმა მოიპოვა, ვინც ცუდი ამინდის მიუხედავად, პირველ ცდაზე ყველაზე შორეული (125.5 მეტრი) ნახტომი შეასრულა. სხვათა შორის, წვიმისა და ძლიერი ქარის გამო, მეორე ცდა გაუქმდა.

ამ ორი ეტაპის შემდეგ, შლირენცაუერი მსოფლიო თასის გათამაშებასაც ლიდერობს და ოთხი მთის ტურნირსაც.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ობერსტდორფი (გერმანია)**

1. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 296.0; 2. **ანდრეას კიუტელი** (შვეიცარია) - 286.5; 3. **ადამ მალიში** (პოლონეთი) - 280.3; 4. **ანდერს იაკობსენი** (ნორვეგია) - 279.7; 5. **სიმონ ამანი** (შვეიცარია) - 276.9.

**გარმიში (გერმანია)**

1. **ანდრეას კიუტელი** (შვეიცარია) - 135.9; 2. **მატი ჰაუტამაეკი** (ფინეთი) - 133.0; 3. **ნორიაკი კასაი** (იაპონია) - 132.9; 4. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 129.4; 5. **ანდერს იაკობსენი** (ნორვეგია) - 128.1...

## ლაურეატები

# AIPS-ის რჩეულები

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) თავისი წევრების - სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. 2006 წლის ლაურეატები 4 ნომინაციაში გამოვლინდა.

ზედიზედ მეორედ, წლის საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენი, შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** გახდა, ქალებში იგივე პრიზი, რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** მოიპოვა. წლის საუკეთესო გუნდად იტალიის საფეხბურთო ნაკრები დასახელდა, ხოლო პრესის მუშაობისთვის საუკეთესო პირობები გერმანიის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატზე იყო.

**საუკეთესო სპორტსმენი (მამაკაცი)**

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2. ფაბიო კანავარო (იტალია, ფეხბურთი)
3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფორმულა 1)
4. ასაფა პაუელი (იამაიკა, მძლეოსნობა)
5. ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი)

**საუკეთესო სპორტსმენი (ქალი)**

1. ელენა ისინბაევა (რუსეთი, მძლეოსნობა)
2. ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელგია, ჩოგბურთი)
3. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია, ს/თხილ.)
4. ლორა მანოდუ (საფრანგეთი, ცურვა)
4. ამელი მორესმო (საფრანგეთი, ჩოგბურთი)

**საუკეთესო გუნდი**

1. იტალია (ფეხბურთი)
2. ბრაზილია (ფრენბურთი, მამაკაცები)
3. ბარსელონა (ფეხბურთი)
4. ესპანეთი (კალათბურთი, მამაკაცები)
5. შვედეთი (ჰოკეი, მამაკაცები)

**საუკეთესო პირობები პრესისთვის**

1. მსოფლიო ჩემპიონატი (ფეხბურთი)
2. ოლიმპიადა (ტურინი, იტალია)
3. უიმბლდონი (ინგლისი, ჩოგბურთი)
4. აზიის თამაშები (დოჰა, კატარი)
5. ემირეიტსი (არსენალის სტადიონი)


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა